www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
ოთხშაბათი, 5 მაისი, 2004 წელი. №105 (654)
ფასი 50 თეთრი

# კულმინაცია
## ხვალაც გიორგობა თენდება

გუშინ საღამოს ბათუმის ქუჩებში მშვიდობიანი მსვლელობა დაიწყო. მიუხედავად დღისით განხორციელებული უსასტიკესი დარბევისა, ბათუმის უნივერსიტეტთან თავი მოიყარა 5 000-მდე მომიტინგემ. მოთხოვნა ერთადერთი იყო - გადადგეს ასლან აბაშიძე.

მღელვარების ტალღა მთელ აჭარაზე გავრცელდა. მომიტინგეებთან შესაერთებლად მოსახლეობა დაიძრა გონიოდან, ქობულეთიდან, ხულოს მაღალმთიანი სოფლებიდან. დაახლოებით საღამოს 10 საათზე მომიტინგეთა შორის გამოჩნდა აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე როსტომ ჯაფარიძე, რომელმაც სიტყვით გამოსვლა ითხოვა, მაგრამ მას ამის საშუალება არ მისცეს. შეკრებილ ხალხში დროდადრო ვრცელდებოდა ინფორმაცია, მანიფესტაციაზე ძალოვანი უწყებების წარმომადგენლების გადასვლის შესახებ.

დაახლოებით შუაღამისას მომიტინგეებს შეუერთდა 300-მდე პოლიციელი. მანამდე კი, "რუსთავი 2"-მა მაყურებელს აუწყა, რომ ბათუმში გაემგზავრა საქართველოს უშიშროების მინისტრი ზურაბ ადეიშვილი. მომიტინგეთა განცხადებით, ისინი საბოლოო მიზნის მიღწევამდე არ აპირებდნენ დაშლას.


ბათუმი წუხელ.

# ასე გაგრძელება აღარ შეიძლება!
### ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლების განცხადება

ძვირფასო თანამემამულენო!

დადგა დრო, როცა დუმილი აღარ შეიძლება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელმა აშკარად და ღიად გამოუცხადა დაუმორჩილებლობა ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობას და, ჟირინოვსკ-ალქსნისზე დაყრდნობითა და ყარსის ხელშეკრულებით წამდაუწუმ აპელირებით, შეუდგა რეგიონის ფაქტიურ გამოყვანას საქართველოს იურისდიქციიდან.

ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ ე.შევარდნაძესთან შენილბულ ალიანსში მყოფმა ა. აბაშიძემ, საბოლოოდ დაკარგა ახალ ხელისუფლებასთან გარიგების იმედი და სახიფათო თამაში წამოიწყო. მიზანმიმართულად გალატაკებული მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ურიგდება ფული და იარაღი, იქმნება შეიარაღებული უკანონო ფორმირებები, რომელთა პირისპირ აღმოჩნდა აბსოლუტურად დაუცველი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. ადგილი აქვს პოლიტიკურ შეხედულებათა გამო ადამიანთა დევნის უამრავ შემთხვევას, როცა თანამდებობის პირები ქვეყნის ხელისუფლების მხარდამჭერებს უზღუდავენ კანონიერ უფლებებს, რაც აღრმავებს წინააღმდეგობებს და იწვევს განხეთქილებას მოსახლეობაში. ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებების გაუმიჯნაობის ირგვლივ წამოწყებული დემაგოგიის ფონზე, ა. აბაშიძე უპრეცედენტოდ ითვისებს ცენტრის უამრავ უფლებას: თავს აცხადებს მთავარსარდლად, ქვეყნის ხელისუფლებას უპირისპირებს ადგილობრივ ძალოვან სამინისტროებს, იქვემდებარებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ეკონომიკურ ობიექტებს და რეგიონში განლაგებულ სამხედრო ნაწილებს. დროდადრო იკეტება "ჩოლოქის საზღვარი" და ა.აბაშიძის სურვილისამებრ ძირძველ ქართულ კუთხეში არ უშვებენ თვით ქვეყნის პრეზიდენტსაც კი! საქმე იქამდე მივიდა, რომ 25-ე ბრიგადის მეთაური და შინაგანი ჯარების ხელმძღვანელი არ ცნობენ მთავარსარდლად ქვეყნის პრეზიდენტს, ხოლო ა. აბაშიძე უარს ამბობს უკანონო ფორმირებების განიარაღებაზე. ვრცელდება ჭორები აჭარის თავდაცვის სამინისტროს შექმნისათვის მზადების შესახებაც.

გაგრძელება A6 გვერდზე

# ის გაკოტრებულია

*"აბაშიძეს უკან დასახევი გზა აღარ აქვს, ის ყველაფერზე წავა. მას ულტიმატუმის არ ეშინია. აბაშიძეს მხოლოდ ახალი ლიდერი და ხალხი შეაშინებს," - "24 საათი" გთავაზობთ აჭარის მეთაურის ყოფილი პრესმდივნის თამაზ ბაკურიძის ექსკლუზიურ ინტერვიუს.*

სოფო ბუკია

- თერთმეტი წლის განმავლობაში ყოველი დღე ასლან აბაშიძესთან მაქვს გატარებული და მინდა, გითხრათ, რომ ის, რაც დღეს აჭარაში ხდება, იმ ადამიანების დამსახურებაა, ვინც ასლან აბაშიძის უახლოეს გარემოცვას წარმოადგენს. ადრე, როცა მე ასლან აბაშიძესთან ვმუშაობდი, ნათლად ვხედავდი, რომ გარკვეული ადამიანები - უშიშროების მინისტრი სოსო გოგიტიძე, "აღორძინების" პარტიული ლიდერები და სხვები - ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ასლან აბაშიძეს დეზინფორმაციას აწვდიდნენ. მათ, ფაქტობრივად, აბაშიძე რეალობას მოსწყვიტეს. პარტიული ლიდერები არწმუნებდნენ მას, რომ არა მარტო აჭარის, არამედ მთლიანად საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტი მას უჭერს მხარს. ამ ყველაფერმა აბაშიძე დღევანდელ მდგომარეობამდე მიიყვანა.

რევოლუციის წინა დღეებში საჯარო განცხადება გავაკეთე და ვთქვი, რომ ასლან აბაშიძეს მისი გარემოცვა შეთქმულებას უმზადებს. მე მაშინ სწორედ დღევანდელი ვითარება მქონდა მხედველობაში. ხედავთ, როგორ განვითარდა მოვლენები?

გაგრძელება A3 გვერდზე


ვახო ხესელიას ფოტო

"აბაშიძეს უკან დასახევი გზა აღარ აქვს, ის ყველაფერზე წავა.

# ვალერია ნოვოდვორსკაია: "საჭიროა ასლან აბაშიძის სასწრაფო იზოლირება"

*ადამიანის უფლებების რუსი დამცველი ვალერია ნოვოდვორსკაია აღშფოთებულია აჭარაში მიმდინარე მოვლენებით. "24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში, იგი თავისი კოლეგების სახელითაც საუბრობს. "ჩემი მოსკოველი კოლეგები გაოცებულნი არიან, არავის ეგონა, თუ თანამედროვე, ევროპულ საქარველოში ვინმეს შეეძლო მე-18 საუკუნის დონეზე აზროვნება," - ამბობს იგი. ამის შემდეგ მან გარკვეული პროგნოზიც გააკეთა.*

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

- თბილისის მიერ მიცემული ულტიმატუმის დღეებში, არ არის გამორიცხული ბათუმში სერიოზული პროვოკაციის მოწყობაც. არ არის გამორიცხული საცხოვრებელი სახლის აფეთქებაც კი, რასაც აბაშიძე აუცილებლად საქართველოს სპეცსამსახურებს დააბრალებს, რუსეთისა და მსოფლიოს თვალში საქართველოს ახალი ხელისუფლების გასაშავებლად. ამიტომ, ხვალ და ზეგ უკვე გვიან იქნება, საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია, პირველ რიგში, დაიცვას აჭარის მოსახლეობა, რადგანაც აბაშიძე უკვე ყველაფერზე წამსვლელია. მან ეს ხიდებისა და გზების აფეთქებით დაადასტურა.

**- ხომ არ მიგაჩნიათ, რომ აჭარაში სიტუაციის გამწვავება საქართველო-რუსეთის თითქოს დამთბარ ურთიერთობებს ხელახლა დაძაბავს?**

- არ მიმაჩნია და აი, რატომ: რუსეთი დღეს ევროსაბჭოში შესასვლელად ემზადება, კრემლმა უკვე დაადასტურა ერაყში სამშვიდობო კონტინგენტის გაგზავნისათვის მზადყოფნა. მართალია, პუტინი დღეს ამაზე ხმამაღლა არ ლაპარაკობს, მაგრამ აშშ-ს წინაშე რუსეთი დასჯილი ბავშვის როლშია. ამდენად, მოსკოვი ვალდებულია, ვაშინგტონს უსმინოს. თეთრი სახლი კი არ დაუშვებს დესტაბილიზაციას საქართველოში.

გაგრძელება A3 გვერდზე

### პოლიტიკა
## საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო განცხადება

აჭარის მოსახლეობამ მთელ საქართველოს დაანახა გამბედაობის და სიმამაცის არნახული მაგალითები და აჩვენა ღირსების უზარმაზარი შეგრძნება, რომელიც ამ ხალხს გააჩნია!

A3

### ეკონომიკა
## ენერგოექსპერტთა თავსატეხი

"თელასის" განზრახვამ, გაზარდოს დენის ტარიფი, ენერგოსექტორში ჩოჩქოლი გამოიწვია. მას შემდეგ, რაც თბილისის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის "რაოელმა" მენეჯერებმა ამ თხოვნით სემეკ-ს მიმართეს, ენერგოსექტორის კანონმდებლები გააქტიურდნენ და ხელი მიჰყვეს ყველა იმ რეზერვის ჩხრეკას, რომელთა წყალობითაც შესაძლებელი იქნება, დენის მოსალოდნელ გაძვირებას ხელი შეეშალოს.

A4

### უცხოეთი
## საარჩევნო კამპანია ავტობუსით

პრეზიდენტმა ბუშმა, საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, მიჩიგანისა და ოჰაიოს შტატებში ორდღიანი ავტოტურნე გამართა.

A5

### საზოგადოება
## ატროფია საშიში სიტყვაა

ვინ თვალით ხედავს, ვინ - ხელით გრძნობს, ეს ადამიანისგან არ ისაზღვრება. საზოგადოება კი თუ სულით არ იყურება, ვერაფერს დაინახავს. "ადამიანი ჩვენთან რამდენჯერმე უნდა მოვიდეს, მხოლოდ მაშინ შეძლებს დაინახოს ის, რაც უნდა დაწეროს", - თქვა თამილა აბაშიამ, უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის ქართული ენის მასწავლებელმა, თავად უსინათლომ.

A6

### სამართალი
## ქუთაისის საავიაციო-შემკეთებელი ქარხნის საქმეს პოლიცია იკვლევს

რამდენიმე დღეა, რაც ქუთაისში საავიაციო-შემკეთებელი ქარხნის კოლექტივი გაიფიცა. ისინი რვა თვის გაუცემელი ხელფასების დაფარვას, დირექტორის გადადგომასა და ქარხნის სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნებას მოითხოვენ. გარდა ამისა, საავიაციო-შემკეთებელი ქარხნის საქმეს იმერეთის სამხარეო პოლიციის ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური იძიებს.

A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 18 | |
| ქუთაისი | 23 | |
| ბათუმი | 20 | |
| სოხუმი | 23 | |
| ფოთი | 23 | |
| თელავი | 16 | |
| ზუგდიდი | 24 | |
| გორი | 15 | |
| ახმეტა | 17 | |
| ჭიათურა | 19 | |
| გაგრა | 23 | |
| სამტრედია | 22 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9600 |
| ევრო | 2.3457 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4837 |
| რუბლი | 0.0677 |

## ჩიხიდან გამოსავალი - ასლან აბაშიძის გადადგომა

გიორგი ასანიშვილი

*ასლან აბაშიძის პროვოკაციულმა ქმედებებმა და ავანტიურისტულმა პოლიტიკამ პარლამენტს მოთმინების ფიალა აუვსო. გუშინ ბათუმსა და ქობულეთში მომიტინგეების სასტიკი დარბევის შემდეგ ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ 134 ხმით - ერთსულოვნად მიიღო განცხადება, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის გადადგომის მოთხოვნას შეიცავს.*

**"ასლან აბაშიძემ გონიერება დაკარგა, ამიტომ ის თანამდებობიდან უნდა გადადგეს. თუ აჭარის ხელმძღვანელი ასეთ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, მაშინ თავის მოღვაწეობას ტრაგიკულად დაასრულებს ",** - აცხადებს მემარჯვენე ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი დავით გამყრელიძე.

კობა დავითაშვილი ასლან აბაშიძის გადადგომის მოთხოვნას მთლიანად იზიარებს, მაგრამ მისი შესრულების რეალობისა არ სჯერა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## მომხმარებლები კვლავ დაუცველები რჩებიან

სოფიკო ოხანაშვილი

*საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახური "საქართველოს ტელეკომს" საერთაშორისო თაღლითობაში აღარ ადანაშაულებს და აღარც სასამართლოში უჩივლებს. ამის მიზეზი ის არის, რომ "ტელეკომმა" მომხმარებელთა უფლებების დამცველის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც წარუდგინა კუკის კუნძულებზე გაწეული სატელეფონო მომსახურებისათვის უცხოელ პარტნიორებთან ანგარიშსწორების ამსახველი*

გაგრძელება A4 გვერდზე

## ნატო-ს მომავალი სამხრეთ კავკასიაში

ვლადიმირ სოკორი
*სტრატეგიისა და პოლიტიკის შემსწავლელი ინსტიტუტი*

2004 წლის ივნისის ნატო-ს სამიტი ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების (ეჩშძ) შესახებ ხელშეკრულების ადაპტირებულ ვარიანტსა და 1999 წელს სტამბოლში ეუთო-ს სამიტზე სამხრეთ კავკასიისა და მოლდოვას მიმართ აღებული ვალდებულებების შესრულებას განიხილავს. (ეჩშძ განსაზღვრავს, რომელ ქვეყანას რამდენი შეიარაღება უნდა ჰქონდეს).

1999 წელს დადებული ხელშეკრულებები რუსეთს ავალდებულებს: საფლანგო რეგიონებში გარკვეული კატეგორიის შეიარაღება შეამციროს, რაც ეჩშძ-ით არის გათვალისწინებული; 2001 წლისთვის საქართველოში ორი სამხედრო ბაზის დახურვას, ხოლო დარჩენილი ორი ბაზის გაყვანის გრაფიკის საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებას; 2002 წლისთვის მოლდოვადან ყველა სახის რუსული შეიარაღებული ძალის გამოყვანას. თავდაპირველად, ეჩშძ-ის პირობები და სტამბოლში აღებული ვალდებულებები ერთიანი შეთანხმების პაკეტად განიხილებოდა. თუმცა, ამჟამად რუსეთი ამ ორი შეთანხმების დაცალკევებას ცდილობს.

გაგრძელება A5 გვერდზე

# "აბაშიძის მხეცური ქმედებები"



ფოტო: გოჩიტა ბახაიძის

*საქართველოს მთავრობა დიპლომატიურ კორპუსს ვითარებაში არკვევს.*

გუშინ ზურაბ ჟვანია საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, 40 ელჩს შეხვდა, რათა აჭარაში არსებული ვითარების შესახებ მათთვის ოფიციალურად მოეხსენებინა. შეხვედრას, გაურკვეველი მიზეზების გამო, არ ესწრებოდა რუსეთის ელჩი საქართველოში დავით ჩხიკვიშვილი. პრემიერ-მინისტრის განმარტებით, მისთვის უცნობია, თუ რატომ არ ეწვია სახელმწიფო კანცელარიას ბატონი ჩხიკვიშვილი. მიუხედავად ამისა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა იმედი გამოთქვა, რომ რუსეთი საქართველოს მიმართ სრულ ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებს. ქალბატონმა ზურაბიშვილმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ აჭარაში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზები რეგიონში მიმდინარე პროცესებში არ ერთვებიან.

**"ასლან აბაშიძემ მხეცური ქმედებები დაიწყო საკუთარი ხალხის წინააღმდეგ,"** - აღშფოთება ვერ დაფარა პრემიერ-მინისტრმა. მისი თქმით, აბაშიძეს არც ერთმა ქვეყანამ არ უნდა დაუჭიროს მხარი, რათა იგი სრულ იზოლაციაში აღმოჩნდეს. ჟვანია კმაყოფილია ევროკავშირის პოზიციით. მისი თქმით, თურქეთის სახელმწიფო სრულ თანადგომას უცხადებს საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას.

ჟვანიამ ელჩებს ისიც უთხრა, რომ ბათუმის უნივერსიტეტის უკან განლაგებულნი არიან შეიარაღებული რაზმები, რომელთა სათავეშიც დგას გენერალი ნეტკაჩოვი.

ბრიტანეთის ელჩის კითხვაზე - **დავუშვათ, აბაშიძემ ამ ეტაპზე ცენტრალურ ხელისუფლებას დიალოგი შესთავაზა, დაჯდებით თუ არა მის გვერდით მოლაპარაკების მაგიდასთან?** - პრემიერ-მინისტრმა უპასუხა: **მას შემდეგ, რაც აბაშიძე სასტიკად გაუსწორდა სტუდენტებს, საკუთარ თავს თავადვე გამოუტანა განაჩენი...**

ზურაბ ჟვანიამ ელჩებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ ბათუმში განვითარებული მოვლენების გაცნობის შედეგად, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაარქვას.

ელჩებთან შეხვედრის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა თავისი პოზიცია პრესასთანაც გამოხატა. მისი თქმით, საერთაშორისო საზოგადოებამ, რომელიც ჯანსაღად რეაგირებს ბათუმში მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში, უნდა იცოდეს, რომ აბაშიძე არაპროგნოზირებადი ადამიანია და შეიძლება საქმე სისხლისღვრამდე მიიყვანოს.

აშშ-ს ელჩმა რიჩარდ მაილსმა ქართველ ჟურნალისტებს მოახსენა, რომ იგი ამჯერად არ აპირებს მედიატორის როლის შესრულებას, თუმცა, როგორც ამერიკელმა დიპლომატმა ბრძანა, შეერთებული შტატები ინტენსიურად იღებს ინფორმაციებს აჭარაში განვითარებული მოვლენების შესახებ.

*24 საათი*

# აბაშიძე არ ემსახურება აჭარაში მცხოვრებ ხალხს

*აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება აჭარაში შექმნილი ვითარების შესახებ 3 მაისს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ ყოველდღიურ პრეს-კონფერენციაზე სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ წარმომადგენელს რიჩარდ ბაუჩერს შეკითხვა დაუსვეს აჭარაში არსებული ვითარებისა და ამერიკის როლის შესახებ.*

რიჩარდ ბაუჩერის განცხადებით, **"შეერთებული შტატები ჩართულია ამ პროცესში. ჩვენ მიმდინარე მოვლენებს დიდი ყურადღებით ვაკვირდებით, ფაქტობრივად, ჩვენი მაღალი თანამდებობის პირები აქ (ვაშინგტონში) და თბილისში ამ საკითხზე შაბათ-კვირას მუშაობდნენ. ჩვენ ღრმად შეშფოთებულები ვართ აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის გადაწყვეტილებით, რომლის თანახმად ორი ხიდი ააფეთქეს, რომელიც აჭარას საქართველოს სხვა კუთხეებთან აკავშირებს. ამან შეაფერხა საკვანძო საერთაშორისო სატრანსპორტო ხაზების მუშაობა, რომელიც საქართველოს აზერბაიჯანსა და ევროპასთან აკავშირებს. აბაშიძის მოქმედებებიდან გამომდინარე, ჩვენ ეჭვქვეშ ვაყენებთ მის მიერ აღებულ ვალდებულებას, ემსახუროს აჭარაში მცხოვრებ ხალხს.**

**შაბათ-კვირის განმავლობაში ამერიკელ მაღალი თანამდებობის პირებს ვაშინგტონშიც და თბილისშიც კავშირი ჰქონდათ საქართველოსა და აჭარის ხელმძღვანელებთან. დღეს, ელჩი მაილსი პრეზიდენტ სააკაშვილს შეხვდა და მიმდინარე მოვლენები განიხილა. ჩვენ მივესალმებით პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებას, რომ იგი ძალას არ გამოიყენებს. ჩვენ გავაგრძელებთ საქართველოს მთავრობის მხარდაჭერას, რათა მათ პოლიტიკური და ეკონომიკური საშუალებები გამოიყენონ, აჭარაში კანონის უზენაესობის აღსადგენად.**

**ჩვენ, აგრეთვე, მოვუწოდებთ აჭარის ლიდერ აბაშიძეს, რომ განაიარაღოს არაფორმალური დაჯგუფებები აჭარაში, რაზეც ადრე მან თანხმობა განაცხადა. ბატონი აბაშიძისა და მისი მთავრობის მიერ ახლახანს გადადგმული ნაბიჯები შეშფოთებას იწვევს, რომ იგი საქართველოს დემოკრატიულად არჩეულ ხელმძღვანელობასთან სამხედრო კრიზისის პროვოცირებას აპირებს და არა სიტუაციის მშვიდობიანი გზით მოგვარებას.**

**ჩვენთვის მთავარი საკითხია ის, რომ აჭარა საქართველოს ნაწილია. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს მთავრობის მცდელობას, აღადგინოს ხელისუფლება და კანონის უზენაესობა აჭარაში. ჩვენ, ასევე, გვჯერა, რომ აჭარელი ხალხი იმავე დონის დემოკრატიასა და პასუხისმგებლობის მქონე მთავრობას იმსახურებს, როგორც დანარჩენ საქართველოში მცხოვრები ხალხი.**

**უკანასკნელი თვეების განმავლობაში ჩვენ შეგვაშფოთა აბაშიძის მზაობამ, ნება დაერთო ადამიანის უფლებების დამცველებისა და ჟურნალისტების შეურაცხყოფისა და შევიწროებისთვის. მსგავსი ინციდენტები მოიცავდა სასტიკ ცემასა და მოგონილი საბაბებით დაპატიმრებებს. საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ 2 ნოემბერს გაკეთებული მოხსენება, აგრეთვე, ეჭვქვეშ აყენებს დემოკრატიული პროცესისადმი აბაშიძის ერთგულებას."**

მომდევნო შეკითხვაზე, ჰქონდა თუ არა ამერიკის ხელისუფლებას რუსებთან ამის შესახებ საუბარი, ბაუჩერმა უპასუხა, რომ აჭარაში არსებული ვითარების შესახებ ხშირად ელაპარაკებიან რუსებს. **"ყოველთვის ვცდილობთ, მათთან ერთად ვიმუშაოთ და წავაქეზოთ, რომ იქ არსებული ვითარება ჩააწყნარონ და ბატონ აბაშიძეს სამხედრო დაპირისპირების პროვოცირების საშუალება არ მისცენ.**

**ეს საკთხი ჩვენი დიალოგის მუდმივი ნაწილია, ამ საკითხს სახელმწიფო მდივანი უკანასკნელი კვირების განმავლობაში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან შეხვედრისას ნამდვილად განიხილავდა. ამ საკითხს ჩვენი საელჩო რუსეთის მთავრობასთან რეგულარუ-**

# პრეზიდენტი უშიშროების საბჭოს იწვევს

პრეზიდენტ სააკაშვილის შეფასებით, აჭარაში გუშინ განვითარებულმა მოვლენებმა მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ კონფლიქტი არსებობს არა თბილისის ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარის რეგიონს შორის, არამედ აჭარის მოსახლეობა უპირისპირდება ადგილობრივ ფეოდალს ასლან აბაშიძეს. გუშინ სააკაშვილმა უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა მოიწვია, რომელსაც ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელების გარდა, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც ესწრებოდა.

შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი ბარამიძის განცხადებით, ასლან აბაშიძე - **"უპასუხისმგებლო პოლიტიკოსი უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავის მოვალეობას. იგი მტრულად არის განწყობილი საკუთარი ხალხისა და ქვეყნის მიმართ."** ბარამიძე საქართველოს მოსახლეობას ჰპირდება, რომ აბაშიძე დაისჯება: **"ასი პროცენტით გეუბნებით, რომ აბაშიძე პასუხს აგებს ყველაფერზე, ოღონდ - როდის და რა ფორმებით, ამის კომენტირება ამ ეტაპზე ნაადრევია".** შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტებით, ქვეყნის ცენტრალურმა ხელისუფლებამ ცივი გონებით უნდა იმოქმედოს, რათა აჭარაში სრული მშვიდობა შევინარჩუნოთ. ბარამიძე აჭარაში არსებულ შინაგან საქმეთა ორგანოებს მიმართავს, რომ **"არ დაემორჩილონ აბაშიძის დანაშაულებრივ ბრძანებებს და არ აღმართონ ხელი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ."**

პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ პრესასთან კომენტარისას ბრძანა, რომ საქართველოს ხელისუფლებას გააჩნია ბერკეტები აჭარაში კრიზისის დასაძლევად. კერძოდ, რა საშუალებებზეა საუბარი, ბურჯანაძემ ამის დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა. პარლამენტის თავმჯდომარემ კრიტიკულად შეაფასა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადებები აჭარაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით: **"მაშინ, როცა რუსეთის მოქალაქე, რუსეთის არმიის ყოფილი გენერალი ნეტკაჩოვი საქართველოს ტერიტორიაზე ხიდებს აფეთქებს, რუსულ მხარეს ბევრად უფრო გაწონასწორებული განცხადებების კეთება მართებს."**

ძალოვანი უწყების წარმომადგენლებმა ერთხმად დაგმეს 4 მაისს აჭარაში მიტინგის დარბევის ფაქტი და განაცხადეს, რომ აუცილებლად აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე იმ ადამიანების წინააღმდეგ, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა და ვისი უშუალო მითითებითაც დაარბიეს მშვიდობიანი დემონსტრანტები.

*24 საათი*

# განხეთქილება აბაშიძის ბანაკში

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი თარგამაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებაში არსებულ განხეთქილებაზე საუბრობს. როგორც თარგამაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ავტონომიის მეთაური ასლან აბაშიძე უკმაყოფილოა იმის გამო, რიმ იგი გარკვეულ ინფორმაციას აჭარის ყოფილი უშიშროების მინისტრზე სოსო გოგიტიძეზე გვიან იგებს.

თავად სოსო გოგიტიძე კი ასლან აბაშიძის, მისი ვაჟის გიორგი აბაშიძისა და გენერალ იური ნეტკაჩოვის სატელეფონო მოსმენებს აწარმოებს, - ამბობს თარგამაძე და იქვე დასძენს, რომ აბაშიძის სისტემა აჭარაში ძალიან მალე დაინგრევა. ამასთან, როგორც თარგამაძე აცხადებს, მას აქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ აქციის დარბევამდე, ოპერატიულ თათბირზე ასლან აბაშიძის დაცვის უფროსის დავით ხალვაშის, იგივე "ქელფეთას", მიერ გაცემული იყო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ბრძანება.

*პრაიმ-ნიუსი*

*თვალსაზრისი*

# აბაშიძის დასასრულის დასასრული

ასლან აბაშიძემ საბოლოოდ მოიჭრა უკან დასახევი გზა. გადამდგარი პენსიონერის ხვედრზე მან უარი განაცხადა. ყველასთვის და, პირველ რიგში, მისთვისაც ნათელია, რომ როგორც კი შესაბამისი ორგანოები მოიხელთებენ, სიცოცხლის ბოლომდე მისი ბინა ციხე იქნება. აქედან გამომდინარე, ასლან აბაშიძის ქმედებების პროგნოზირება რთული არ არის. სანამ იგი აჭარაში იქნება, გაგრძელდება და კიდევ უფრო სასტიკ ფორმებს მიიღებს დარბევები და ტერორი, რაც, ერთი მხრივ, მიზნად ისახავს მოსახლეობის დაშინებას, მეორე მხრივ კი ქვეყნის ჩათრევას ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აჭარის კრიზისის დროში გაწელვა სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს შეუქმნის ისედაც სუსტ სახელმწიფოს. ამ თემასთან დაკავშირებით ჩნდება მხოლოდ ერთი კითხვა, რომელზეც სწორი პასუხის გაცემაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული, ანუ ასლან აბაშიძე მოქმედებს მარტო, საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად, თუ მას აქვს სხვისი იმედები და გარკვეული გარანტიები. საქართველოში მას, ფაქტობრივად, აღარ დარჩნენ პოლიტიკური მოკავშირეები, რომლებიც ეცდებიან მისი საქციელის გამართლებას. დასავლეთის ქვეყნების ცხოვრების წესებიდან გამომდინარე, მათთვის ასლან აბაშიძის ტიპის მმართველიც კი მიუღებელია, არამცთუ ხიდების ჩანგრევა, რკინიგზის აყრა და, ფაქტობრივად, ომის გამოცხადება. მაგრამ, რამდენად გულგრილი დარჩება რუსეთი აჭარის კრიზისის მიმართ, ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძნელია. რასაკვირველია, აბაშიძე ეცდება, მოიზიდოს ათასი ჯურის დაქირავებული ბოევიკი, თუმცა, კონფლიქტების ანატომიიდან ცნობილია, რომ ამგვარი კამპანიის ჩასატარებლად გარედან სერიოზული დახმარებაა საჭირო. დღეს რუსეთის ოფიციალური პოზიცია თითქოს საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის სურვილია, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსეთ-საქართველოს რამდენიმე საუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში, რუსეთის ოფიციალური პოზიცია ყოველთვის ამგვარი იყო, ხოლო საქმით ყოველთვის ცდილობდა საქართველოს დასუსტებას. ეს გამოწვეულია არა ქართველოფობიით, არამედ რუსეთის სტრატეგიული ინტერესებით სამხრეთ კავკასიაში.

ეჭვებს რუსეთის მიმართ ნამდვილად სერიოზული საფუძველი აქვს, რასაც ადასტურებს გენერალ ნეტკაჩოვის ქმედებანი, რომელიც, ფაქტობრივად, ასლან აბაშიძის თავდაცვის მინისტრის ფუნქციას ასრულებს. დღეს ნაკლებმოსალოდნელია, რომ რუსეთი ისევე აშკარად და ღიად ჩაერიოს აჭარის კრიზისში, როგორც აფხაზეთში, თუმცა, ნამდვილად მოსალოდნელია, რომ რუსეთი ხელს შეუწყობს, რათა კონფლიქტმა ფართო მასშტაბები მიიღოს და დროში გაიწელოს. რუსეთი არც იმის წინააღმდეგი იქნება, თუ საქართველოს სამხრეთშიც დააყენებს ეგრეთ წოდებულ სამშვიდობო ძალებს.

რასაკვირველია, რუსეთის პოზიციები აჭარაში მნიშვნელოვნად სუსტია, ვიდრე აფხაზეთში, სადაც მოსახლეობის ნაწილი ანტიქართულად იყო განწყობილი. მათ ზურგს ამოფარებით და ვითომდა მათი ინტერესების დასაცავად ღიად მიიღეს მონაწილეობა კონფლიქტში რუსეთის სამხედრო შენაერთებმა. აჭარაში კი არის კლასიკური დიქტატურა ერთი კაცისა, რომელსაც მძევლად ჰყავს აყვანილი მთელი მოსახლეობა. ცხადია, აქ რუსეთს ძალიან გაუჭირდება ასლან აბაშიძის ზურგს ამოფარება და იმის მტკიცება, რომ აჭარის მოსახლეობის ინტერესებს იცავს, ვინაიდან თავად მოსახლეობა ითხოვს ასლან აბაშიძის მოცილებას. თუმცა, სუსტი პოზიციები არ ნიშნავს, რომ რუსეთი ბოლომდე არ ეცდება ასლან აბაშიძის ფაქტორის გამოყენებას. ეს სავარაუდოა თუნდაც იმიტომ, რომ აჭარის საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში დაბრუნების შემდეგ, დღის წესრიგში უპირველეს საკითხად დადგება აფხაზეთი, ანუ რუსეთის წასვლის საკითხი სამხრეთ კავკასიიდან.

ნიშანდობლივია ისიც, რომ აჭარის კრიზისის გამწვავებასთან ერთად ნაცნობი ჰანგები გაისმის რუსეთის დუმის და საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებებშიც. აშკარად იგრძნობა, რომ ასლან აბაშიძეს გარკვეული გარანტიები ნამდვილად აქვს მიღებული. სხვა საკითხია, რამდენად მყარი აღმოჩნდება ეს გარანტიები, ვინაიდან რუსეთიც რთული არჩევანის წინაშე დგას. ერთი მხრივ, დიდია ცდუნება აჭარის აფხაზეთიზაციისა, თუმცა, დიდია რისკი დამარცხებისა, ვინაიდან რუსეთმა თუ ამ კონფლიქტში თავი შეყო, მის ერთადერთ მოკავშირედ აღმოჩნდება ისტორიული კანონზომიერებისა და საკუთარი ხალხის დამარცხების მოსურნე მანიაკი დიქტატორი.

ფაქტი ერთია, აჭარის კრიზისი დასკვნით ფაზაში შევიდა, თითქმის გამორიცხულია მისი მოლაპარაკების გზით განმუხტვა, კრიზისის დროში გაწელვა და ქრონიკულ ავადმყოფობად ქცევა. მძიმე დარტყმა იქნება საქართველოს ხელისუფლებისთვის და მთელი ქვეყნისთვის. რამდენად უმტკივნეულოდ ამოიწურება ეს კრიზისი, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სწორედ რუსეთის პოზიციაზე, ანუ სისხლით წავა ხელისუფლებიდან აბაშიძე თუ - უსისხლოდ. ფაქტი ერთია, დაიწყო აბაშიძის დასასრული.

*ეკა კიკიანი*

# "დღეს ბათუმში 10-ათასიანი მიტინგი იქნება"



ფოტო: ზაალ ბაღაშვილის

*ბათუმში მიტინგის მხარდამჭერი აქცია "რუსთავი 2"-თან.*

აჭარაში მოვლენების განვითარების პარალელურად, გუშინ საღამოს მოძრაობა "ჩვენი აჭარის" მხარდამჭერები საპროტესტო აქციას თბილისში, სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-ის წინ მართავდნენ და ბათუმში მომიტინგე 5 ათასამდე აჭარელს დედაქალაქიდან ამხნევებდნენ. "ასლან, წადი!" - ჟღერდა თბილისშიც.

პარალელურად, "დემოკრატიული აჭარის" თბილისში მყოფ ლიდერებთან ბათუმიდან უწყვეტად მოედინებოდა ინფორმაცია მიტინგის დარბევის მოსალოდნელი საშიშროების თაობაზე. **"ადგილობრივი ხელისუფლებისგან პროვოკაცია არ გამოირიცხება, მაგრამ ამ პროვოკაციას ხალხი არ აჰყვება, მან შესაბამისი ნათლობა უკვე მიიღო. ამიტომ, ეს აბაშიძეს ძალიან ძვირი დაუჯდება,"** - აცხადებდა მოძრაობა "ჩვენი აჭარის" ლიდერი ედვარდ სურმანიძე.

**"რუსის ჯარი შემოვა და დაგარბევთო, ხალხს ემუქრებიან. მომიტინგეებს შორის შეუშვეს თავიანთი ხალხი, რომ დააშინონ, მაგრამ ხალხს არაფრის ეშინია, არ იშლება. პირიქით, ემატებიან კიდეც - ახლა მათ უკვე ხულოდან და შუახევიდანაც შეუერთდნენ, მალე მომიტინგეთა რაოდენობა 10 ათასამდე გაიზრდება. რაც მეტი იქნება ახლა იქ ხალხი, მით უფრო შემცირდება სისხლის დაღვრის ალბათობა,"** - განუცხადა "24 საათს" მოძრაობა "დემოკრატიული აჭარის" წარმომადგენელმა დავით ბერიძემ.

ედვარდ სურმანიძის განცხადებით, გუშინ საღამოს აჭარას უკვე აღარავინ ტოვებდა - აღშფოთებული მოსახლეობა უნივერსიტეტის წინ იკრიბებოდა. საღამოს თერთმეტი საათისათვის კი აქციის მონაწილეებმა შეიტყვეს, რომ ბათუმში შეკრებილ მომიტინგეებს სოლიდარობა გამოუცხადეს შეიარაღებულმა სტრუქტურებმაც: ამ დროისათვის ხალხის მხარეს გადავიდნენ აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების თანამშრომლები. მათთან ერთად, ხალხს 50 "სპეცრაზმელიც" შეუერთდა.

ამ ინფორმაციის მიღების მიუხედავად, თენგიზ ასანიძე ასლან აბაშიძის გონს მოგებას არ გამორიცხავდა: **"თუ ის გონს მოეგო, აკრიფა ხალხში დარიგებული იარაღი, კანონის ჩარჩოებში მოექცა და არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, ვითარება განიმუხტება, თუ არა და, ეს ყველაფერი მისთვის სავალალოდ დასრულდება."**

ხვალ 6 მაისია, გიორგობა. ასანიძე იმედოვნებს, რომ ამ დღის გათენება ისეთივე სიხარულის მომტანი იქნება საქართველოსთვის, როგორიც 23 ნოემბრის გიორგობის დილა იყო.

*24 საათი*

# "მეტალ-ჯეო"-ს რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ინვესტორობა სურს

## იტალიელებმა და ქართველებმა ერთმანეთს ვერაფერი გაუგეს

რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში შექმნილი მდგომარეობის შემსწავლელი სახელმწიფო კომისია, სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ეროს კიწმარიშვილი, საწარმოს კრედიტორთა საბჭო და ქართველი მეტალურგები გუშინ 4 საათის მანძილზე დახურულ კარს მიღმა არკვევდნენ, რა სურთ და რას სთავაზობს ხელისუფლებას იტალიელი ინვესტორის სახელით მოსაუბრე სამი მამაკაცი, რომლებიც ბოლო ერთი წლის მანძილზე ხან ერთი ("არესს იმპორტ-ექსპორტი"), ხან მეორე ("არესს ინტერნეიშენელი") და ხანაც მესამე ("მეტალ-ჯეო") იტალიური ფირმის წარმომადგენლებად აცნობდნენ თავს ქართველებს.

მაღალი, გამხდარი იტალიელი ჯან კარლო ონჯისი, რომელმაც კომპანია "მეტალ-ჯეო"-ს სახელით რეაბილიტაციის ახალი გეგმა წარმოადგინა, შეხვედრის დასრულების შემდეგ გაღიზიანებას არ მალავდა.

**"ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. ფაქტობრივად, მე აქ დაკითხვა მომიწყვეს. ვფიქრობ, რომ ამ პრობლემის გადაჭრა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია. მე უკვე ვესაუბრე პრეზიდენტის ეკონომიკურ მრჩეველს და მას ვუთხარი, რომ არ მსურს სხვა ინვესტორების ბედი გავიზიარო,"** - განუცხადა ბატონმა ონჯისმა ჟურნალისტებს. ის წუხდა, რომ ქართული მხარისგან მყარი გარანტიები ვერ მიიღო, ხოლო იტალიურ ფირმაზე, "მეტალ-ჯეო"-ზე საუბრისას, რომელსაც ძველის, "არეს ინტერნეიშენელის" ჩანაცვლება სურს კომბინატში, ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს იძლეოდა. ჯან კარლო ონჯისმა ჯერ განაცხადა, რომ "მეტალ-ჯეო"-ს მფლობელი იტალიის სახელმწიფოა, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ ეს უარყო და თქვა, რომ "მეტალ-ჯეო" კერძო კომპანიაა და მას იტალიის სახელმწიფოსთან არანაირი კავშირი არ აქვს.

**"მათ წარმოადგინეს რეაბილიტაციის ახალი პროგრამა, რომელიც დევს ძველ გეგმაში და ჩვენთვის ის იდეის დონეზე მისაღებია. იდეა მოწონებულ იქნა, ასევე მათ მიეცათ საშუალება, გააგრძელონ მუშაობა კომბინატში. ჩვენი პოზიცია ცალსახაა - ქარხანას უნდა შეეძლოს, თავად აირჩიოს ინვესტორი, ანუ პარტნიორი და არა პირიქით,"** - განაცხადა ქარხნის რეაბილიტაციის მმართველმა ბენო ქაშაკაშვილმა, რომელსაც არ დაუმალავს, რომ ქართული მხარისთვის ძველი ინვესტორის ახლით ჩანაცვლების სქემა მიუღებელია.

"არეს ინტერნეიშენელის" "მეტალ-ჯეოთი" ჩანაცვლებაზე საუბარი ნაადრევად მიაჩნია სავაჭრო პალატის თავმჯდომარეს ეროს კიწმარიშვილს, რომელიც, ამავდროულად, რუსთავის განვითარების კომისიას ხელმძღვანელობს.

**"ძველი ინვესტორის ბედი ჯერ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. ჩვენი ამოცანა იყო ქარხანაში შექმნილი სიტუაციის შეფასება და რეაბილიტაციის ახალი პროგრამის მოსმენაც ამიტომ მოხდა. დღეს ქარხანა გაურკვევლობის რეჟიმშია და ამით ჩვეულებრივი მუშა-პერსონალი ზარალდება. ამიტომ სახელმწიფომ შესთავაზა იტალიელებს, გააგრძელონ საქმიანობა, ანუ ქართული მხარე ხელს კი არ ჰკრავს იტალიელებს, არამედ თანამშრომლობას სთავაზობს,"** - განაცხადა ეროს კიწმარიშვილმა. მისი თქმით, დიალოგის სიძნელე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იტალიელ პარტნიორს არ სურს წარსულ პრობლემებზე საუბარი, ანუ საუბარი იმ შეუსრულებელ ვალდებულებებზე, რომლის შესახებაც უკვე არსებობს სახელმწიფო კომისიის დასკვნა.

ქართულმა მხარემ იტალიელების მიერ წარმოდგენილი რეაბილიტაციის ახალი გეგმის განხილვისთვის ორი კვირა ითხოვა. როგორც ჯან კარლო ონჯისმა განაცხადა, მასაც ზუსტად ამდენი დრო სჭირდება იმისათვის, რომ გადაწყვიტოს, წავლენ იტალიელები მეტალურგიული კომბინატიდან თუ არა. უფრო მეტიც, ონჯისის მტკიცებით, იტალიელები მათთვის არასასურველი პასუხის მიღების შემთხვევაში, აუცილებლად მიმართავენ რომელიმე საერთაშორისო სასამართლოს.

*მაია მოსიაშვილი*

# "ზარალას" ბრალი წაუყენეს

საერთაშორისო კომპანია "სილქროუდ ჯგუფის" წარმომადგენელს გიორგი რამიშვილს გუშინ ბრალი წაუყენეს. დაკავებულის ადვოკატის დავით კორკოტაშვილის განცხადებით, გიორგი რამიშვილს ბრალს, სავარაუდოდ, მხოლოდ იარაღის უკანონო შენახვის მუხლით წაუყენებენ. გიორგი რამიშვილი 2 მაისს უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრისა და ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს. მისი ბინის ჩხრეკისას, რომელიც 3 საათის მანძილზე მიმდინარეობდა, ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც რეგისტრირებული არ აღმოჩნდა. რამიშვილის ოჯახის წევრთა თქმით, იარაღი მათ სპეცჯგუფის წევრებმა ჩაუდეს. არსებული ინფორმაციით, დაჭერამდე რამდენიმე კვირით ადრე გიორგი რამიშვილს უშიშროებისა და შს სამინისტროს ოპერატიული სამსახური აკონტროლებდა, რის შესახებაც მას ინფორმაცია მიაწოდეს. "სილქროუდ ჯგუფის" წარმომადგენელი ამის გამო ჯერ გენერალურ პროკურატურაში გამოცხადდა, ხოლო შემდეგ პირადად შეხვდა უშიშროების მინისტრს.

*24 საათი*

# ძველი ცოდვები ჩამოწერილია, ძველი ნიშები - ივსება

*ნინო ბურჯანაძე იმ კანონსაწინააღმდეგო გარიგებებზე საუბრობს, რომელსაც წინა მოწვევის პარლამენტში ჰქონდა ადგილი. როგორც ირკვევა, "ბრითიშ ეარვეიზისა" და "თურქიშ ეარლაინზისთვის" ქართულ ავიაბაზარზე საქმიანობისთვის ლიცენზიის მიღების საკითხის განხილვა არც თუ უანგაროდ მიმდინარეობდა. "წინა პარლამენტში გარკვეული ძალები ლობირებდნენ ან ბლოკავდნენ ამ საკითხს, თანაც - არცთუ უანგაროდ. სახელდებოდა თანხები, რომელიც დეპუტატებმა ამისთვის მიიღეს", - აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე.*

თუმცა, ეს ყველაფერი უკვე წარსულია და საეჭვოა, პარლამენტის თავმჯდომარის ამ განცხადებით შემდგომში ვინმე დაინტერესდეს: გუშინ საბოლოოდ დასრულდა დავა, რომელიც ორი უცხოური ავიაკომპანიის გარშემო თითქმის წელიწადნახევარი გრძელდებოდა - თურქეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებთან საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საჰაერო ტრანსპორტის სფეროში გაფორმებულ ხელშეკრულებებს პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა.

საკითხის კენჭისყრაზე დაყენების წინ მემარჯვენე ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ გაბრძოლება მაინც სცადა. მისი თქმით, "ბრითიშ ეარვეიზსა" და "თურქიშ ეარლაინზს" საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ 28 მილიონი ლარის დავალიანება გააჩნიათ, ხოლო ავიაკომპანია "აირზენა" 2 მილიონი ლარით აზარალეს.

ასეთ მიდგომას არ დაეთანხმა პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, რომელსაც ამ საკითხის შესწავლა ჰქონდა დავალებული. მისი განცხადებით, უცხოური ავიაკომპანიები არაფერში ტყუიან და შეცდომები მათ მიმართ სახელმწიფოს მხრიდან იქნა დაშვებული. **"თანაც, სადავო თანხებს ვერ ამოვიღებთ, თუ ამ კომპანიებს მუშაობის საშუალებას არ მივცემთ,"** - სამთავრობოთაშორისო შეთანხმებების რატიფიცირებას გადაჭრით ითხოვდა მაჭავარიანი.

თითქმის ანალოგიური მოსაზრება გააჩნდა პარლამენტის თავმჯდომარესაც. **"წინა მთავრობის ცოდვებს ბრიტანულ და თურქულ კომპანიებს ნუ მოვთხოვთ. ეს თანხა მათი გადასახდელი ნამდვილად არ არის"**, - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ, რომელმაც არ გამორიცხა, რომ ზემოთ დასახელებული **"28 მილიონი ლარი იმ ხალხის ჯიბიდან იქნას ამოღებული, ვის გამოც ქვეყნის ბიუჯეტმა ეს თანხა დაკარგა."**

ისე, როგორც ჩანს, ლობირება და მავანთა ინტერესების დაცვა არც პარლამენტის დღევანდელი შემადგენლობისთვის არის უცხო ხილი: რამდენიმე დღის წინათ დაკავებულ გიორგი რამიშვილს ("ზარალას") ახალი მოწვევის საკანონმდებლო ორგანოში მხარდამჭერები გამოუჩნდნენ.

**"იმის ნაცვლად, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე იზრუნოს, უშიშროების სამინისტრო ბიზნესმენებს დასდევს და მათ დაპატიმრებას იარაღის დადებით ცდილობს,"** - დაკავებულის დაცვის მიზნით, ძალოვან სტრუქტურებზე მიიტანა იერიში დავით გამყრელიძემ.

თუ ის "ზარალას" დაცვას მისი ვინაობის დაკონკრეტების გარეშეც ახერხებს, დეპუტატი გია თორთლაძე თავისი პროტეჟეს სახელს სულაც არ ასაიდუმლოებს.

პარლამენტში თავისი ლობისტი ჰყავთ პენსიონრებსაც: მათი ინტერესების დასაცავად და საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შესატანად კობა დავითაშვილმა გუშინ ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. დეპუტატის თქმით, დაუშვებელია, რომ იმათ, ვისაც საპენსიო დავალიანება არა აქვთ, პენსია ემატება, ხოლო დავალიანების მქონეთ ნამატი თანხით ძველი დავალიანებები ეფარებათ, ანუ პენსია არ ეზრდებათ.

ახალ პარლამენტში, როგორც ჩანს, არც ძველი ნიშები დარჩება შესავსები: ვისაც საკანონმდებლო ორგანოში გურამ შარაძის არყოფნის გამო გული სწყდება, შეუძლია დამშვიდდეს - მათი კუმირის საქმის გამგრძელებელი უკვე გამოჩნდა. გუშინდელ სხდომაზე ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი გოჩა ფიფია აღშფოთებით საუბრობდა იმაზე, რომ **"მთავრობის ზოგიერთი წევრი თავის ეროვნულ წარმომავლობას და რელიგიურ აღმსარებლობას მალავს."**

ეს განცხადება პარლამენტის თავმჯდომარისთვის შოკისმომგვრელი გამოდგა. **"ფაშისტები ხომ არა ვართ, რომ ადამიანთა გენეტიკურ კოდებზე და სარწმუნოებრივ განსხვავებებზე გავამახვილოთ ყურადღება?"** - გოჩა ფიფიას გამოსვლის შემდეგ შეცბუნებული ჩანდა ნინო ბურჯანაძე.

გუშინდელი სხდომა პარლამენტარების "როტაციითაც" იყო გამორჩეული: ცნობილი იქნა ლევან გაჩეჩილაძის, ზაქარია შერაზადაშვილის, კონსტანტინე ბერიძისა და რამაზ თედორაძის სადეპუტატო უფლებამოსილება, გოგი თოფაძე და დავით მუმლაძე კი საკანონმდებლო ორგანოს გამოემშვიდობნენ.

გარდა ამისა, როგორც ვარაუდობენ, ახლო მომავალში პარლამენტში პოლიტიკური როქიც გაკეთდება: მინისტრობიდან გადამდგარი გიგი წერეთლის ადგილს, ალბათ, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ლადო ჭიპაშვილი დაიკავებს, ამ უკანასკნელის კაბინეტში კი აღმასრულებელი ხელისუფლებიდან პარლამენტში დაბრუნებული წერეთელი შებრძანდება.

*გიორგი ასანიშვილი*

*ორი სიტყვით*

**თბილისი.** "ახალი თაობა - ახალი ინიციატივა" - ასე ჰქვია ახლადდაარსებულ ორგანიზაციას, რომლის წევრებიც სტუდენტები არიან. ახალი ორგანიზაციის პირველივე პრესკონფერენცია ბათუმში სტუდენტური აქციის დარბევის ფაქტს მიეძღვნა. **"ჩვენ სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ ჩვენს ბათუმელ მეგობრებს და თავადაც ვაპირებთ მათ მხარდასაჭერად მშვიდობიანი აქციების ჩატარებას,"** - განაცხადა აფხაზეთის სტუდენტურ ორგანიზაციათა გაერთიანების თავმჯდომარემ მამუკა წაქაძემ. **"არჩევნები ერთადერთი გამოსავალია ამ კონფლიქტიდან თავის დასაღწევად,"**- აცხადებენ სტუდენტები. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოს ხელისუფლებასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას მშვიდობიანი დიალოგისაკენ მოუწოდებს. როგორც ჟურნალისტებს სამშაბათს თბილისში დაგეგმილ წმინდა სინოდის შეკრებაზე მონაწილეობის მისაღებად ჩამოსულმა ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ განუცხადა, აჭარასთან დამაკავშირებელი ხიდების აფეთქების მიუხედავად, მშვიდობიანი დიალოგის ყველა რესურსი ჯერჯერობით არ ამოწურულა. მისი თქმით, ეკლესია მხარეებს მშვიდობისაკენ მოუწოდებს, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, როგორც ქვეყნის, ასევე ავტონომიის რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ. **პრაიმ-ნიუსი**

*ოფიციოზი*

# საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №362

*2004 წლის 3 მაისი ქ. თბილისი*

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რადიოაქტიური ნივთიერებების უსაფრთხოდ შენახვისათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საცავის შექმნის შესახებ.

საქართველოს მთავრობამ ერთ თვეში მოამზადოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რადიოაქტიური ნივთიერებების უსაფრთხოდ შენახვის მიზნით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საცავის შექმნისათვის გადაწყვეტილების პროექტი.

*მიხეილ სააკაშვილი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ჩიხიდან გამოსავალი - ასლან აბაშიძის გადადგომა

პირველი გვერდიდან

ამიტომ იგი უფრო "შორს იყურება" და მოუწოდებს მთავრობას, მოახდინოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის კორექტირება თავდაცვითი ხარჯების გაზრდის კუთხით.

**"ასლან აბაშიძის სახით საქმე გვაქვს დაჭრილ, ცოფიან მხეცთან, რომლის შემდგომი ქმედებების გათვლა შეუძლებელია",** - შექმნილი ვითარების სირთულეს დეპუტატი ალექსანდრე შალამბერიძეც აღნიშნავს, რომელსაც მიაჩნია, რომ ასლან აბაშიძის მიმართ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და მოხდეს მისი პირადი საბანკო ანგარიშების გაყინვა. გარდა ამისა, შალამბერიძე მოითხოვს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გენერალი იური ნეტკაჩოვი "პერსონა ნონ გრატად" გამოაცხადოს.

მართალია, დეპუტატის ეს მოთხოვნები განცხადების გუშინდელ ტექსტში არ აისახა, მაგრამ, სამაგიეროდ, მასში გაჩნდა ჩანაწერი, რომლითაც საკანონმდებლო ორგანო რუსი გენერლის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს.

ბევრ დეპუტატს მიაჩნია, რომ იური ნეტკაჩოვის ზურგს უკან ოფიციალური მოსკოვი დგას და ჩოლოქისა და ქაქუთის ხიდების ამფეთქებელი გენერალი რუსეთის ხელისუფლების ფარული მხარდაჭერით სარგებლობს. სწორედ ამ ვარაუდიდან გამომდინარე დაასკვნის პარლამენტარი ბეჟან გუნავა, რომ **"რუსეთის თანხმობის გარეშე ასლან აბაშიძე თავხედური ნაბიჯების გადადგმას ვერ გაბედავდა".**

რუსეთის ვითომდა "ნეიტრალური და გაწონასწორებული" პოზიციით უკმაყოფილებას გამოთქვამს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. **"მაოცებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადება. გაუგებარია პანკისის ხეობასა და ტერორიზმთან ბრძოლაზე საუბარი იმ დროს, როდესაც იური ნეტკაჩოვი აჭარაში ხიდების აფეთქებას ხელმძღვანელობს",** - შენიშნავს პარლამენტის სპიკერი.

ერთადერთი, ვინც გუშინ პარლამენტის მიერ სპეციალური განცხადების მიღების წინააღმდეგ გამოვიდა, "აღორძინების" წარმომადგენელი, დეპუტატი ვახტანგ აბაშიძე იყო. მისი აზრით, ბათუმსა და ქობულეთში მიტინგების დარბევა სრულიად ბუნებრივია, რადგან **"პროვოკაციულ საპროტესტო აქციებს ყველა ქვეყანაში არბევენ".**

ხელვაჩაურის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ამ განცხადებას სხდომათა დარბაზში, ბუნებრივია, აღშფოთება მოჰყვა, მაგრამ ვახტანგ აბაშიძემ უკან მაინც არ დაიხია.

**"თუ ავტონომიურ რესპუბლიკაში სიმშვიდე არ გინდათ, მაშინ გამოუცხადეთ აჭარას ომი და დასვით იქ ხაბაზი პრეზიდენტად",** - ცეცხლზე ნავთი დაასხა ასლან ბაბუს მოგვარემ.

**"კი მაგრამ, ვისა აქვს უფლება, მშვიდობიან მომიტინგეებს თავ-პირი დაუსისხლიანოს?!",** - ვახტანგ აბაშიძის ლოგიკით განცვიფრება ვერ დამალა პარლამენტის თავმჯდომარემ, "რიგითმა" პარლამენტარებმა კი "აღორძინების" წარმომადგენელს აჭარაში ჩასვლა ურჩიეს: **"დღეს აქ კი არა, იქ უნდა იყოთ, სადაც თქვენს ამომრჩევლებს არბევენ".**

იმას, რასაც ვახტანგ აბაშიძე, ალბათ, არ გააკეთებს (ამომრჩეველთა უფლებების დაცვისთვის ბრძოლა), თავის თავზე იღებს ხელისუფლება. **"სახელმწიფო არავითარ შემთხვევაში არ მიატოვებს გასაჭირში თავის მოქალაქეებს და არ დატოვებს მათ აჭარაში არსებული ანტიდემოკრატიული რეჟიმის მძევლებად",** - ნათქვამია პარლამენტის მიერ მიღებულ განცხადებაში.



კობა დავითაშვილი სამხედრო ხარჯების გაზრდის მომხრეა.

### დარბევა ბათუმში პირველადი მონაცემები

**დაშავებულია - 50 მოქალაქე;**

**საავადმყოფოში იმყოფება 13 მოქალაქე, 6 - მძიმე მდგომარეობაშია, ერთი - რეანიმაციაში. "გაერთიანებული ოპოზიცია - ჩვენი აჭარა"-ს ოფისი დარბეულია.**

**დარბევაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ე.წ. სპეცრაზმი - ასლან აბაშიძის პირადი გვარდია.**

**მძიმედ დაშავებულები არიან: თემურ ჭანტურიშვილი, ბათუმის პედაგოგიური კოლეჯის დირექტორი (იმყოფება რეანიმაციაში), რეზო შავაძე, ალექსანდრე იაკოვენკო, როინ ნიჟარაძე, გურამ სალაძე.**

# საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო განცხადება

როგორც იცით, აჭარაში განვითარდა მოვლენები და მოხდა ადგილობრივი ხელმძღვანელობის, კერძოდ ასლან აბაშიძის ბრძანებით სპონტანური მიტინგების დარბევა ბათუმის რამდენიმე წერტილში და ქობულეთში.

გარდა ამისა, რუსეთიდან ჩამოსულმა გენერალმა ნეტკაჩოვმა დანაღმა ბათუმის ტერმინალის მიმდებარე ტერიტორია და ჩაქვის ხიდი, რათა არ დაეშვათ მოძრაობა ქობულეთიდან ბათუმისკენ.

ჩვენთვის სრულიად ნათელია, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელის პოლიტიკა სცდება ყველა დასაშვებ ზღვარს.

მე დღეს აღარ მივმართავ ადგილობრივ ხელმძღვანელობას, მაგრამ მინდა, მივმართო აჭარაში დისლოცირებულ შეიარაღებულ ფორმირებებს და ადგილობრივ პოლიციას:

როგორც იცით, უკანასკნელი დღეების განმავლობაში აჭარაში დისლოცირებული შეიარაღებული ძალების უმრავლესობა ჩემი ბრძანებით გამოყვანილი იქნა. აჭარიდან გამოვიდა შინაგანი ჯარის მთელი შემადგენლობა, გარდა სამი კაცისა. გამოვიდა 25-ე ბრიგადის მთელი შემადგენლობა, გარდა ორი კაცისა და საგანგებო სწრაფი რეაგირების რაზმის შემადგენლობის ძირითადი ბირთვი.

ვიცი ისიც, რომ ბათუმის პოლიციის თანამშრომლების უმრავლესობამ უარი თქვა დარბევაში მონაწილეობის მიღებაზე და არ შეასრულა ადგილობრივი ხელმძღვანელის დანაშაულებრივი ბრძანება.

მე მინდა, ვუბრძანო ყველა შეიარაღებულ პირს აჭარაში და აჭარის პოლიციის ყველა წევრს: მე გიბრძანებთ თქვენ, არ შეასრულოთ ასლან აბაშიძის არც ერთი ბრძანება საგანგებო მდგომარეობასთან და ხალხის დარბევასთან დაკავშირებით!

ამ საგანგებო მდგომარეობას ვაცხადებ სრულიად უკანონოდ!

მე მოვუწოდებ ყველას, შეძლებისდაგვარად დაგვეხმარონ იმაში, რომ სიტუაცია განვმუხტოთ და დავიცვათ ჩვენი მოქალაქეები!

ასლან აბაშიძის თამაში არის ძალიან მარტივი. ის ცდილობს დააფიქსიროს კონფლიქტი საქართველოსა და აჭარას შორის. დღეს, ჩვენმა აჭარლებმა მთელი მსოფლიოს თვალში ძალიან ნათლად გასცეს პასუხი ამ კითხვაზე - არ არსებობს არანაირი კონფლიქტი საქართველოსა და აჭარას შორის!

არსებობს კონფლიქტი ადგილობრივ თავგასულ ფეოდალსა და მის მოსახლეობას შორის!

აბაშიძის თამაში არის ის, რომ აჭარა გამოყოს საქართველოდან!

სრულიად ნათელია, რომ ის სწორედ ამისკენ მიილტვის და კონფლიქტური სიტუაციის ინსპირირებას ცდილობს იმისთვის, რათა შექმნას გარეშე ძალის ჩარევისთვის იურიდიული საფუძველი!

მე ვფიქრობ, დღევანდელი დღის შემდეგ ის ამის გაკეთებას ვერც ერთ შემთხვევაში ვეღარ მოახერხებს!

სრულიად ნათელია, რომ საქართველოს ამ კუთხეში ცხოვრობს ღირსებით, პატრიოტიზმით, სამშობლოს უზომო სიყვარულით აღჭურვილი ხალხი, რომელიც ძალიან სერიოზულ პასუხს გასცემს ყველანაირ სამარცხვინო და, მით უმეტეს, სეპარატისტულ მოქმედებებს!

აჭარის მოსახლეობამ მთელ საქართველოს დაანახა გამბედაობის და სიმამაცის არნახული მაგალითები და აჩვენა ღირსების უზარმაზარი შეგრძნება, რომელიც ამ ხალხს გააჩნია!

ეს არის აჭარის მთელი მოსახლეობა!

დღეს ისინი დაარბიეს კრიმინალური ელემენტების გამოყენებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვინმე შეაჩერებს ხალხის ნებას. ვერც ადგილობრივი მართველი შეაჩერებს ამას და ვერც ვერანაირი გარეშე ძალა!

გაკეთდა აშშ-ს ძალზე მკაცრი განცხადება, სადაც კატეგორიულად დაგმობილია აბაშიძის რეჟიმი და მისი ქმედებები!

ეს არის იმ ადამიანების დამსახურება, რომლებმაც დღეს ეს გმირობა ჩაიდინეს. აღნიშნული მიტინგები ორგანიზებული არ ყოფილა, ისინი სპონტანურ ხასიათს ატარებდნენ!

არ შეიძლება იქ, სადაც არის ღირსებით აღჭურვილი ხალხი, ბოგინობდეს ვიღაც გაუნათლებელი, სამშობლოს ღალატის გრძნობით განმსჭვალული ადამიანების ჯგუფი!

ჩვენ ყველანი ვდგავართ თქვენ გვერდით, უბრალოდ უნდა გამოვიჩინოთ მაქსიმალური წინდახედულობა და სიფრთხილე, მაგრამ, ამავე დროს, არ უნდა შევეგუოთ უსამართლობას!

უნდა გამოვიჩინოთ ბევრად მეტი ორგანიზებულობა, დარაზმულობა, შეკრულობა!

დღეს მთელი საქართველო თქვენ იმედის თვალით შეგყურებთ!

საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდი აკეთებს ძალიან მნიშვნელოვან განცხადებას. ასევე, ჩვენ მივმართავთ მუსლიმანურ ლიდერებს აჭარაში და მის გარეთ: ძალიან დიდ პატივს ვცემთ ამ რელიგიას და ჩვენ ყოველთვის ვიქნებით აჭარაში მუსლიმანების უფლებების დამცველი, ისევე, როგორც დავიცავთ აჭარის ავტონომიურ სტატუსს და ადგილობრივი მოსახლეობის უფლებას, აირჩიოს საკუთარი ხელისუფლება ყოველგვარი ჩარევის გარეშე; აირჩიოს ისეთი ხელისუფლება, რომელიც ემსახურება საქართველოს და თითოეული მათგანის ინტერესებს!

ამიტომ ჩვენ ვდგამთ გადაუდებელ საორგანიზაციო ნაბიჯებს!

ჩვენ არ მიგატოვებთ გაჭირვებაში!

ჩვენ ერთმანეთს უნდა დავუდგეთ გვერდში, არა მხოლოდ პრეზიდენტი და მთავრობა, არამედ მთელი საქართველო!

მთელ საქართველოს სჭირდება განსაკუთრებული მობილიზება ამ დღეებში და განსაკუთრებული სიმტკიცე!

მე დარწმუნებული ვარ და დარწმუნებული იყავით თქვენც, რომ არც ერთ თქვენგანს არ მივატოვებ გაჭირვებაში!

მზად ვარ, ყველანაირი ნაბიჯი გადავდგა, როგორც თქვენ მიერ არჩეულმა ხელისუფალმა, ჩვენს პარლამენტთან და მთავრობასთან ერთად და როგორც ამ ქვეყნის ერთ-ერთმა შვილმა იმისთვის, რომ ეს სამარცხვინო ფურცელი საქართველოს ისტორიაში ერთხელ და სამუდამოდ ყველამ ერთად გადავფურცლოთ!

*სახელმწიფო*
*საინფორმაციო სამსახური*

# ვალერია ნოვოდვორსკაია: "საჭიროა ასლან აბაშიძის სასწრაფო იზოლირება"

პირველი გვერდიდან

კრემლს დღეს არაფრის ძალა აღარ აქვს. რუსული არმია მთლიანად გახრწნილია, არავითარ სამხედრო სახის დახმარებაზე მოსკოვის მხრიდან ლაპარაკიც არ იქნება. დღეს მოსკოვი აბაშიძის მხარდაჭერას ვერ ბედავს. პირადად მე მეცინება, როცა ვიღაცა მოსკოვში ყარსის ვალდებულებებს იხსენებს. კაკოშინი და სხვა რუსი სამხედროები საბჭოთა კავშირში დარჩნენ. თურქეთს მეტი საქმე არ აქვს, დღეს საქართველოს საქმეებში ჩაერიოს. მისი პრობლემა ის უფროა, რომ ევროსაბჭოში არ ღებულობენ.

**- გენერალ ნეტკაჩოვის მიერ აჭარაში ხიდების აფეთქება არ ნიშნავს საქართველოს საქმეებში უცხო ძალის ჩარევას?**

- ნეტკაჩოვი ისეთივე გენერალია, როგორც ალბერტ მაკაშოვი - უპასუხისმგებლო და მექრთამე. მათი განცხადებები რუსეთის ხელისუფლების მიერ არაა სანქცირებული. მათ მოსკოვში არავინ უსმენს. ნეტკაჩოვი აბაშიძემ გააბრიყვა. ეს ორი ბრიყვი კი სერიოზულად დასასჯელია. მე სააკაშვილის ადგილას რომ ვიყო, დღესვე დავაპატიმრებდი აბაშიძეს და პირდაპირ ორთაჭალის ციხეში ვუკრავდი თავს.

**- მაგრამ, აბაშიძე ხომ მაინც რუსეთის პოლიტიკურ წრეებს ეყრდნობა, საქართველო კი ერიდება კრემლის გაღიზიანებას?**

-კრემლში, ჩანს, შეშფოთებულები არიან, აბაშიძე მოსკოვში ვეღარ ჩამოჰყავთ -მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ეშინიათ. ლუჟკოვის დონეზე წვრილ-წვრილი სისაძაგლეებისთვის ვეღარ მოიცლის მოსკოვი, რადგანაც სააკაშვილს უკვე მისცეს აჭარაში ნეიტრალიტეტის პირობა. ამ პირობის დარღვევისათვის მოსკოვი ვაშინგტონს გასცემს პასუხს და არა შევარდნაძეს, რომელმაც თავისი ბოლო წერილით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ აბაშიძე მისი დანაშაულებრივი მოღვაწეობის მავნე პროდუქტია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საჭიროა აბაშიძის დაუყოვნებელი იზოლაცია, რადგანაც იგი საკუთარი ხალხის უსაფრთხოებას სერიოზულად ემუქრება. მოსკოვი მხარს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუჭერს ჭკუიდან გადასული ადამიანის აგონიას.

**- როგორ წამოგიდგენიათ აბაშიძის იზოლაცია დღევანდელ ვითარებაში?**

- აბაშიძე რომ დღეს ტერორისტია, ამას მტკიცებაც არ სჭირდება, ფაქტები სახეზეა. საკუთარ მოსახლეობას მძევლად მხოლოდ დაუნდობელი, სისხლის მსურველი ტერორისტები აქცევენ. ამიტომ იგი უნდა შეიპყრონ, როგორც ტერორისტი.



ვალერია ნოვოდვორსკაია.

# თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

შეშფოთებით ვადევნებთ თვალყურს საქართველოს მთავრობასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შორის გარკვეული პერიოდის განმავლობაში არსებულ, დაძაბულობის ესკალაციისკენ მიმართულ ბოლო მოვლენებს.

თურქეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მეზობელი საქართველოს სტაბილურობასა და მთელი ქართველი ხალხის კეთილდღეობას. თურქეთს ეჭვი არ ეპარება, რომ მხარეები იმოქმედებენ გაწონასწორებულად და კეთილგონივრულად, რათა აცილებულ იქნას პროცესების არასასურველი განვითარება.

აქედან გამომდინარე, თურქეთი მიესალმება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2 მაისის განცხადებაში ხაზგასმულ სამართლებრივ მოწყობას, სამშვიდობო და დემოკრატიულ მეთოდებს.

თურქეთს გადაწყვეტილი აქვს საქართველოსთან ურთიერთობები კვლავაც წარმართოს მეგობრობისა და კეთილმეზობლობის საფუძველზე. თურქეთი მრავალჯერ დაამტკიცებს არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით, რომ იგი არის სრულიად საქართველოს ჭეშმარიტი მეგობარი.

*ანკარა, 4 მაისი, 2004წ.*

# ის გაკოტრებულია

პირველი გვერდიდან

დღეს თუ ხვალ აბაშიძე დარჩება მარტო, ის გაკოტრებულია და ეს მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების დამსახურება არ არის. ეს იმ არასწორი ნაბიჯების შედეგია, რომლებიც აბაშიძემ რევოლუციის პერიოდში და მის შემდგომაც თავად გადადგა. მან უარი თქვა ყველანაირ დიალოგზე, იგი არ წავიდა იმ თამაშის წესებზე, რაც ახალმა რეალობამ უკარნახა და რასაც საქართველოს მთავრობა სთავაზობდა. დღეს აბაშიძე გამოდის და აცხადებს, რომ მზად არის ომისთვის. არავითარ შემთხვევაში არც ერთი აჭარელი არ აიღებს ხელში იარაღს და არ ესვრის თავის მოძმეს.

**- ხიდების აფეთქება და მშვიდობიანი დემონსტრაციების დარბევაც სხვამ აიძულა? ეს გადაწყვეტილებები აბაშიძეს არ მიუღია?**

- ნებისმიერ გადაწყვეტილებას აბაშიძე თავად, ერთპიროვნულად იღებს, მაგრამ, ვიმეორებ, მას დეზინფორმაციას აწვდიან. აბაშიძეს ჰქონდა შანსი, სიტუაციიდან გამოსულიყო. დღეს აბსურდია იმის მტკიცება, რომ აჭარაში ვინმე ძალის გამოყენებას გეგმავდა. საქართველოს ხელისუფლებამ მშვენივრად იცის, რომ იქ იარაღის გამოყენება დაუშვებელია. მე, როგორც იმ რეგიონის წარმომადგენელი, გარწმუნებთ, რომ აჭარა სულ სხვა სპეციფიკის რეგიონია, იქ ერთი ტყვიაც არ უნდა გავარდეს. აჭარაში იარაღის გამოყენება, პირველ რიგში, ასლან აბაშიძეს აძლევს ხელს. საქართველოს ხელისუფლებამ ეს იცის. ერთადერთი იარაღი, რისი გამოყენებაც საქართველოს ხელისუფლებას აჭარაში აბაშიძის წინააღმდეგ შეუძლია, ეს არის ხალხი. ხალხი ერთადერთია, რაც აბაშიძეს მართლა შეაშინებს...

**- ამიტომ არბევს მშვიდობიან მომიტინგეებს?**

- მე ძალიან კარგად ვიცი ბატონი ასლანის ხასიათი. გარწმუნებთ, თუკი რამემ შეიძლება დაამარცხოს იგი, ეს არის ხალხი. აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი დღეს ჩუმადაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი აბაშიძეს უჭერენ მხარს. მოსახლეობის ამ ნაწილს ძალიან აინტერესებს, ვინ იქნება აბაშიძის შემდგომ. პრეზიდენტს დღეს აქვს რესურსი - ხალხის მხარდაჭერა და თუ იგი ამ რესურსს გონივრულად არ გამოიყენებს, აუცილებლად დაკარგავს მას. რატომ არსად ჩანს აჭარის ინტელიგენცია? ვის უნდა გაჰყვეს ხალხი? სად არის ლიდერი? ეს არის დღეს ყველაზე მთავარი პრობლემა - საქართველოს ხელისუფლებას აჭარაში ლიდერი არ ჰყავს. აჭარაში ოპოზიცია კოორდინირებულად არ მუშაობს.

**- "ჩვენი აჭარის" წევრები ლიდერებად არ გამოდგებიან?**

- მე არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ. ამ მოძრაობის წევრებს დიდი დამსახურება მიუძღვით ამ რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში, მაგრამ "ჩვენი აჭარა" არ არის საკმარისი ძალა. და თანაც, "ჩვენი აჭარის" არც ერთ ლიდერს არ უთქვამს, მე ვიქნები აბაშიძის შემდეგო. ლიდერი აუცილებლად უნდა დასახელდეს. აი, ამიტომ არ გამოდის ხალხი ქუჩაში.

**- თქვენ ხომ არ გეგულებათ ლიდერი, რომელსაც ხალხი გაჰყვება?**

- იცით რა, კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ აჭარა ძალიან სპეციფიკური რეგიონია, სადაც დიდი მნიშვნელობა აქვს გვარს, წარმომავლობას, ტრადიციებს. ბათუმში სხვა ტრადიციებია, ქობულეთში - სხვა, ხულოში, ქედაში, ხელვაჩაურში - სხვა. ეს უნდა იცოდეს ყველამ, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტმა და მისმა გუნდმაც.

ლიდერი, რომელიც ხალხს სათავეში ჩაუდგება, ერთნაირად მისაღები უნდა იყოს ბათუმელებისთვისაც, ქობულეთელებისთვისაც... ძალიან ბევრი ადამიანია აჭარაში, ვინც ხალხში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, უბრალოდ, საქართველოს ხელისუფლებამ ამ მიმართულებით უნდა იმუშაოს. ვფიქრობ, ასეთი ადამიანის პოვნა არ გაჭირდება. ძალიან ბევრი გვარია აჭარაში, რომელსაც დიდი ტრადიციები და წარსული აქვს. ამ გვარის წარმომადგენლები პრეზიდენტის გვერდით უნდა გამოჩნდნენ. გვარის თავკაცებს უნდა მოუყაროთ თავი. გვარის თავკაცი თუ ეტყვის თავის გვარს, იარაღი არ აიღოთ ხელშიო, ყველა მას დაემორჩილება. ასეთი ტრადიციებია აჭარაში.

**- საქართველოს ხელისუფლების მიერ წაყენებულმა ულტიმატუმმა არ შეაშინა?**

- ბატონი ასლანის ხასიათიდან გამომდინარე, როცა მის მიმართ რაიმე აგრესია მიმდინარეობს, იგი ამ დროს სტიმულს ღებულობს, მისი მოქმედებები უფრო გამბედავია. როცა შევარდნაძე რაიმე მწვავე განცხადებას გააკეთებდა მისი მისამართით, ის უფრო ენერგიული ხდებოდა.

**- ე.ი. დღეს აბაშიძე თავს ენერგიულად გრძნობს?**

- დიახ, იცით, ახლა შეიძლება მან რაღაც დაუფიქრებელი ნაბიჯებიც კი გადადგას. არ მგონია, რომ ეს ულტიმატუმი გამოსავალი იყოს. აბაშიძეს უკან დასახევი გზა აღარ აქვს, ის ყველაფერზე წავა. მე ვიცი მისი ხასიათი, ის უკან არ დაიხევს. ის ცოტა ზემოდან უყურებს ამ ყველაფერს. აბაშიძე ვერ ეგუება იმ რეალობას, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაშია. როცა მტერთან საბრძოლველად მიდიხარ, მისი სუსტი მხარეები უნდა იცოდე...

**- და რა არის აბაშიძის სუსტი მხარე?**

- ხალხი. ხალხი უნდა გამოვიდეს ქუჩაში. ამისთვის, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ლიდერია საჭირო.

**- სააკაშვილს არ გაჰყვება ხალხი?**

- სააკაშვილი ხალხის ძალიან დიდი მხარდაჭერით სარგებლობს, მაგრამ ის ხომ არ ჩამოვა ბათუმში და არ მართავს აჭარას?

**- შეიძლება აბაშიძემ გაისროლოს?**

- მისი ხასიათიდან გამომდინარე, მას მიაჩნია, რომ იგი ისტორიულ მისიას ასრულებს და მან უნდა ისროლოს. მაგრამ, როგორც კი ამას გააკეთებს, ჩათვალეთ, რომ არა მარტო პოლიტიკური, არამედ ფიზიკური ლიკვიდაციაც ელოდება.

**- ამბობენ, რომ აბაშიძის გარემოცვა ნელ-ნელა იშლება...**

- ორი წლის წინ აბაშიძე იყო ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი. მის გარშემო იყვნენ ისეთი ადამიანები, როგორიცაა მუხრან მაჭავარიანი, გიორგი თარგამაძე, ვალერი გელბახიანი... აბაშიძემ ეს ბირთვი მოიშორა და როგორც კი მოიშორა, გაკოტრდა. აბაშიძე ყოველთვის თვითონ არის ღალატის პირველწყარო.

იმ თერთმეტი წლის განმავლობაში, რაც მე მას ვიცნობ, არავის პირველს არ უღალატია მისთვის, ყველას თავად მან უბიძგა.

აბაშიძე ძალიან ეჭვიანი კაცია. მას ჰგონია, რომ ყველა, ვინც მის ირგვლივ მუშაობს, აგენტია.

წლების განმავლობაში, პარტიული ლიდერები, რომლებიც თბილისში მოღვაწეობდნენ, თბილისისაგან მტრის ხატს ქმნიდნენ, ყოველთვის არწმუნებდნენ აბაშიძეს, რომ ვიღაცა მას უწყობს შეთქმულებას, ტერაქტს და ა.შ. სხვათა შორის, ის ტერაქტები, რომლებიც ვითომდა აბაშიძის წინააღმდეგ მზადდებოდა, აჭარის უშიშროების სამინისტროს მიერ იყო შეთხზული. მე თავად მინახავს ეს დოკუმენტები და ვიცი. აი, ასე, შიშის ქვეშ იყო იგი წლების განმავლობაში. რაც შეეხება მის გარემოცვას, დღეს მის უახლოეს გარემოცვას კრიმინალები ან ყოფილი კრიმინალები წარმოადგენენ, რომელთაც მოსახლეობაში არავითარი ავტორიტეტი არა აქვთ.

ერთ მაგალითს გეტყვით, რომ თქვენთვის უფრო გასაგები იყოს ბატონი ასლანის ხასიათი: ერთ დღეს მე ტელევიზიით რაღაც განცხადება გავაკეთე. იმავე დღეს დაემთხვა ქალაქის მერის გიორგი აბაშიძის სატელევიზიო გამოსვლაც. ბატონმა ასლანმა დამიძახა და მითხრა: შენ გიორგისთან ერთად ერთსა და იმავე დღეს არ უნდა გამოხვიდე ტელევიზიითო. გაოცებული დავრჩი... აი, რატომ ჰყავს მას ასეთი გარემოცვა - არავის მის გარშემო არ უნდა გამოეთქვა საღი აზრი, არავის არ უნდა ეთქვა რაიმე ჭკვიანური წინადადება. სწორედ ეს იყო მიზეზი გიორგი თარგამაძის ჩამოშორების. ასლან აბაშიძის გარშემო საღი აზრი არ უნდა ყოფილიყო.

**- თქვენ რატომ წამოხვედით აბაშიძის გარემოცვიდან?**

- მე დღემდე არ ვიცი, რა მოხდა მაშინ, 2003 წლის სექტემბერში... 1 სექტემბერს ჩემს ოჯახში ტრაგედია დატრიალდა, ძმა გარდამეცვალა. ზუსტად ამ ტრაგედიის დღეს დამიკავშირდა ბატონი ასლანის რეფერენტი და მითხრა, რომ აბაშიძე მიბარებს. ვიფიქრე, ალბათ, მომისამძიმრებს-მეთქი. როდესაც მივედი, უშიშროების საბჭოს სხდომა იყო. იქ მან თქვა, რომ მე აჭარის ტელევიზიის ხელმძღვანელად მუშაობის დროს ფინანსურ მაქინაციებში ვიყავი გახვეული. ზუსტად იმ ტრაგედიის დღეს, მაშინ, როცა მე მისგან მორალურ მხარდაჭერას ველოდი, მან გამწირა. ის ყოველთვის მეუბნებოდა, რომ შენ და გიორგის არ გარჩევთო... ზუსტად იმავე დღეს იგი ტელევიზიით გამოვიდა და თქვა, რომ თამაზ ბაკურიძე ყველა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებულიაო. ეს მოხდა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.

იგი ჩემი ძმის სამძიმარზეც არ ამოსულა, მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემთან ახალგაზრდობისდროინდელი მეგობრობა აკავშირებს.

ამ ფაქტს აჭარის საზოგადოება ძალიან უარყოფითად შეხვდა. ყველა აღნიშნავდა, რომ ასეთ დროს აბაშიძეს ასეთი რამ არ უნდა გაეკეთებინა...

**- განაწყენებული ადამიანის პოზიციიდან ხომ არ საუბრობთ?**

- ვერ ვიტყოდი, რომ ის, რასაც მე ვამბობ, განაწყენებული ადამიანის პოზიციაა. პირიქით, მე მივმართავ ბატონ ასლანს: ნუ გააკეთებს ისე, რომ ყველა ის სიკეთე, რაც მან ჩვენი კუთხისთვის გააკეთა, წყალში ჩაიყაროს. ნუ გააკეთებს ისე, რომ მისი მოღვაწეობა ჩვენი კუთხის, მისი გვარის ისტორიაში სამარცხვინო ლაქად დარჩეს.

# ბაქო-თბილისი-ჯეიჰანზე გეგმიურად გრძელდება მუშაობა

### BP-მ კრედიტის პირველი ნაწილი - 1,6 მილიარდი დოლარი - უკვე მიიღო

*ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სამშენებლო სამუშაოები გეგმიური გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს. საქართველოში ამოქმედდა მეორე სამშენებლო კომპლექსი, რომელმაც მილსადენის დადგენილ მარშრუტზე - ახალციხეში, თურქეთის საზღვრის სიახლოვეს დაიწყო სამშენებლო სამუშაოები. დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მილების 63 პროცენტი უკვე შედუღებულია და სამუშაოების 65 პროცენტი შესრულებულია.*

ნინო ნარჩემაშვილი

აზერბაიჯანში, თურქეთსა და საქართველოში მილსადენის მშენებლობაზე 15 ათასი ადამიანია დასაქმებული. მილსადენის საერთო სიგრძე 1765 კილომეტრია, საქართველოში მილსადენის 249-კილომეტრიანი მონაკვეთი გადის. სამ ქვეყანაში რვა საქაჩი სადგური იმუშავებს, მათ შორის ორი - საქართველოში, თეთრი წყაროსა და გარდაბანში. ნავთობის პირველმა პარტიამ ნავთობსადენში 2005 წლის მეორე კვარტალში უნდა გაიაროს. მილსადენის მეშვეობით დღეში 1 მილიონი ბარელი ნავთობი გადაიზიდება. ნავთობის მოპოვებით სამუშაოებზე, რომლებიც ზღვაში მიმდინარეობს, ყოველდღიურად - ექვსი მილიონი აშშ დოლარი, სახმელეთო სამუშაოებზე კი ოთხი მილიონი აშშ დოლარი იხარჯება. მოლაპარაკებების შედეგად საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ მილსადენის მშენებლობისათვის 2,5 მილიარდი დოლარი იქნა გამოყოფილი, რომლის პირველი ნაწილიც - 1,6 მილიარდი დოლარი - მარტის თვეში უკვე მიღებულია.

ასეთი მონაცემებით დაახასიათა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კონმპანიის გენერალურმა მენეჯერმა მაიკლ ტაუზენდმა მილსადენის მშენებლობაზე დღეისათვის არსებული სურათი. მისი განცხადებით, აღნიშნული 2,5 მილიარდი აშშ დოლარი არის უდიდესი სესხი, რომელიც ოდესმე გაცემულა კერძო კომპანიისათვის და ეს მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას აკისრებს სამუშაოთა შემსრულებლებს.


ვახო ხეცურიანის ფოტო

*დაღვრილი ნავთობის ხარჯებს ინვესტორი კომპანია გაიღებს.*

კომპანია "ბრითიშ პეტროლიუმის" (BP) გენერალური მენეჯერის ედ ჯონსონის ინფორმაციით, კომპანიამ საქართველოს მთავრობას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიდან ნავთობის დაღვრის შემთხვევაში სპეციალისტთა რეაგირების გეგმა წარუდგინა. მისი თქმით, შეკვეთილია და საქართველოში ჩამოვა მოწყობილობები, რომლებიც ნავთობის დაღვრილი მასის ამოქაჩვას მოემსახურება. მისი განმარტებით, **"საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, დაღვრილი ნავთობის ხარჯებს ინვესტორი კომპანია გაიღებს, თუმცა ქართულმა მხარემ მილსადენის უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს; მესამე პირმა ნავთობსადენი არ უნდა დააზიანოს".** მისივე ინფორმაციით, BP მთავრობას ნავთობსადენის დაცვის გეგმის შემუშავებასა და სათანადო მოწყობილობების შეძენაშიც ეხმარება.

ალსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება - მილები ნავთობსადენის მშენებლობისათვის საქართველოს ორივე - ფოთისა და ბათუმის პორტებში შემოდის (საქართველოს ტერიტორიის გავლით ხდება აზერბაიჯანში მიმდინარე მშენებლობისათვის განკუთვნილი მილების ტრანპორტირებაც). ტვირთის შემოსვლა, საბედნიეროდ, აჭარაში დაწყებულ არეულობამდე მოხდა და ამჟამად მილების ყველა პარტია გამოტანილია აჭარიდან, ხოლო შემდეგი პარტიის შემოსვლა ივნისის პირველ რიცხვებშია დაგეგმილი, რომლის ტრანსპორტირებაც აფეთქებული ხიდებისა და დანგრეული ლიანდაგების ფონზე შეუძლებელი იქნება. მაიკლ ტაუზენდი იმედს გამოთქვამს, რომ ამ დროისათვის სიტუაცია დარეგულირდება, თუმცა ტვირთების ტრანსპორტირება მხოლოდ ფოთის პორტიდანაც არის შესაძლებელი. ასე რომ, აჭარაში განვითარებული მოვლენები ნავთობსადენის მშენებლობასა თუ ექსპლუატაციას ვერ შეაფერხებს. რაც შეეხება ნავთობის საქართველოზე ტრანსპორტირების შეწყვეტას, მაიკლ ტაუსენდის განცხადებით, აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლითა და ბათუმის პორტის მეშვეობით მცირე მოცულობის ნავთობი გადაიზიდება. **"ნავთობის გადაზიდვაზე არ არსებობს გრძელვადიანი კონტრაქტები, ასე რომ ეს სერიოზული პრობლემა არც აქ არის".**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "გაზექსპორტის" მიერ თბილისის გაზმომარაგების განახევრების გამო, ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა მიილო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, სამინისტრო "თბილგაზსა" და "გაზექსპორტს" შორის მიმდინარე მოლაპარაკებებში ჩაერთვება. როგორც გილაურმა განაცხადა, თბილისის გამორთული უბნებისთვის გაზმომარაგების აღდგენა დაახლოებით ორ კვირაში შესაძლებელი გახდება, თუ, რა თქმა უნდა, გადაუხდელობის გამო გამორთული მომხმარებლები მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურს გადაიხდიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თელასის" გენერალური დირექტორი დანგირას მიკოლაიუნასი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილს შეხვდა. მათ თბილისში ელექტროენერგიის ტარიფის შესაძლო გაზრდის საკითხი განიხილეს. დანგირას მიკოლაიუნასმა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს თბილისის გაუმრიცხველიანებელ უბნებში ფიქსირებული გადასახადის შემოღების წინადადებით მიმართა; გადასახადი ბინის ფართზე, ან დადგმულ სიმძლავრეებზე იქნება დამოკიდებული, ხოლო აბონენტების გამრიცხველიანების შემდეგ ელექტროენერგიის საშუალო მოხმარების მაჩვენებელი დადგინდება და აბონენტს "თელასისთვის" ამ თანხის გადახდა მოუწევს. იმ შემთხვევაში, თუ წინა თვეებში გადახდილი ფიქსირებული გადასახადი მრიცხველის მიერ დაფიქსირებულ თანხაზე ნაკლები იქნება, აბონენტი თანხას დამატებით გადაიხდის, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, გადახდილი თანხა კრედიტში დაერიცხება. ბეგაშვილის განცხადებით, ამ საკითხების განხილვას თბილისის საკრებულო 2-3 კვირაში სპეციალურ სხდომას მიუძღვნის. **მედია-ნიუსი**

# ენერგოექსპერტთა თავსატეხი

### ტარიფების გაზრდის პოლიტიკა გსეკ-მა ამ ეტაპზე დაიწუნა

*"თელასის" განზრახვამ, გაზარდოს დენის ტარიფი, ენერგოსექტორში ჩოჩქოლი გამოიწვია. მას შემდეგ, რაც თბილისის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის "რაოელმა" მენეჯერებმა ამ თხოვნით სემეკ-ს მიმართეს, ენერგოსექტორის კანონმდებლები გააქტიურდნენ და ხელი მიჰყვეს ყველა იმ რეზერვის ჩხრეკას, რომელთა წყალობითაც შესაძლებელი იქნება, დენის მოსალოდნელ გაძვირებას ხელი შეეშალოს.*

მაია ურუშაძე

"თელასის" განზრახვის გახმაურებამ ექსპერტ-ენერგეტიკოსები დენის ტარიფის გადახედვის ხასიათზე დააყენა. დენის ტარიფში შემავალი კომპონენტების გადასინჯვას ერთდროულად რამდენიმე უწყება შეუდგა. მათ შორის - პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი, სემეკ-თან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი, დედაქალაქის შესაბამისი უწყებები, "ენერგეტიკოსთა საზოგადოება" და თავად სემეკ-ი. როგორც გაირკვა, დენის ტარიფში ისეთი რეზერვებია, რომ მარეგულირებელმა კომისიამ "თელასს" არათუ ტარიფის გაზრდის უფლება არ უნდა მისცეს, არამედ მის შემცირებაზეც კი უნდა იზრუნოს.

ამ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული დასკვნები უკვე ორშაბათსვე მზად ჰქონდა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს. ეს დასკვნები საზოგადოებას კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა საგანგებო პრესკონფერენციაზე გააცნო და აცნობა, რომ ტარიფის 12,18-დან 17-18 თეთრამდე შესაძლო გაზრდას დაუშვებლად მიიჩნევს. ლეკიშვილის თქმით, უმჯობესია, "თელასმა" მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლების გაზრდაზე იზრუნოს. კომიტეტი კი, თავის მხრივ, აპირებს, ტარიფის დაანგარიშების ახალ მეთოდოლოგიაზე იმუშაოს და სემეკ-ს ტარიფში შემავალ რამდენიმე კომპონენტში ცვლილების შეტანა ურჩიოს, რაც, თავისთავად, ტარიფში ახალ რეზერვებს გამოაჩენს.

"ენერგეტიკოსთა საზოგადოების" თავმჯდომარე მირონ ფირცხელანმა კი, ტარიფში რეზერვების ძიებასთან ერთად, "თელასთან" გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების გადახედვაც მოითხოვა. მისი თქმით, ხელისუფლებამ ეს ხელშეკრულება უნდა გადასინჯოს და იქიდან ის მუხლები ამოიღოს, რომლებზე დაყრდნობითაც კომპანია პერიოდულად ტარიფის ზრდას მოითხოვს. ფირცხელანის აზრით, ტარიფის ზრდა-შენარჩუნების საკითხი "მთავრობის დონეზეა" განსახილველი. სწორედ ამიტომ, მან წერილობით მოუწოდა თბილისის მერს, ვიცე-პრემიერს და საკრებულოს, რათა "საკრებულოს ენერგეტიკის საკითხთა კომისიის სხდომაზე ტარიფის შესაძლო ზრდის საკითხზე იმსჯელონ."

ამასობაში, საქართველოს ენერგოსადისტრიბუციო ბაზრის მეორე მსხვილმა მოთამაშე - "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" (გსეკ) - "თელასისგან" განსხვავებული განცხადებით გამოვიდა და ხმამაღლა დააფიქსირა, რომ თბილისის ელექტროგამანაწილებელი ქსელების მფლობელისგან განსხვავებით, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (სემეკ) ტარიფის გაზრდაზე განაცხადის შეტანას არ აპირებს. "ამჟამად საქართველოს რეგიონებში მოქმედი დენის ტარიფი, რომელიც 8,1 თეთრს შეადგენს, უცვლელი დარჩება," - ასე გამოუცხადა სოლიდარობა ენერგოკომპანიამ რეგიონების გაჭირვებულ მოსახლეობას. გსეკ-ის გენერალური დირექტორის დინ უაითის განცხადებით, "ტარიფის მოდიფიცირება გარკვეულ ეტაპზე აუცილებელი იქნება, მაგრამ ამჟამად ენერგოკომპანიის პრიორიტეტი მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლების გაუმჯობესება, დანაკარგების შემცირება და ელექტრომომარაგების მოწესრიგებაა. ამ ეტაპზე სემეკ-ს ტარიფის გაზრდის მოთხოვნით არ მივმართავთ, მაგრამ უახლოეს მომავალში მოვითხოვთ, კომისიამ გსეკ-ის გაუმრიცხველიანებულ ტერიტორიაზე მომხმარებლებისთვის მოხმარებული ელექტროენერგიის დარიცხვის რაციონალური წესები დაამტკიცოს".

მანამდე კი, ენერგოქსელში კომპანია რეგიონების გამრიცხველიანებას აგრძელებს, რაც ყველას არ მოსწონს: მაგალითად, რუსთავში გსეკ-ის მიერ დაყენებული მრიცხველები უგზო-უკვლოდ ქრება. დღეის მდგომარეობით, აქ 200 მრიცხველამდეა მოპარული. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ეს საკითხი თავად დინ უაითმა აიყვანა პირად კონტროლზე. ამ ორი დღის წინ, გვიან ღამით, რუსთავის შინაგან საქმეთა სამმართველომ რუსთავის მე-6 მიკრორაიონში მრიცხველების ორი დამტაცებელი - თამაზ შაიკაშვილი და ამარ ნასიბოვი დააკავა, რომელთაც 17 მოპარული მრიცხველი სადარბაზოდან გამოჰქონდათ. როგორც, რუსთავის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი რამაზ ელოშვილი აცხადებს, "მოპარული მრიცხველები ლილოს ბაზრობაზე თავისუფლად იყიდება. მათი ფასი კი 20-დან - 50 ლარამდე მერყეობს."

გამტაცებლებისგან გსეკ-ის რუსთავის ფილიალის მიერ დაყენებულ მრიცხველებს ამიერიდან რუსთავის შინაგან საქმეთა სამმართველოს მიერ სპეციალურად შექმნილი მობილური ჯგუფი დაიცავს, რომელიც ღამ-ღამობით რეიდებს მოაწყობს. დაკავებულებს კი პასუხისგება ელით.




# სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-აპრილის გეგმა 115 პროცენტით შესრულდა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ოთხი თვის გეგმის ყველა პარამეტრი შესრულდა: სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულია 463.7 მლნ ლარი, გეგმით გათვალისწინებული 401.7 მლნ ლარის ნაცვლად; საანგარიშო პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლებისა და გრანტების მაჩვენებელმა 331.7 მლნ ლარს მიაღწია, ნაცვლად 275.2 მლნ ლარისა, რაც გეგმის 121%-ია. საგადასახადო შემოსავლების კუთხით მობილიზებულია 220.7 მლნ ლარი, ნაცვლად 214.1 მლნ ლარისა (გეგმის 103%). მათ შორის: საგადასახადო დეპარტამენტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები შესრულებულია 105%-ით და ნაცვლად 204.7 მლნ ლარისა, ბიუჯეტში მობილიზებულია 215.8 მლნ ლარი. საბაჟო დეპარტამენტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები შესრულდა 102%-ით - 127.4 მლნ ლარის ნაცვლად მობილიზებულია 129.7 მლნ ლარი.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლებს, ოთხი თვის საპროგნოზო მაჩვენებელი 186%-ით შესრულდა, 53.3 მლნ ლარის ნაცვლად მობილიზებულია 99.4 მლნ ლარი. გადაჭარბებითაა შესრულებული საგზაო და სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდების მაჩვენებლები. კერძოდ, საგზაო ფონდში 17.8 მლნ ლარის ნაცვლად 23.2 მლნ ლარია მობოლიზებული (გეგმის 130%), ხოლო საციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში 105.5 მლნ ლარის ნაცვლად მობილიზებულია 107.2 მლნ ლარი (გეგმის 102%).

2004 წლის იანვარ-აპრილის პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში შესულია 13.2 მლნ ლარი, ნაცვლად 11.06 მლნ ლარისა, გეგმა შესრულებულია 120%-ით. საერთაშორისო ორგანიზაციების ინვესტიციური კრედიტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 44.04 მლნ ლარი.

*24 საათი*

# მომხმარებლები კვლავ დაუცველები რჩებიან

პირველი გვერდიდან

დოკუმენტაცია.

უკვე დაახლოებით ერთი წელია, მოსახლეობას კუკის კუნძულების მიმართულებით ვითომდა განხორციელებული მომსახურებისათვის ასობით, ხშირად ათასობით ლარის ოდენობის უსაფუძვლო გადასახადი ეკისრება. ზარები განხორციელებულია "საქართველოს ტელეკომის" კოდი 8-10-ის გამოყენებით. დავალიანების წარმოშობის მიზეზი არა სატელეფონო მომსახურება, არამედ ინტერნეტით სარგებლობაა. Dialer, Goin და სხვა საეჭვო პროგრამებით სარგებლობისას, მომხმარებელი, ავტომატურად, ისე, რომ ამის შესახებ ინფორმირებული არ არის, "საქართველოს ტელეკომის" მეშვეობით უკავშირდება კუკის კუნძულებს და თავისდაუნებურად ასობით და ხშირად ათასობით ლარით ზარალდება.

"საქართველოს ტელეკომში" ირწმუნებიან, რომ ეს საერთაშორისო თაღლითობა იყო, რომელიც საქართველოს ბაზრისთვის კი არ იყო განკუთვნილი, არამედ რუსეთის მომხმარებლისთვის. **"უბრალოდ, მოხდა ისე, რომ საქართველოს ტელეკომისა და რუსეთის კოდები ერთმანეთს დაემთხვა და მომხმარებელიც დაზარალდა და ჩვენც,"** - აღნიშნა "საქართველოს ტელეკომის" გენერალურმა დირექტორმა გურამ ხმალაძემ. მისივე მტკიცებით, საერთაშორისო თაღლითობამ მათი კომპანიაც მომხმარებელზე არანაკლებ დააზარალა. ხმალაძის თქმით, უკვე ერთი თვეა, რაც კომპანიამ კუკის კუნძულების მიმართულებით პირდაპირი სატელეფონო კავშირი დაბლოკა. "საქართველოს ტელეკომი" მოსახლეობას კუკის კუნძულებზე დაკავშირებას ოპერატორის (007) მეშვეობით სთავაზობს. **"პირდაპირი სატელეფონო კავშირის დაბლოკვა კი კომპანიას მილიონობით ლარის ზარალს აყენებს,"** - აცხადებენ კომპანიაში. ხმალაძის განმარტებით, კუკის კუნძულების მიმართულებით პირდაპირი სატელეფონო მომსახურება მხოლოდ აღნიშნული პრობლემის დარეგულირების შემდეგ აღდგება.

გუშინ, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად ინტერნეტ-პროვაიდერები და "საქართველოს ტელეკომის" წარმომადგენლები საგანგებოდ შეიკრიბნენ. ორსაათიანი შეხვედრის შემდეგ, ერთადერთი გამოსავალი, რაც მოიძებნა, მომხმარებლის ინფორმირებაა. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დავალიანების წარმოშობა საერთაშორისო თაღლითობის შედეგად მონათლა, ხოლო პროვაიდერებსა და საერთაშორისო ოპერატორებს კი დაავალა, რომ მაქსიმალურად მიაწოდონ მომხმარებლებს ინფორმაცია ინტერნეტით სარგებლობისას სატელეფონო საუბრებზე ავტომატური მიერთების თავისებურებებთან დაკავშირებით. გადაწყდა, რომ კვირის ბოლომდე კომისია მოამზადებს შეტყობინებას, რომელიც ყველა ინტერნეტ-პროვაიდერსა და საერთაშორისო ოპერატორს დაურიგდება. შეტყობინებაში დეტალურად იქნება აღწერილი ის პროცედურები და მითითებული იქნება სავარაუდო ფანჯრები, რომელთა გახსნის ან ჩამოტვირთვის შემთხვევაში, შესაძლოა, ავტომატური სატელეფონო ჩართვა განხორციელდეს. შეტყობინება ინტერნეტის მომხმარებლებს ელექტრონული ფოსტით დაეგზავნებათ. ურჩი აბონენტი, რომელიც რჩევას არ გაითვალისწინებს, საერთაშორისო თაღლითობის მსხვერპლი გახდება და მომსახურებისათვის, რომლითაც არ უსარგებლია, მას საერთაშორისო ოპერატორისთვის ათასობისთ ლარის გადახდა მოუწევს. კუკის კუნძულების მიმართულებით განხორციელებული ერთი წუთის ღირებულება 14 ლარია.

"საქართველოს ტელეკომი" მომხმარებლებს უსამართლოდ დარიცხულ თანხებს არ ჩამოაწერს. მომხმარებელი კვლავ დაზარალებულია. არგუმენეტი კი ასეთია: **"მართალია, ინტერნეტით სარგებლობისას მომხმარებელმა არ**

# ნატო-ს მომავალი სამხრეთ კავკასიაში

პირველი გვერდიდან

ნატო-მ განაცხადა, რომ ეჩშძ-ის რატიფიცირება რუსეთის მიერ სტამბოლში აღებული ვალდებულებების შესრულებაზეა დამოკიდებული. თავის მხრივ, ნატო-მ და შეერთებულმა შტატებმა აღუთქვეს რუსეთს, რომ ეშჩძ ბალტიის სახელმწიფოებზეც გავრცელდება, რაც ამ ქვეყნების ტერიტორიაზე ნატო-ს შეიარაღებული ძალების განლაგებას შეზღუდავს.

თუმცა, ახლა ზოგიერთი ევროპული მთავრობა მზად არის, რომ რეგიონული უსაფრთხოების სანაცვლოდ, რუსეთის მიერ ნახევრადშეუსრულებელ ვალდებულებებზე თვალი დახუჭოს. თავის მხრივ, რუსეთი ეჩშძ-ის რატიფიცირებასა და ბალტიის სახელმწიფოებზე მის გავრცელებას მოითხოვს, იმის მიუხედავად, რომ აღებული ვალდებულებები თვითონ არაერთხელ დაარღვია.

რუსეთმა სამი პუნქტი დაარღვია: საფლანგო რეგიონებში შეიარაღებაზე ეჩშძ-ით გათვალისწინებულ ლიმიტს გადააჭარბა, ინსპექტორებს საშუალება არ მისცა, მის მიერ შესრულებული პუნქტები შეემოწმებინათ და უცხოეთში არსებული ბაზები არ გაიყვანა.

რუსეთს საქართველოში სამი სამხედრო ბაზა ჰყავს და მოსკოვი მათ გაყვანაზე სერიოზული მოლაპარაკებების დაწყებას თავს არიდებს. ამჟამად, რუსეთი ბათუმსა და ახალქალაქში მდებარე ბაზების გასაყვანად შვიდ წელიწადს მოითხოვს. ეს კი საქართველოსთან ორმხრივი შეთანხმებით უნდა მოხდეს. მესამე ბაზა გუდაუთაში რუსეთს 2001 წელს უნდა დაეხურა, მაგრამ, რეალურად, რუსეთმა ეს ბაზა შეინარჩუნა და მას მშვიდობისმყოფელის სტატუსი მიანიჭა. მოსკოვი ცდილობს, რომ საქართველო და საერთაშორისო თანამეგობრობა ამ რეალობას შეაგუოს. ამავდროულად, მოლდოვაში რუსეთი იმ შეიარაღებულ ძალებს ინარჩუნებს, რომელიც 2002 წლისთვის უნდა გაეყვანა. ჯარის ნაწილი რუსეთმა დნესტრისპირეთის არმიას შეუერთა, ანუ იქ რუსული ჯარი სხვა სახელით არსებობს. რაც შეეხება მეორე ნაწილს, კრემლი ცდილობს, რომ მას "მშვიდობისმყოფელთა" სტატუსი მიანიჭოს.

რუსული ჯარისა და შეიარაღების რაოდენობა ბათუმის, ახალქალაქის, გუდაუთისა და დნესტრისპირეთის ბაზებზე უცნობია. იმის მიუხედავად, რომ ეჩშძ ეუთო-ს ჯგუფების მიერ ინსპექტირების ჩატარებას ითვალისწინებს, მოსკოვი ამის საშუალებას არ იძლევა. ცოტა ხნის წინ, რუსეთმა თავისი ბაზების ყოფნის საბაბი გაამრავალფეროვნა: სტაბილურობა, დისლოკაციის ადგილზე სამუშაო ადგილების შექმნა, სეპარატისტული რეგიონების ხელისუფალთა მიერ ბაზების გაყვანისთვის წინააღმდეგობის გაწევა და რუსეთის უუნარობა, ბაზების გაყვანის ხარჯები დაფაროს.

ამჟამად, ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს კანცელარიები, რომლებიც აშკარად ცდილობენ რუსეთის დახმარებას და არა დასახელებული სახელმწიფოების რუსული ბაზებისაგან გათავისუფლებას, საქართველოსა და მოლდოვას სთხოვენ, რომ გუდაუთასა და დნესტრისპირეთში "მშვიდობისმყოფელების" სტატუსით რუსეთის ბაზების დატოვებას დასთანხმდნენ. ეს კრემლს საშუალებას მისცემს, სტამბოლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, ბაზების გაყვანის თაობაზე, არ შეასრულოს და ეჩშძ-ის რატიფიცირებას უპრობლემოდ მიაღწიოს.

თუ ხელშეკრულების რატიფიცირება ამ პირობებით მოხდება და, ამავდროულად, ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში შეიარაღებული ძალების განლაგებაზე ლიმიტები გავრცელდება, მაშინ ნატო საქართველოდან და მოლდოვადან რუსული ბაზების გაყვანის უკანასკნელ მნიშვნელოვან ბერკეტსაც დაკარგავს. არ არსებობს საფუძველი იმისათვის, რომ ეჩშძ-ის რატიფიცირება მოხდეს. რატიფიცირება და სტამბოლის შეთანხმებების შესრულება ერთმანეთზე უნდა იყოს დამოკიდებული. ამ საკითხს ნატო-ს სამიტზე ხაზი უნდა გაესვას.

ევრო-ატლანტიკურმა თანამეგობრობამ და, რასაკვირველია, იმ სახელმწიფოებმა, რომელსაც ეს უშუალოდ ეხება, უნდა მოუწოდონ რუსეთს, რომ საერთაშორისო სამართლის საფუძველზე გაიყვანოს ბაზები; ეს საკითხი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში განხილვის საგანი უნდა გახდეს, ნატო-რუსეთის, აშშ-რუსეთისა და ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობებში ეს საკითხი ერთ-ერთი უმთავრესი უნდა იყოს. არ უნდა დავაჩქაროთ ეჩშძ-ის მიღება მანამ, სანამ რუსეთი სტამბოლის შეთანხმებას არ შეასრულებს და შესრულებული ვალდებულებების შემოწმება არ მოხდება.

# საარჩევნო კამპანია ავტობუსით

პრეზიდენტმა ბუშმა, საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, მიჩიგანისა და ოჰაიოს შტატებში ორდღიანი ავტოტურნე გამართა. "ჩემმა მმართველობამ ამერიკა უფრო უსაფრთხო გახადა და ეკონომიკური აყვავების გზაზე დააყენა," - ეუბნებოდა ბუში ამ შტატების მოსახლეობას. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს შტატები ითვლება ამერიკაში რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის "ბრძოლის ველად". "ჩვენ გვახსოვს 11 სექტემბერი, - მიმართავს შეკრებილებს პრეზიდენტი მიჩიგანში ერთ-ერთი გაჩერებისას, - და სწორედ ამიტომ, სერიოზულად მივუდექით იმ საფრთხეს, რომელსაც სადამის რეჟიმი წარმოადგენდა, მომეცით კიდევ ერთი შანსი, დავიცვა ამერიკა!"



ჯორჯ ბუში რიგით ამერიკელთა მოხიბვლას ცდილობს

რვა ავტობუსისაგან შემდგარმა ქარავანმა ტურნე ორშაბათს, მიჩიგანის სამხრეთ რაიონებიდან დაიწყო. თავად პრეზიდენტის სამოთახიან ავტობუსს, რომელშიც სამზარეულო, ოთხი ტელეეკრანი და კომფორტული სავარძლებია, ერთი სათადარიგო, ასევე, დაცვის სამსახურის, საარჩევნო შტაბის წევრებისა და კიდევ ოთხი, პრესის წარმომადგენლებისათვის განკუთვნილი ავტობუსები მიჰყვებოდა.

თავის კონკურენტს, დემოკრატ ჯონ კერის, რომლის პოპულარობაც დღეს უკვე არ ჩამოუვარდება მოქმედი პრეზიდენტისას, ბუში, პრაქტიკულად, სახელით არ მოიხსენიებდა. "იგი გადასახადების გაზრდას აპირებს, და თითოეულ ამერიკელს უფრო მეტის გადახდა მოუწევს, თუ მის დაპირებებს დაუჯერებს," - ასე აფასებს ბუში ნომერ პირველი დემოკრატის პროგრამას.

უკანასკნელ დღეებში რამდენიმე შტატის ეკრანებზე, ერთდროულად, ჯონ კერის ორი ახალი სარეკლამო რგოლი გამოჩნდა მრავლისმთქმელი სათაურებით - "გული" და "ცხოვრების ისტორია". მათში ჯონ კერის ნაცნობები პრეზიდენტობის კანდიდატის შესახებ ჰყვებიან. "მისმა გადაწყვეტილებებმა არაერთი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა," - ყვება კერის თანამებრძოლი ვიეტნამის ომიდან. "იგი თითოეული ამერიკელისა და მთელი კაცობრიობის მომავალზე ფიქრობს... კერი-პრეზიდენტი 20 მლნ. ახალ სამუშაო ადგილს შექმნის," - აცხადებს კადრსმიღმა ხმა და აი, ყველაზე სუსტი წერტილი ამერიკელი ამომრჩევლის განწყობაზე ზეგავლენის მოსახდენად. ნიშანდობლივია, რომ უკანასკნელი 4 წლის მანძილზე მიჩიგანისა და ოჰაიოს ასეულობით ათასმა მაცხოვრებელმა დაკარგა სამუშაო.

ამერიკელი ექსპერტების დათვლით, ჯონ კერიმ ახალ ტელესარეკლამო კამპანიაზე 25 მლნ. დოლარი დახარჯა. ამავდროულად, ჯორჯ ბუშს წინასაარჩევნო კამპანიის უკანასკნელი ორი თვე 60 მლნ დაუჯდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბუშის ანტირეკლამაზე დემოკრატებმა 30 მლნ. დოლარი დახარჯეს.

# ერაყის ამბები



კუფაში და ნეჯეფში ამბოხება გრძელდება

ერაყული წინააღმდეგობის ერთ-ერთ უმთავრეს ცენტრში - ქალაქ ფალუჯაში ამბოხებულთა აქტივობა ჯერჯერობით ჩამცხრალა, რის უმთავრეს მიზეზადაც ამერიკელი ჯარისკაცების მიერ ქალაქის დატოვებას ასახელებენ. მაგრამ ქალაქის გაკონტროლება კოალიციის სარდლობისათვის კვლავ საკმაოდ დიდ თავსატეხად რჩება. თუმცა, ფალუჯა რომ ერაყულმა შენაერთებმა უნდა გააკონტროლონ, ამაზე არავინ კამათობს. თავდაპირველად, ქალაქ ფალუჯას თავკაცებთან მიღწეული შეთანხმებით, კოალიციამ ქალაქის გაკონტროლება სადამ ჰუსეინის ეპოქის ერაყელ გენერალს იასინ მოჰამედ სალეჰის დაავალა, მაგრამ გუშინ გადაწყვეტილება შეიცვალა და ერაყელებით დაკომპლექტებულ უშიშროების სპეცკონტინგენტს ასევე სადამის ყოფილი გენერალი მოჰამედ ლატიფი ჩაუყენეს სათავეში. მოჰამედ სალეჰი კი მისი მოადგილის მოვალეობას შეასრულებს. როგორც ჩანს, სალეჰს, რომელიც სადამ ჰუსეინის ვიწრო გარემოცვაში შედიოდა, ვაშინგტონი არ ენდობა და, ამიტომ, ის თეთრი სახლისადმი შედარებით ლოიალური გენერლით - ლატიფით შეცვალეს.

ქალაქი ფალუჯა "სუნიტური სამკუთხედის" მთავარ ცენტრად ითვლება, რომელიც სადამ ჰუსეინის ერთგული ერაყელებით არის დასახლებული. ამიტომ, ბუნებრივი და გასაგებია ამერიკელების განსაკუთრებული მიდგომა ამ ქალაქისადმი. ფალუჯა ხომ მთელი ერთი თვის განმავლობაში ამბოხების მთავარ ცენტრად იყო მიჩნეული და ამერიკელები ქალაქში შესვლას ბოლომდე ერიდებოდნენ. ფაქტობრივად, ისინი ფალუჯას ცენტრში არც კი შესულან.

ფალუჯას ალყა 5 აპრილს დაიწყო და თვის ბოლომდე გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე, აშშ-ს სამხედრო შენაერთები ამბოხებულთა განდევნას ავიაციის და არტილერიის ინტენსიური გამოყენებით ცდილობდნენ, მაგრამ ამ დარტყმებმა დიდი მსხვერპლის გარდა, ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. სხვადასხვა ცნობებით, 24-დღიანი შეტევების შედეგად ფალუჯაში ექვსასიდან რვაასამდე მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა, ხოლო რამდენიმე ათასი კი ლტოლვილად იქცა.

გუშინვე ცნობილი გახდა მოჰამედ სალეჰის შეცვლის საბაბიც. ერაყის დროებითმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ხოშიარ ზებარიმ განაცხადა, რომ მოჰამედ სალეჰი 1991 წელს შიიტური ამბოხების სისხლში ჩახშობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ამდენად, ის მაინც სადამის ერთგულ გენერლად მოიაზრება, მიუხედავად იმისა, რომ ის ერთ-ერთი პირველი გადავიდა ამერიკელების მხარეზე. გარდა ამისა, ის წარმოშობით ფალუჯელია და, შესაბამისად, ამბოხებულებთან მისი ახლო კავშირი გამორიცხული არ არის, მაშინ, როდესაც ლატიფი ბაღდადელია და ამერიკელებისათვის უფრო სანდო კანდიდატურაა.

ფალუჯასგან განსხვავებით, ამბოხება კვლავ მძვინვარებს შიიტურ ქალაქებში - ნეჯეფსა და კუფაში.

გუშინ ნეჯეფში, ამერიკელებთან მომხდარი შეტაკებების დროს, ხუთი ერაყელი დაიღუპა და 16 დაიჭრა. ნეჯეფი შიიტების წმინდა ქალაქია და იქ მდებარე მეჩეთში კვლავ გამაგრებულია შიიტი ამბოხებულების ლიდერი მოქთად ალ-სადრი. საერთაშორისო სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკელმა სამხედროებმა ნეჯეფის ერთ-ერთ სამრეწველო რაიონზე ძლიერი საარტილერიო დარტყმა განახორციელეს.

შეტაკება მოხდა ქალაქ კუფაშიც, სადაც, ასევე, მოქთად ალ-სადრის მომხრეები არიან გამაგრებულები. ამერიკელმა სამხედროებმა გუშინ მათ პოზიციებზე ვერტმფრენებიდან მიიტანეს იერიში. ერთ-ერთი ჭურვი საავადმყოფოს მოხვდა. მსხვერპლის შესახებ არაფერია ცნობილი.

შეტაკება მოხდა ერაყის დედაქალაქ ბაღდადშიც, სადაც დაუდგენელმა თავდამსხმელებმა ერთი ამერიკელი სამხედრო მოკლეს და ორი დაჭრეს. ისინი იარაღის მაღაზიას იცავდნენ. თავდამსხმელები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

რამდენიმე დღის წინ, მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებების მიერ კადრების გავრცელებამ, სადაც აბუ-ღრაიბის ციხეში ამერიკელი ჯარისკაცების მიერ ერაყელი პატიმრების წამება იყო ასახული, პირველი შედეგები უკვე გამოიღო. ამერიკის სამხედრო სარდლობამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა და წამებაში ეჭვმიტანილ ექვს ამერიკელ სამხედრო პირს ოფიციალური ბრალი წაუყენა. ისინი ყველანი რიგითები არიან. რაც შეეხება ოფიცრებს, მათ მხოლოდ სასტიკი საყვედური გამოუცხადეს.

სამხედრო სარდლობის წარმომადგენელმა, ბრიგადის გენერალმა მარკ კიმიტმა განაცხადა, რომ, მართალია, ოფიცრები პატიმრების წამებაში უშუალოდ არ მონაწილეობდნენ, მაგრამ მათ აბუ-ღრაიბის ციხეში მომხდარ ფაქტებზე პასუხისმგებლობა მაინც ეკისრებათ.


პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

## ფინანსური ანგარიშგება

2002 და 2003 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლები
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად

### დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს პროკრედიტ ბანკის აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ჩვენ ჩავატარეთ სს პროკრედიტ ბანკის (შემდგომში "ბანკი") თანდართული ბალანსის უწყისის აუდიტი მომზადებული 2003 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, [illegible]

[illegible]

[illegible]

Ernst & Young
ერნსტ & იანგი

2004 წლის 26 თებერვალი

### ბალანსის უწყისი (ათას ლარებში)

| | 31 დეკემბერი 2002 | 31 დეკემბერი 2003 |
|---|---|---|
| აქტივები | | |
| ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები | 16,681 | 14,640 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 11,508 | 9,109 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | | |
| - სარეალიზაციო | 50 | 50 |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები | 93,360 | 66,966 |
| საგადასახადო აქტივი | 181 | 60 |
| ქონება და აღჭურვილობა | 5,309 | 3,866 |
| არამატერიალური აქტივები | 38 | 72 |
| სხვა აქტივები | 841 | 412 |
| მთლიანი აქტივები | 127,968 | 95,175 |
| | | |
| ვალდებულებები | | |
| ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ | 60,998 | 48,756 |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 36,903 | 21,140 |
| ვალდებულებები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ | 4,702 | 3,948 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 836 | 16 |
| სხვა ვალდებულებები | 420 | 275 |
| მთლიანი ვალდებულებები | 103,853 | 74,135 |
| | | |
| აქციონერთა კაპიტალი | | |
| საწესდებო კაპიტალი | 20,000 | 20,000 |
| [illegible] კაპიტალი | 225 | 225 |
| გაუნაწილებელი მოგება და რეზერვები | 3,890 | 815 |
| სულ აქციონერთა კაპიტალი | 24,115 | 21,040 |
| სულ ვალდებულებები და აქციონერთა კაპიტალი | 127,968 | 95,175 |
| ფინანსური ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი [illegible] | 16,788 | 12,463 |

### მოგება-ზარალის უწყისი
2002 და 2003 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარებში)

| | 31 დეკემბერი 2002 | 31 დეკემბერი 2003 |
|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | | |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 19,452 | 16,384 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებებზე | 535 | 306 |
| სხვა საპროცენტო შემოსავალი | - | 13 |
| | 19,960 | 16,703 |
| საპროცენტო ხარჯები | | |
| დეპოზიტები | 1,204 | 712 |
| მიღებული სესხები | 3,077 | 3,396 |
| სხვა საპროცენტო ხარჯები | 111 | 95 |
| | 4,392 | 4,203 |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 15,568 | 12,500 |
| პროვიზია [illegible] | 891 | 3,868 |
| | 14,677 | 8,632 |
| | | |
| გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები | 2,530 | 1,885 |
| გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო | 639 | 546 |
| გასამრჯელო და საკომისიო | 1,891 | 1,339 |
| | | |
| სავალუტო ოპერაციებიდან შემოსავალი ხარჯის გამოკლებით | | |
| - დილინგი | 1,231 | 698 |
| - [illegible] | (149) | (563) |
| სხვა შემოსავლები | 729 | 525 |
| არა საპროცენტო შემოსავლები | 1,811 | 660 |
| | | |
| თანამშრომლების ხელფასები და დანამატები | 6,544 | 5,176 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 1,039 | 703 |
| ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები | 6,774 | 3,943 |
| სხვა რეზერვები და [illegible] | 134 | 87 |
| არა საპროცენტო ხარჯები | 14,491 | 9,909 |
| | | |
| შემოსავალი საშემოსავლო გადასახადის გადახდამდე | 3,888 | 922 |
| | | |
| საშემოსავლო გადასახადის ხარჯები | 813 | 320 |
| წმინდა შემოსავალი | 3,075 | 602 |

| აქციონერები | აქციები |
|---|---|
| საერთაშორისო მიკროინვესტიციების კომპანია (IMI) | 39% |
| ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) | 20% |
| საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) | 16% |
| კომერცბანკი (Commerzbank AG) | 15% |
| გერმანულ-ქართული [illegible] განვითარების ფონდი (GGF) | 10% |
| სულ | 100% |

2003 წლის სექტემბერში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) აქციათა 10 % გადავიდა [illegible] (KfW), [illegible] (GGF) [illegible] კომერცბანკის (Commerzbank AG) აქციათა 12% გადავიდა საერთაშორისო [illegible] კომპანიის (IPC). [illegible]

# ატროფია საშიში სიტყვაა

ანუ გურამ დოჩანაშვილი ბრაილით

*ვინ თვალით ხედავს, ვინ - ხელით გრძნობს, ეს ადამიანისგან არ ისაზღვრება. საზოგადოება კი თუ სულით არ იყურება, ვერაფერს დაინახავს. "ადამიანი ჩვენთან რამდენჯერმე უნდა მოვიდეს, მხოლოდ მაშინ შეძლებს დაინახოს ის, რაც უნდა დაწეროს", - თქვა თამილა აბაშიამ, უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის ქართული ენის მასწავლებელმა, თავად უსინათლომ.*

დალი კუპრავა

მეათე კლასში ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე ორი მოსწავლე იჯდა - ზაზა და კახა. "ჩვენთან თორმეტწლიანი სწავლებაა. ქართული ლიტერატურის მეცხრე კლასის პროგრამა კი დიდია და მოსწავლე ერთ წელიწადში ვერ დაძლევს. "ვეფხისტყაოსანი" ორ წელზე გავანაწილეთ. ახლა "სიბრძნე სიცრუისას" დავამთავრებთ და დარჩენილ დროში დავით გურამიშვილს როგორ გავივლით, ეს მეფიქრება", - ამბობს თამილა აბაშია და სახელმძღვანელოებსაც გვიჩვენებს. ბრაილით შესრულებულ და ორმოციან წლებში გამოცემულ ქრესტომათიას ბიჭებს ვაწვდი და ვთხოვ, რომ წაიკითხონ. ზარმაცები ხომ არ არიან-მეთქი, - ვეკითხები მასწავლებელს. როგორც ბავშვების უმეტესობას, ამათაც მოსმენა ურჩევნიათო, - იცავს მასწავლებელი ზაზას და კახას.

მხატვრულ ლიტერატურას თუ კითხულობენ, როგორ წერენ-მეთქი?

ათწლეულების წინ გამოცემული წიგნები მაღალი ხარისხისაა - მაშინ ქაღალდის ხარისხი და ბეჭდვის ტექნოლოგია უფრო ეფექტური იყო. დღეს გამოცემული ლიტერატურული ჟურნალი "სინათლე" კი შეხებით ნაკლებსაგრძნობია - შესაძლოა, განაფულმა მკითხველმა კი წაიკითხოს, მაგრამ, - ცუდი შრიფტით დაწერილს რატომ არ კითხულობო, - მოსწავლეს ვერ უსაყვედურებ. სავარჯიშოებს ისეთ ფურცლებზე წერენ, თითებს ერთხელ რომ გადაატარებ, ამობურცულები ქრება. მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია სმენა და მოსმენა, ახალი, საჭირო და ბავშვებისთვის საინტერესო აუდიოჩანაწერების გაკეთება კი პრობლემურია. უცხოელებს უჩუქებიათ ხარისხიანი ფურცლები და თამილა აბაშიას გურამ დოჩანაშვილის "სამოსელი პირველი" გადაუწერია.

ინტერნატის ბავშვებს ძალიან კარგი სმენა აქვთ. მუსიკის გაკვეთილზე რეზო ლაღიძის სიმღერას ხმებში ამუშავებდნენ. სიმღერის მასწავლებელმა კონსერვატორია სმენით დაამთავრა. გავიცანით შვიდი წლის გიო, რომელიც რუსულ რომანსებს, ელტონ ჯონისა და საბავშვო სიმღერებს შეუცდომლად მღერის.

გუშინ ჯავრიშვილის სახელობის მიკროქირურგიის კლინიკა "ოფთალმიჯმა" უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს გამოკვლევა ჩაუტარა. "როცა მხედველობის ნერვი ატროფირებულია, იქ საშველი არ ჩანს და ვერანაირი ოპერაცია ვერ შველის", - თქვა კლინიკის ექიმმა რამაზ ცინცაძემ. გამოკვლეული ბავშვებიდან მხოლოდ სამს შეიძლება ჩაუტარდეს უსასყიდლო ოპერაცია და მათ თვალის ჩინი დაუბრუნდებათ.


მარიკა ახვლედიანის ფოტო

ის ხელებით ხედავს.

# გაუგებრობა საგანმანათლებლო კვოტებთან დაკავშირებით

*გუშინ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისული საინგილოს ახალგაზრდობის წარმომადგენლები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ალექსანდრე ლომაიას ანტიქართული გადაწყვეტილების მიღებაში ადანაშაულებდნენ. ინგილო ქართველების აღშფოთება მინისტრის იმ ბრძანებულებამ გამოიწვია, რომლის თანახმადაც, ინგილო აბიტურიენტებისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოყოფილი ადგილების რაოდენობა 70-დან 50-მდე შემცირდა.*

თამარ დვალი

**"განათლების მინისტრი კახა ლომაია, ანტიქართული ბრძანებულებების გამოცემით, ინგილო ქართველების გათათრებას უწყობს ხელს. ამ პოლიტიკას ახორციელებს აზერბაიჯანის ხელისუფლებაც და, აქედან გამომდინარე, ლომაია ამ პოლიტიკის ხელშემწყობად გამოდის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება ერთადერთი საშუალებაა, მშობლიური ენა შევინარჩუნოთ. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა ზაქათალისა და ბელაქანის რაიონებში, სადაც ოცი ათასზე მეტ ქართველს ადგილობრივი ხელისუფლება ქართულად მეტყველებას უკრძალავს. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მინისტრმა თავისი ბრძანებულება სასწრაფოდ გააუქმოს",** - აცხადებდნენ საინგილოდან ჩამოსული ახალგაზრდები, რომლებმაც უნივერსიტეტიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გადაინაცვლეს, სადაც მინისტრთან ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდათ.

სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ლევან გახელაძემ "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა, რომ მინისტრის ბრძანებულება კვლავ ძალაში დარჩება: **"უმაღლესი განათლება ღირსეულმა ადამიანებმა უნდა მიიღონ, განურჩევლად იმისა, თუ რომელი რეგიონის წარმომადგენლები იქნებიან. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ცალკეულ რაიონებზე დაწესებული ლიმიტები შემცირდეს. საინგილოს მსგავსად, შემცირება შეეხოთ კოდორის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რაიონებსაც. საინგილოს ახალგაზრდობა იმან უფრო შეაშფოთა, რომ ზაქათალას, ბელაქანისა და კახის რაიონებს ცალ-ცალკე ლიმიტები აღარ ექნებათ. ამიერიდან მთელ რეგიონზე ერთიანი, 50-კაციანი ლიმიტი გამოიყოფა".**

მისივე თქმით, მოსალოდნელია, რომ მომავალი წლიდან ცალკეულ რეგიონებზე დაწესებული ლიმიტი საერთოდ გაუქმდეს. **"არ მესმის, ეს ახალგაზრდები ახლა რატომ აღშფოთდნენ. საინგილოში სტუმრობისას განათლების მინისტრი ამ გადაწყვეტილების შესახებ თავად ესაუბრა მოსახლეობას და მაშინ ეს არავის გაუპროტესტებია. მათ ეშინიათ, რომ კახის რაიონიდან უფრო მეტი ახალგაზრდა მოხვდება უნივერსიტეტში, ვიდრე სხვა რაიონებიდან. ისინი თავად ადასტურებენ, რომ ამ რაიონში ბევრად უფრო მომზადებული ახალგაზრდები არიან. ჩვენი მიზანი კი მხოლოდ ერთია - უნივერსიტეტში ღირსეული სტუდენტები**

ფოსტა

# ასე გაგრძელება აღარ შეიძლება!

პირველი გვერდიდან

ყოველივე ეს სხვა არაფერია, თუ არა ანტიკონსტიტუციური ქმედებები, ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის გამოცხადება, შანტაჟი და ქვეყნის ერთიანობის რღვევის მიზნით შეიარაღებული ამბოხის მზადება.

ერთი სიტყვით, ყოველივე ამას ღალატი ჰქვია, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ინტერესების ღალატი!

ერთ სკამს ეწირება ქვეყნის ინტერესები!

ა. აბაშიძე, რომელიც 13 წელია ერთპიროვნულად მართავს რეგიონს, გააფთრებით იცავს "ალმატებული გენის" წყალობით ბოძებულ სკამს, რომელიც "სამთავროს კარის" ვაიიდეოლოგების წყალობით, ლამის არის, სამემკვიდრეო საკუთრებად გამოცხადდეს!

ახალმა პრეზიდენტმა თავიდანვე ცალსახად განაცხადა, რომ არ აპირებს ქვეყნის ინტერესების საზიანოდ გარიგებებზე წასვლას და სრულიად სამართლიანად დაიწყო უკომპრომისო ბრძოლა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სრული კონტროლისა და წესრიგის დასამყარებლად. ერთი სიტყვით, ნათელი გახდა, რომ ა. აბაშიძის რეჟიმი და ქვეყნის ახალი ხელისუფლების კურსი ერთმანეთისადმი შეუთავსებელია. ამიტომაც მოსახლეობა დადგა არჩევანის წინაშე: ან ახლახან არჩეული პროდასავლური კურსის განუხრელი მიმდევარი ახალგაზრდა პრეზიდენტი, ან ალქსნის-ყირინოვსკისა და ყარსის ხელშეკრულების მომიდე "ბაბუ", რომელიც ქვეყნის პირველი პრეზიდენტის გულუბრყვილობისა და მეორე პრეზიდენტის უსუსურობის წყალობით 13 წელია უკანონოდ იკავებს რეგიონის ხელმძღვანელის თანამდებობას. უკანონობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი "არჩეული იქნა" კონსტიტუციის უხეში დარღვევით და მისი ერთპიროვნული მმართველობის პერიოდში დემოკრატიული არჩევნები არასდროს ჩატარებულა. თუმცა, მუდამ ასპროცენტიან მხარდაჭერას იფიქსირებდა. აბაშიძემ ჩაახშო და ამოძირკვა განსხვავებული აზრი, გარეკა უზენაესი საბჭო, შექმნა "ჯიბის პარლამენტი" და, ქვეყნის კონსტიტუციის დარღვევით, შემოიღო ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის პოსტი. ამის წყალობით იგი იქცა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებისაგან უკონტროლო და დაუმორჩილებელ მმართველად. ამასაც მოითმენდა კაცი (ვითმენდით კიდეც), რომ არა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ამბოხის მზადება.

ერთი სიტყვით, გამოსავალი ერთადერთია: ან სააკაშვილი, ან აბაშიძე! ან დემოკრატიზაცია და ერთიანი ქართული სახელმწიფო, ან მეამბოხე რეჟიმი და ზოგადქართული ცნობიერების რღვევა!

შექმნილი ვითარების სხვაგვარად ახსნა სიცრუე და დემაგოგიაა!

მომაბეზრებელია, მაგალითად, ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებათა გაუმიჯნაობით მუდმივი სპეკულირება. როგორ შეიძლება ისაუბრო იმ პირის უფლებებზე, რომელიც თავს აცხადებს მთავარსარდლად, აიძულებს ძალოვან სამინისტროებს, გამოვიდნენ ქვეყნის ხელისუფლების დაქვემდებარებიდან, ხოლო ჯარისკაცებსა და უკანონოდ შეიარაღებულ თუნდაც თავის მომხრეებს აქცევს სამშობლოს მოღალატეებად?!

წმინდა წყლის დემაგოგიაა გაუთავებელი ანალოგიები 1992-93 წლებთან, ვინაიდან ადგილი აქვს შეიარაღებულ დაპირისპირებას არა "მხედრიონის" მსგავს ბანდფორმირებებთან, არამედ ქვეყნის ლეგიტიმურ უმაღლეს ხელისუფლებასთან.

სიცრუეა პარალელების გავლება ზვიად გამსახურდიას მართლაც მოღალატურ დამხობასთანაც. ე. ჯაველიძის, ა. აბრალავას, ც. ბაკურიას, რ. მიშველაძის, ბ. კაკუბავას, გ. სანიკიძისა და ჰ. ჭიპაშვილის მსგავსთ ვურჩევთ, გაიხსენონ, თუ რა დაპირება მისცა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ "არჩევამდე" ა. აბაშიძემ ზ. გამსახურდიას და როგორ მოატყუა იგი. გაიხსენეთ, ვინ და რისთვის მოახდინა 1991 წლის აპრილის ამბები ბათუმში. ეს ხომ იგივე იყო, რაც დღეს ხდება - პრეზიდენტის შანტაჟი! გაუვიდა მაშინ ა. აბაშიძეს, რადგან არავინ არ ამოიღო ხმა, ხოლო ზ. გამსახურდიამ ვერ მოასწრო საქმის არსში გარკვევა.

გაიხსენეთ, როგორ დაადანაშაულა ა. აბაშიძემ ზ. გამსახურდია ნ. იმნაძის ხელით მისი თავიდან მოცილების მცდელობაში; ნურც ის დაგავიწყდებათ, თუ ერთერთმა პირველმა ვინ მოიწვია ე. შევარდნაძე საქართველოში (ისე უმჯობესია, ზემოთ აღნიშნული ბატონები აჭარის შესახებ საუბარს საერთოდ შეწყვეტდნენ, რამდენადაც ისინი შეგნებულად იბრმავებენ თვალს ქვენაგრძნობების, მდგომარეობის შენარჩუნების სურვილით).

შეიძლება კი ყოველივე ამის შემდეგ ისაუბრო ზ. გამსახურდიასადმი ა. აბაშიძის ერთგულებაზე?

უაზრობაა ჭადრაკის თემით სპეკულირებაც. ეს იმ გეგმის ნაწილია, რომლითაც სურთ "დაამტკიცონ", რომ ცენტრია ყველაფერში დამნაშავე, თორემ აჭარა ის ოაზისია, სადაც დუღს და გადმოდუღს ყველაფერი; ჩამოდიან საბრინა და როსტროპოვიჩი, იმართება მსოფლიოს ჩემპიონატები, იქმნება მსოფლიოში ერთადერთი ბავშვთა საოპერო დასი და ა.შ. ცხადი ხდება, რომ ფული ჯოჯოხეთს მართლაც ანათებს, ფული, რომელიც არა აქვს ქვეყნის ბიუჯეტს, ხოლო თავზე საყრელად აქვს პიროვნებას, რომელსაც სახელმწიფო თანამდებობის გარდა არსად უმუშავია!

რა თქმა უნდა, როგორც ქართული ჭადრაკისთვის, ისე მთლიანად ქვეყნისათვის ძალიან კარგი იქნებოდა, თუ ბათუმი აღნიშნულ შეჯიბრებას უმასპინძლებდა, მაგრამ როცა ერთ დღეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრს კარს ცხვირწინ მიუჯახუნებ და უარს ეტყვი უკანონო იარაღის ჩაბარებაზე, ხოლო მეორე დღეს იტრაბახებ ჭადრაკის სიყვარულით, აქ სპორტი უკვე ჩართულია პოლიტიკაში.

თუ ვინმეს მართლაც შესტკივა გული ქართულ სპორტზე, პირველ რიგში, მის მასობრიობაზე უნდა იზრუნოს, რათა წარმოჩნდეს უამრავი ტალანტი, რომელთათვისაც, უსახსრობის გამო, დიდ სპორტზე ფიქრიც კი ზედმეტია. ჩვენში კი რა ხდება: დაანგრიეს სტადიონი, საცურაო აუზი, დაანგრიეს საჭადრაკო სახლი, რომელიც იდგა მოსწავლეთა პარკში ხელმოკლე მშობელთა იმედად! კი ბატონო, აშენდა ჭადრაკის სასახლე, მაგრამ აქვს კი ყველას ქალაქის ცენტრიდან თუ გარეუბნებიდან იქ ბავშვის ტარების საშუალება, რომ აღარაფერი ვთქვათ წვრთნის მაღალ ტარიფებზე? და საერთოდ, საიდან გაჩნდა ხალხის გაღატაკების ფონზე ეს დაუოკებელი მისწრაფება ელიტარულობისაკენ: ელიტარული ჭადრაკის სასახლე, ელიტარული საჩვენებელი ბავშვთა ბაღი, ელიტარული კორტები, რომელმაც ბულვარის საუკეთესო ნაწილი ჩაყლაპა, ელიტარული პირამიდა, რომელმაც შთანთქა უმშვენიერესი საზაფხულო თეატრი, ელიტარული სანაპირო "რივიერა", რომელმაც შეიწირა სტადიონი და საცურაო აუზი, ელიტარული ქარხნები "აღორძინება - მ", "აღორძინება - 6" და მთლიანად განადგურებული დანარჩენი ფაბრიკა-ქარხნები; საჩვენებელი ბავშვთა ოპერა და პოლიტიკურად ქცეული დრამატული თეატრის შენობა, აგრეთვე - გაუქმებული კინოთეატრები; ელიტარული ვენებანი და ალგეილი პირისაგან მიწისა შესანიშნავი მოსწავლეთა პარკი...

რა სპორტზე და კულტურაზეა საუბარი?!

ცილისწამება და შეურაცხყოფაა ტერმინი - "ცენტრისა და რეგიონის დაპირისპირება". ასეთ დაპირისპირებას არ ჰქონია, არა აქვს და არც არასდროს ექნება ადგილი. სამწუხაროა, რომ ეს "ვერ გაუგია" ზოგიერთ პედაგოგს, ექიმსა თუ საბიუჯეტო ორგანიზაციების სხვა წარმომადგენელს, ვინც სამარცხვინოდ დადგარა "ჩოლოქის საზღვარზე" და "იცავს" აჭარას ქვეყნის ხელისუფლებისაგან. საინტერესოა, როგორ ასწავლის ბავშვებს სამშობლოს სიყვარულს პედაგოგი, ვინც ქვეყნის ხელისუფლების, მისი ერთიანობის წინააღმდეგ გამოდის. ვის ამართლებენ ასეთი "პედაგოგები" ალმაშენებლის ეპოქაზე საუბრისას, დაუმორჩილებელ ფეოდალებს თუ მათ წინააღმდეგ თავგანწირულად მებრძოლ მეფეს.

ერთი სიტყვით, პრობლემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ "პრივატიზებული" თანამდებობებისა და უკონტროლო შემოსავლების დაკარგვის შიშით, ა. აბაშიძემ და მისმა ხელისუფლებამ დაიწყო ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რასაც აშკარად კატასტროფისაკენ მივყავართ.

ჩვენ, ამ წერილზე ხელის მომწერნი, ვაფიქსირებთ ჩვენს პოზიციას და მოვუწოდებთ მშვიდობიანი ფორმით აქტიური მოქმედებისაკენ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ერთიანი ქართული სახელმწიფო და ზოგადქართული ცნობიერება, კერძოდ:

ახალგაზრდობას:

საზოგადოების ეს საუკეთესო ნაწილი მშვიდად და გულგრილად არ უნდა უყურებდეს იმას, თუ როგორ დაგვენგრევა თავზე ქვეყანა. დადექით იქ, სადაც სამშობლოს ბედი წყდება!

ინტელიგენციას:

დღეს, როგორც არასდროს, ყველაზე მეტად სჭირდება ქვეყანას თქვენი ხმა და მხარდაჭერა. ობიექტურად შეაფასეთ სიტუაცია და აქტიურად ჩაერთეთ პრობლემის მოგვარებაში!

აჭარის მოსახლეობას:

არ წამოეგოთ პროვოკაციას, არ აიღოთ ხელში იარაღი, კარგად გაიაზრეთ, თუ რა ხდება და იმოქმედეთ ისე, რომ მომავალ თაობებს არ შერცხვეთ თქვენს გამო.

ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას:

ა. აბაშიძემ და მისმა გარემოცვამ არაერთხელ დაარღვია ქვეყნის კონსტიტუცია, საკონსტიტუციო სასამართლო კი დღემდე დუმს! გადაიტანეთ ყველაფერი სამართლებრივ ასპექტში და იყავით ქმედებებში თანამიმდევრულნი!

ამასთანავე მივმართავთ ა. აბაშიძის მიერ გაუბედურებულ და ქვეყნის მოღალატეებად ქცეულ სამხედროებს:

თქვენ, როგორც ჩანს, ვერ აცნობიერებთ, თუ რა ცოდვა აჰკიდეთ თქვენს შვილებს და ახლობლებს. არ არსებობს ქვეყანა, სადაც უმაღლესი მთავარსარდლისადმი დაუმორჩილებლობას სამშობლოს ღალატი არ ერქვას! სამშობლოს ღალატი კი კაცობრიობის ისტორიაში დანაშაულთა შორის მუდამ უმძიმესი იყო. გონს მოეგეთ, სანამ გვიან არ არის, მიატოვეთ სამხედრო სამსახური, მოინანიეთ დანაშაული და დროზე ჩამორეცხეთ სამარცხვინო ლაქა თქვენს შვილებსა და ახლობლებს!

მივმართავთ მოღალატე მეთაურების ხელქვეით ყველა ჯარისკაცსა და ოფიცერს:

არ აჰყვეთ მათ, არ იქცეთ საზარბაზნე ხორცად და მითუმეტეს სამშობლოს მოღალატეებად. კარგად გაიაზრეთ, თუ ვისთვის და რისთვის კეთდება ეს ყველაფერი და სასწრაფოდ დადექით იქ, სადაც სამშობლო გიხმობთ!

მივმართავთ ძალოვანი სტრუქტურების ყველა თანამშრომელს:

თქვენ ძალიან კარგად გესმით, რომ არ არსებობს პლანეტაზე ქვეყანა, სადაც ძალოვანი სტრუქტურები მკაცრად ცენტრალიზებული არაა. თქვენ ხართ არა ერთი რომელიმე პიროვნების, არამედ ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები. გვინდა, ვიწამოთ სამშობლოსადმი თქვენი ერთგულებისა და ვირწმუნოთ, რომ არ მიმართავთ იარაღს საკუთარი ხალხისა და ქვეყნის წინააღმდეგ!

მივმართავთ აჭარის "სენატისა" და "პარლამენტის" წევრებს:

თქვენც ხართ თანამონაწილენი იმ ანტიკონსტიტუციური და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებისა, რასაც ადგილი აქვს ბოლო დროს. თქვენ რომ ოდნავი გამბედაობა და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა გამოგეჩინათ, ვერც ა. აბაშიძე იგრძნობდა თავს ყოვლისშემძლედ და, შესაბამისად, არც მდგომარეობა მივიდოდა კრიტიკულ ზღვრამდე. არც ახლაა გვიანი! ნუ დაემსგავსებით ავადსახსენებელ "სედოი მილეთს", ახლა მაინც მოერიდეთ თავს და დაყარეთ მანდატები, რათა მთლიანად არ აღმოჩნდეთ იმ ცოდვის მონაწილენი, რასაც ქვეყნის ხელისუფლების წინააღმდეგ მახვილის აღმართვა ჰქვია!

მივმართავთ "აღორძინებასა" და მის მხარდამჭერებს, განსაკუთრებით კი მათ, ვინც უკანონოდ აიღო ხელში იარაღი, ერთიანდება ე.წ. "სპეცნაზში", დგას ჩოლოქზე და "იცავს" აჭარას ქვეყნის ხელისუფლებისაგან:

ძალიან მძიმე ცოდვას იკიდებთ მხრეზზე! ცოდვას, რომელიც უმძიმეს ტვირთად დააწვება არა მარტო თქვენ შთამომავლობას, არამედ მთელ ჩვენს მხარეს! სწორედ თქვენნაირების გამო გახდა იძულებული 1918 წლის აპრილში დიდი მამულიშვილი ჰაიდარ აბაშიძე თავისი მშობლიური კუთხისთვის მიემართა:

"მოძმეთა გულში ლახვრის ჩამცემო, ძმის სისხლში გასვრილო, მოღალატე და უსინდისო აჭარავ!

შენ მიწასთან გაასწორე სამაჰმადიანო საქართველოს სახელი, შენ შეურაცხყვე და წაბილწე ჩვენი წარსული და მომავალი!

რამ გაიძულა, ვინ შეგაცდინა, ვინ გაგსვარა ძმის სისხლში, რომ ოსმალეთზე უმალ შენ იშიშვლე ხმალი და შელებე ის ძმის სისხლში!

რას ეუბნებით წარსულს და რა პასუხი უნდა გასცეთ მომავალს?... იცოდეთ, პასუხს გაგცემთ მომავალი სამაჰმადიანო საქართველო!

თქვენი უსინდისო და უნამუსო საქციელით თავზრუდასხმული ერთი ქართველი მაჰმადიანთაგანი, ჰაიდარ აბაშიძე.

(გაზ. "სახალხო საქმე", 1918 წ. 10 აპრილი)

ვითარება კი იმ პერიოდში თითქმის ისეთი იყო, როგორიც შექმნა დღეს ა. აბაშიძემ. აი, რას წერდა მაშინდელი პრესა:

* * *

"დაძრწიან ყოველ სოფელში,
უვიცნი მორჯთამულები,
მტრებს გვერდში ამოდგომიან,
ჩაუჯიბავენ ფულები,
ოჯახს გვინგრევენ, სამშობლოს,
განადგურებას ლამობენ,
მტერები ფერხულს უვლიან, ჩვენი
წვალებით ხარობენ."

(გაზ "სამუსლიმანო საქართველო",1920 N375 ).

* * *

"დამერწმუნეთ, ბატონებო,
დამახინჯდა საქმე ჩვენში,
ძმამა ძმა გეიმეტა, თოფი მიუმიზნა
ყელში,
ჭკვიანი თუ შერეული ბევრი მოხდა
იმათ წრეში,
მტრებმა ძლიერ გაიხარეს, თევზი
ჰპოვეს მღვრიე წყლებში.

(გაზ "სამუსლიმანო საქართველო",1920 N372 ).

გონს მოეგეთ, ხალხნო! ისტორია არ განმეორდეს. ჯერ კიდევ არის დრო! დაყარეთ ქვეყნის კონსტიტუციის, პრეზიდენტისა და ერთიანობის წინააღმდეგ შემართული იარაღი, ნუ გადააყოლებთ ქვეყანას ერთი კაცის ჭირვეულობას! ნუ გგონიათ, რომ მხოლოდ ქართულად ლაპარაკია ქართველობა. ნუთუ ვერ ხედავთ, თქვენი "ნამოღვაწარის" წყალობით როგორ იხლიჩება ამ ძირძველი ქართული კუთხის მოსახლეობა დაპირისპირებულ ბანაკებად და როგორ ინერგება საკმაოდ მცირე, მაგრამ მაინც გარკვეულ ნაწილში ერთიანი ქართულ სახელმწიფოსადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება და განკერძოების ფსიქოლოგია?!

და ბოლოს...

ბატონო ასლან!

რა ქნას აჭარის მოსახლეობამ, თუ თქვენ ქვეყნის ახალ ხელისუფლებასთან ვერ გამონახეთ საერთო ენა? იჯდეს და მშვიდად უცქიროს, როგორ ეფლობა ჩვენი ძირძველი ქართული კუთხე ღალატის ჭაობში?

კი მაგრამ, რას აპირებთ?

წამდაუწუმ აფხაზეთსა და ოსეთს რომ ახსენებთ, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თქვენც გაგიჩნდათ დამოუკიდებლობის სურვილი?

თუ ეს ასეა, გვითხარით პირდაპირ და დაუფარავად!

თუ არა და, რას ნიშნავს თქვენი მთავარსარდლობა, "ჩოლოქის საზღვრის" ჩაკეტვა, სამ თვეში სამჯერ უკანონო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, უკანონო ფორმირებების შექმნა და შეიარაღებული დაპირისპირება ქვეყნის ხელისუფლებასთან?

რა უფლებით არ შემოუშვით ქვეყნის პრეზიდენტი აჭარაში, თუნდაც დილით და თუნდაც შეიარაღებული რაზმით?

რას ნიშნავს თქვენ მიერ წამდაუწუმ ყარსის ხელშეკრულების ხსენება, თუ არა გარე ძალების მოხმობას საკუთარი სკამის დასაცავად და რეგიონის გასაწირავად?

რას ნიშნავს თქვენი მიმართვები აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტებისადმი, არიქა, მომეშველეთ, გადამირჩინეთ სკამი ქვეყნის ხელისუფლებისაგანო?

აბაშიძეები აჭარას მეთხუთმეტე საუკუნიდან ვმართავთო, რომ აცხადებთ, რეგიონის მართვის მარადიულ უფლებას ხომ არ ითხოვთ?

თქვენ რომ ქვეყნის პრეზიდენტთან საერთო ენის გამონახვა გდომებოდათ, ინაუგურაციის დღეს გაჰყვებოდით მას თბილისში!

არც პრეზიდენტის მიპატიჟების შემდეგ გადადგით ეს ნაბიჯი! პირიქით, უცხო კაცს, ვალტერ შვიმერს, ჩვენი სასახლეო დაახვედრეთ.

როგორც ჩანს, არ გსურთ თქვენ ქვეყნის ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვა.

კი, მაგრამ ხალხმა რა დააშავა?!

სძლიეთ თავს, დათმეთ დასათმობი, აუზით ფეხი დროსა და ქვეყნის ხელისუფლებას, რაც ნამდვილად არ არის დაგვიანებული ან კიდევ...

გადადექით და ამით იხსენით ჩვენი ქვეყანა და მხარე უბედურებისაგან!

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები*

1. ბიჭიკო დიასამიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.
2. ჯემალ ბერიძე - ფიზიკა-მატემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
3. თამაზ ფუტკარაძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
4. კახაბერ სურგულაძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
5. ვანო პაპუნიძე - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
6. თემურ ავალიანი - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
7. ნუგზარ მგელაძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
8. ოთარ ცეცხლაძე - უფროსი მასწავლებელი
9. ტარიელ ებრალიძე - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
10. ზაზა დავითაძე - გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი
11. გივი ცეცხლაძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
12. პაატა აროშიძე - მასწავლებელი
13. მზია დიდმანიძე - მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი
14. მამია ფალავა - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
15. ნარგული ასანიძე - ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
16. ელგუჯა მაკარაძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
17. მალხაზ სიორიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
18. ნოდარ ბარამიძე - უფროსი მასწავლებელი
19. ნაზი მიქელაძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
20. ვლადიმერ ბალაძე - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი,
21. ზებურ ავალიანი - ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
22. მურმან დუმბაძე - ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
23. ოთარ შანიძე - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
24. მერაბ მეგრელიშვილი - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
25. ხათუნა თავდგირიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
26. მზია ქათამაძე - მასწავლებელი
27. ზურაბ თედორაძე - მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი
28. ჯიმშერ ლეჟავა - მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი
29. ამირან კახიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
30. ალექსანდერე ბათაძე - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
31. ოთარ გოგოლიშვილი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
32. იზოლდა ბელთაძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
33. რამაზ ხალვაში - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
34. დავით გვიანიძე - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი
35. მალხაზ ნაკაშიძე - მასწავლებელი
36. ნინო დოლიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
37. დიანა ახვლედიანი - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
38. ზეინაბ ასანიძე - მასწავლებელი
39. ციური ქათამაძე - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
40. ნონა ჭყონია -მასწავლებელი
41. მიხეილ ქამადაძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
42. ზურაბ ჩიხლაძე - მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი
43. ვახტანგ ბერიძე - მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი
44. კახაბერ ქაშიბაძე - მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი
45. ციალა ჯინჭარაძე - სოციოლოგიური კვლევის ცენტრის გამგე
46. ნუგზარ ცეცხლაძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
47. ლალი ანთიძე -მასწავლებელი
48. ლალი ზაქარაძე - ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი
49. ნინო მიქელაძე - მასწავლებელი
50. შოთა ჯიჯეიშვილი - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
51. ლალი ლომთათიძე - მასწავლებელი
52. ზაზა ბურკაძე - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
53. მაია თოიძე - მასწავლებელი
54. ავთანდილ ქემხაძე - პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი
55. ციცინო სარაჯიშვილი - უფროსი მასწავლებელი
56. მარინა გიორგაძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
57. ქეთევან ბერიძე - მასწავლებელი
58. დავით ცეცხლაძე - მასწავლებელი
59. მერაბ ფუტკარაძე - მასწავლებელი
60. გურამ ბახტაძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
61. ნინო ჟღენტი - მასწავლებელი
62. ემზარ კახიძე - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
63. ასლან ჭანიძე - მასწავლებელი
64. ნარგიზ ალასანია - ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
65. მედეა ჩარკვიანი - მასწავლებელი
66. ნანა ხახუტაიშვილი - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
67. ბესიკ ბოლქვაძე - მასწავლებელი
68. მურმან ცეცხლაძე - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი
69. იმედო მუხაშავრია - უფროსი მასწავლებელი
70. როინ მალაყმაძე - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
71. რუსუდან ნიჟარაძე - მასწავლებელი
72. მერაბ ხალვაში - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
73. ლია ცეცხლაძე - მასწავლებელი
74. მაია მაღულარია - მასწავლებელი
75. ნაირა ტაბიძე - პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი
76. ჯუმბერ დავითაძე - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
77. ნათია აბაშიძე - მასწავლებელი
78. თენგიზ მოისწრაფიშვილი - უფროსი მასწავლებელი
79. თემურ ტუნაძე - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
80. ნინო ძნელაძე - მასწავლებელი
81. ზაურ გამიშიძე - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
82. მადონა გიორგაძე - მასწავლებელი
83. ომარ ნაკაშიძე - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
84. თამრიკო ხინიკაძე - მასწავლებელი
85. ლელა თურმანიძე - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
86. რუსუდან ჩხაიძე - მასწავლებელი
87. ნანული მახარაძე - მასწავლებელი
88. ლალი ანდღულაძე - მასწავლებელი
89. ბესიკ ბაუჩაძე - მასწავლებელი
90. მედეა ვაშაკიძე - მასწავლებელი
91. ჯუმბერ კახიძე - ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
92. ლამარა მიქელაიშვილი - უფროსი მასწავლებელი
93. მადონა მიქელაძე - პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი
94. რუსუდან კეჭაყმაძე - უფროსი მასწავლებელი
95. მარინა ჯინჭარაძე - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
96. ირმა მექვაბიშვილი -მასწავლებელი
97. თამთა კვარაცხელია - მასწავლებელი
98. ემზარ სეფერთელაძე - მასწავლებელი
99. მანანა მაჩალაძე - მასწავლებელი
100. ცირა ჭყონია - მასწავლებელი
101. ნანა ქაჯაია - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
102. ნანა გორგილაძე - მასწავლებელი
103. ზენო ჭელიძე - მასწავლებელი
104. ლამარა წითლიძე - მასწავლებელი
105. ოთარ მიქელაძე - მასწავლებელი
106. გელა ლომაძე - მასწავლებელი
107. ჯემალ მაკარაძე - მასწავლებელი
108. გულნარა დიასამიძე - მასწავლებელი
109. როსტომ ბერიძე - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი
110. ლევან მჟავანაძე - მასწავლებელი

# იუსტიციის მინისტრის პირველი რადიკალური ნაბიჯები

თამარ კაციტაძე

*ჯერ კიდევ წინა მინისტრების მიერ ციხის ელიტარულ ფენასთან, ე.წ. კანონიერ ქურდებთან დაწყებულ ბრძოლას ახალი იუსტიციის მინისტრიც აგრძელებს. მან თითქმის ერთთვიანი მუშაობის შემდეგ ე.წ. კანონიერი ქურდების ე.წ. "ჩიტირი-დევიტ" საკანი გაუქმებულად გამოაცხადა.*



ასე გამოიყურებოდა №5 საპყრობილეში ე.წ. კანონიერი ქურდების საკანი.



ქურდული სამყაროს ავტორიტეტები ჩვეულებრივი პატიმრების გვერდით ცხოვრობენ.

აღნიშნულ საკანს დღემდე არავინ შეხებია. ის კი არა, ციხის ადმინისტრაცია თამამად იმის თქმასაც ვერ ბედავს, როგორ ჩატარდა ყველაზე მკაცრად დაცულ საპყრობილეში ევრორემონტი, როგორც შეიტანეს პატიმრებმა შიგნით თანამედროვე ავეჯი და სხვა მოწყობილობა. საპყრობილის დღევანდელი თანამშრომლები ხელს წინამორბედებისკენ იშვერენ, მაგრამ ფაქტია, ქურდებთან შეწინააღმდეგებას წლების მანძილზე ვერც ისინი ბედავდნენ.

დღეიდან კი სასჯელაღსრულებითი დაწესებულების №5 საპყრობილის 49-ე საკანში მცხოვრები კანონიერი ქურდები - ლორთქიფანიძე, ქურასბედიანი, დათუნაშვილი, ჯაფარიძე, ცისკარიშვილი, ვიბლიანი, გოგავა და გოდელაძე - კომფორტული კამერის ნაცვლად (იგი ევროპაში "სენსაციურად" ნამდვილად არ შეფასდებოდა), სასამართლო გადაწყვეტილებას ცალ-ცალკე, სხვა პატიმრებთან ერთად, ჩვეულებრივ "კამერებში" დაელოდებიან. ჩვეულებრივი საკნის საცხოვრებელი პირობები კი არა მარტო ე.წ. "ჩიტირი-დევიტ კამერას" შეედრება, არამედ ნორმალური საკნის პირობებსაც ვერ აკმაყოფილებს. როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, სხვა პრობლემებს რომ თავი დავანებოთ, საპყრობილეში, სადაც 1600 საწოლია 2 ათასი ბრალდებულია მოთავსებული და მათ ღამე მორიგეობა აქვთ დაწესებული. როგორ შეეგუება ციხის პრივილეგირებული ფენა ასეთ პირობებში ცხოვრებას და ვის ხარჯზე გაიუმჯობესებენ ისინი პირობებს, ძნელი სათქმელია, რადგან მათ შესახებ ხმამაღალი განცხადებების გაკეთებას არა თუ პატიმრები, არამედ რიგითი თანამშრომელბიც ვერ გაბედავენ.

სამაგიეროდ, ე.წ. კანონიერ ქურდებთან დაპირისპირების არ ეშინია დღევანდელ მინისტრს და მის ახალ გუნდს.

**"ნათქვამია, "ციხე ქურდებისააო", მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქურდები განსაკუთრებული პრივილეგიებით უნდა სარგებლობდნენ და პატიმრებში შეგროვილი ფულით ელიტარულ პირობებს იქმნიდნენ. თუ მათ ციხის საერთო პირობებში ყოფნა არ უნდათ, ნუ დაარღვევენ კანონს და იქნებიან თავისუფლები",** - ამბობს იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ამ გზით ქართულ ციხეში ასი წლის მანძილზე დანერგილი ქურდული ტრადიციების დანგრევას შეძლებს.

თუმცა, ახალი მინისტრის მიერ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში კიდევ ერთხელ დაწყებული რეფორმა მხოლოდ ე.წ. კანონიერ ქურდებთან დაპირისპირებით არ შემოიფარგლება. პაპუაშვილის მიზანიც წინამორბედების მსგავსად ციხეთა აღმშენებლობა, პატიმართა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, მათი დასაქმება, საკვებითა და მედიკამენტებით მომარაგება, დაცვის სისტემის გაძლიერება, დაწესებულების თანამშრომლებისთვის ნორმალური სამუშაო პირობების შექმნა, ხელფასების გაზრდა და სხვა უამრავი პრობლემის მოგვარებაა, რაზეც წინა მინისტრებიც ოცნებობდნენ, მაგრამ ფინანსებისა და ხელისუფლების ნების უქონლობის გამო მათი მიზნებიც დაუსრულებელი დარჩა.

ახალ იუსტიციის მინისტრს კი სწორედ დღევანდელი ხელისუფლების, გაორმაგებული ბიუჯეტისა და უცხოელი კოლეგების დახმარების იმედი აქვს, რაზეც ხმამაღლა გუშინ სპეციალურად პენიტენციალურ სისტემასთან დაკავშირებით გამართულ კოლეგიაზე განაცხადა.

**"ჩვენი შეკრების მიზანი არა წუწუნი, არამედ ის არის, რომ რეალურად განვახორციელოთ ცვლილებები სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში",** - განუცხადა კოლეგიაზე მიწვეულ, უკვე სპეციალურ ფორმებში გამოწყობილ სასჯელაღსრულების დაწესებულებების ხელმძღვანელობას მინისტრმა, რომელიც დარწმუნებულია, რომ ცოტა ხანში შესაბამისი ფორმა ეცმევა პენიტენციალური სისტემის ყველა თანამშრომელს.

გუშინდელი კოლეგიის მთავარი მიზანი და თემა არა მარტო სამომავლო გეგმებზე საუბარი, არამედ ის უმთავრესი - ვადაზე ადრე და ე.წ. აქტიროვკით გათავისუფლების პრობლემა იყო, რაც პატიმრებს და მათ ახლობლებს ყველაზე მეტად აწუხებთ.

**"ვადაზე ადრე გათავისუფლებისას პატიმრებს პრობლემა ხვდებათ არა მარტო მოსამართლეებისა და პროკურორების მხრიდან, არამედ თავად დაწესებულებაშიც, რაც ხშირად კორუფციას უკავშირდება; ამიტომ ამის შემდეგ ნებისმიერი პატიმრის საქმე, რომელსაც კანონით ეხება ე.წ. უდოთი გათავისუფლება, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე უნდა გადაიგზავნოს სასამართლოში და იქ მიიღონ გადაწყვეტილება",** - ასეთია მინისტრის ბრძანება, რომელმაც საკუთარ ქვეშემდგომებთან ერთად ეჭვქვეშ დააყენა იმ პროკურორებისა და მოსამართლეების კეთილსინდისიერება, რომლებიც პატიმრებს კანონის შესაბამისად კი არა, საკუთარი სურვილისა თუ დაინტერესების შესაბამისად ათავისუფლებენ.

**"ამ პრობლემის დასაძლევად უკვე ვესაუბრე იუსტიციის საბჭოს მდივანს. თუ დაფიქსირდება მოსამართლეთა მხრიდან საეჭვო ფაქტები, ისინი კანონის შესაბამისად დაისჯებიან",** - ამბობს მინისტრი.

რაც შეეხება ვადაზე ადრე გათავისუფლებასთან დაკავშირებით პროკურორების მხრიდან დაშვებულ შეცდომებს, ამის გამოსწორებას თავის თავზე იღებს გენერალური პროკურორის მოადგილე კახა კობერიძე, რომელიც ორი წლის მანძილზე, იუსტიციის მინისტრის მოადგილეობის პერიოდში, სწორედ ციხეებს კურირებდა და მისთვის ამ სისტემაში არსებული პრობლემები ნამდვილად არ არის უცხო.

**"ის, რომ პროკურორები სცოდავენ, ახალი არ არის. ახლა პროკურატურაში დაწყებულია შემოწმება და ყველაფერს მკაცრი შეფასება მიეცემა",** - განაცხადა კოლეგიაზე მიწვეულმა კობერიძემ და იქვე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით პატიმართა გათავისუფლების თემასაც შეეხო.

**"პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტროს ისეთი მკაცრი ჩამონათვალი აქვს, რომ პატიმრები იქამდე ცოცხლები ვერ აღწევენ და ციხეშივე კვდებიან. ამასთან, სავალდებულოა ძვირადღირებული გამოკვლევა, რაც ჩვენს პირობებში შეუძლებელია; ამიტომ ეს ყველაფერი გადასინჯვას და გაიოლებას საჭიროებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ "აქტიროვკა" კორუფციის წყაროდ იქცეს და ჯანმრთელი პატიმრები გარეთ აღმოჩნდნენ",** - ასეთია გენპროკურორის პოზიცია, რომელსაც იუსტიციის მინისტრიც ეთანხმება.

და კიდევ ერთი: გუშინდელი კოლეგიის მნიშვნელოვანი თემა იყო იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ხანგრძლივი მუშაობის შედეგები, რასაც სასჯელაღსრულების დაწესებულების ჩინიანი თუ რიგითი თანამდებობის პირები შეეწირნენ.

იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის შაქრო აბუსერიძის მოკვლეული მასალებისა და მინისტრის გადაწყვეტილებით, სხვადასხვა დანაშაულისთვის თუ გადაცდომისთვის თანამდებობები დატოვეს: სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმართა ბადრაგირების დანაყოფის ასეულის ოცმეთაურმა ჩაჩანიძემ და იმავე სამსახურის სხვა წევრებმა - მიქელთაძემ, ქორიძემ და კაკაურიძემ, ასევე ტუბერკულიოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დირექტორის მოადგილემ ტაბაღუამ, იმავე დაწესებულების დაცვის დანაყოფის ყარაულის უფროსმა ხუციშვილმა, №7 მკაცრი რეჟიმის დაწესებულების დირექტორის მოადგილემ პეტრიაშვილმა და რეჟიმის განყოფილების უფროსმა ჩოჩიშვილმა. პენიტენციალურ სისტემას დაემშვიდობა №3 საპყრობილეს საბადრაგო ასეულის ყარაულის უფროსი თანაშემწე მახაჭაძე და ჩხიკვაძე და ა.შ. გარდა სამსახურიდან დათხოვნისა, გუშინდელ კოლეგიაზე მრავლად გაისმოდა საყვედურები და გაფრთხილებები, ხოლო ზუგდიდის №4 საპყრობილიდან პატიმარ თორდიას გაქცევის გამო სისხლის სამართლის საქმე აღიძრა საპყრობილის დაცვის გუშაგის თორდიას მიმართ.

ერთი სიტყვით, იუსტიციის მინისტრს ქურდების და ულირსი თანამშრომელების მიმართ ბრძოლა დაწყებული აქვს და დარწმუნებულია, რომ ამგვარი შეუპოვრობით სისტემაში დაწყებული რეფორმები შედეგს აუცილებლად გამოიღებს.

# ქუთაისის საავიაციო-შემკეთებელი ქარხნის საქმეს პოლიცია იკვლევს

*რამდენიმე დღეა, რაც ქუთაისში საავიაციო-შემკეთებელი ქარხნის კოლექტივი გაიფიცა. ისინი რვა თვის გაუცემელი ხელფასების დაფარვას, დირექტორის გადადგომასა და ქარხნის სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნებას მოითხოვენ. გარდა ამისა, საავიაციო-შემკეთებელი ქარხნის საქმეს იმერეთის სამხარეო პოლიციის ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური იძიებს.*

ბექა სისაური
ქუთაისი

საავიაციო ქარხანა, ძირითადად, ვერტმფრენებისა და თვითმფრინავების შეკეთებით იყო დაკავებული, საწარმოში ასევე კეთდებოდა აღნიშნული საფრენი აპარატების მოტორები და რედუქტორები. საწარმოს თანამშრომლების განმარტებით, ასეთი ტიპის ქარხანა ყოფილ საბჭოთა კავშირში სულ ორი იყო.

იმერეთის სამხარეო პოლიციის ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის ხელმძღვანელის კაკო ზაქარიაძის ინფორმაციით, ქუთაისის საავიაციო ქარხანა 1998 წელს, პრეზიდენტ შევარდნაძის N70-ე განკარგულების თანახმად, პირდაპირი გამოსყიდვის გზით რუსეთის ფედერაციის შპს სამეცნიერო-საწარმოო-საავიაციო ფირმა "ავიატონს" მიეყიდა. მას წარმოშობით ქართველი, რუსეთის მოქალაქე ავთანდილ ხაჭაპურიძე ხელმძღვანელობს. პრეზიდენტმა მას ქარხნის აქციათა 91,44 პროცენტი სიმბოლურ ფასად - 1000 ლარად მიჰყიდა. ხელშეკრულების თანახმად, "ავიატონი" კისრულობდა საწარმოს პროფილის შენარჩუნებას, საავიაციო ძრავების აწყობის სერთიფიცირებას, საწარმოო პირობების მომზადებას საფრენი აპარატების სერიული წარმოებისათვის და ამისთვის საჭირო სერთიფიკატის მიღებას. 1999 წლის ბოლომდე უნდა განხორციელებულიყო თვითმფრინავების საამკრებო წარმოების უზრუნველყოფა 2 მილიონი დოლარის ტექნოლოგიური მოწყობილობებით, უნდა მომხდარიყო 500 ათასი დოლარის ინვესტირება კადრების მომზადების, საწარმოო ფართის რეკონსტრუქციისა და მუშა-მოსამსახურეების სახელფასო დავალიანებების დაფარვისთვის. ამავე დროს 700 ათასი ლარი თვითმფრინავის აკრებაზე უნდა დახარჯულიყო, ხოლო 800 ათასი - წარმოების განვითარებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა სტრატეგიული მნიშვნელობის ქარხანა მეტად საეჭვო გარიგების საფუძველზე რუსეთის ფირმა "ავიატონს" პრაქტიკულად აჩუქა, "ავიატონმა" ხელშეკრულებით ნაკისრი თითქმის არც ერთი ვალდებულება არ შეასრულა. უფრო მეტიც, ქარხნის პროფკავშირების განმარტებით, რუსეთში გატანილია საწარმოს კუთვნილი ორ მილიონამდე დოლარი. **"ჩვენი მოთხოვნაა, დაგვირიგონ ხელფასები, გადადგეს დირექტორი, საწარმო დაუბრუნდეს სახელმწიფოს. ასევე, ხელმძღვანელებმა დააბრუნონ მიტაცებული თანხები. იმის ნაცვლად, რომ მათ ქარხანაში ინვესტიცია ჩაედოთ, საწარმოს კუთვნილი ორ მილიონ დოლარამდე რუსეთში გაიტანეს,"** - აცხადებენ ქარხნის მუშები და სამართალდამცველებს საქმის გამოძიებას სთხოვენ.

რამდენიმე წლის წინათ ქარხანა შეეცადა ორადგილიანი თვიმფრინავების გამოშვებას, ერთი მათგანი კიდეც ააწყო, თუმცა ტექნიკური ხარვეზების გამო შესაბამისი სერთიფიკატი ვერ მიიღო; ეს კი ისედაც გაჭირვებულ ქარხანას დამატებით ტვირთად დააწვა. **"ხაჭაპურიძემ მოგვაცილოს მისი ჯართი - თვითმფირანავები, რომლებსაც არავითარი სერთიფიკატი არ გააჩნიათ, შენახვის თანხას კი ქარხანა იხდის. წესით, წელიწადში 4-8 თვითმფრინავი უნდა გამოსულიყო, რაც არ გაკეთებულა. უფრო მეტიც, მათ ქარხნაში უკვე დანერგილი ტექნოლოგიები საზღვარგარეთ გაყიდეს. მათ მიერ გაყიდულია თვითმფრინავი "აი-25-ტლ"-ის ძრავის რედუქტორის ტექნოლოგია, ასევე ვერტმფრენების "მი-2" და "ვკ-1"-ის რედუქტორების ტექნოლოგიები. მათ წარმოებაში ასამდე ადამიანი მაინც დასაქმდებოდა. ქარხანაში შესვლა რომ გინდოდეს, გაგიძნელდებათ. ერთი შენობა საერთოდ დაინგრა. სამუშაო შენობებში კი წყალი ჩამოდის. შევარდნაძემ ამ ხალხს ქარხანა 1000 ლარად აჩუქა. მათ კი ესეც არ ეყოთ და იგი სრულად გაანადგურეს. ახლა პრეზიდენტ სააკაშვილს ვთხოვთ, რომ სტრატეგიული მნიშვნელობის ქარხანა სახელმწიფოს დაუბრუნოს,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ქარხნის პროფკავშირის თავმჯდომარემ ჯემალ მირცხულავამ.

ქარხნის თანამშრომლებმა აღნიშნული მასალები გამოსაძიებლად პროკურატურას გადასცეს. ამჟამად ფაქტებზე მოკვლევას იმერეთის სამხარეო პროკურატურის კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური აწარმოებს. **"ჩვენ ვამოწმებთ "ავიატონსა" და სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულების პუნქტების შესრულებას. გამოძიების მიერ ამ ეტაპზე რამდენიმე პუნქტის შეუსრულებლობა იკვეთება; კერძოდ - სახელფასო დავალიანება, რომელიც, ხელშეკრულების თანახმად, ჯერ კიდევ 1999 წელს უნდა დასრულებულიყო და ჯერაც არ დაუფარავთ. არც შესაბამისი სერთიფიკატები უნდა იყოს სახეზე. ხელმძღვანელობას რაიმე მნიშვნელოვანი სამუშაოები საწარმოს გადასაიარაღებლად არ ჩაუტარებია. წინასწარი მონაცემებით, ფირმა "ავიატონს" სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების არც ერთი პუნქტი შესრულებული არ უნდა ჰქონდეს. ამჟამად საწარმოს ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხს საგადასახადო ამოწმებს, რაც შეეხება მის რეპრივატიზებას, აღნიშნული კუთხით კონტროლის პალატამ შესაბამისი აქტი უნდა დადოს, რის შემდეგ შესაძლებელია მსჯელობა მისი სახელმწიფოსთვის დაბრუნების შესახებ,"** -აცხადებს პოლიციის შესაბამისი სამსახურის უფროსი კაკო ზაქარიაძე. საწარმოში კი გაფიცვა კვლავ გრძელდება.


## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობამ 2004-2005 სასწავლო წლისათვის ქართველი დიპლომირებული მაგისტრების, ასპირანტებისა და უმაღლესი სასწავლებლების დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის გამოყო სამეცნიერო სტაჟირების გასავლელი სტიპენდიები შემდეგ სპეციალობებზე: საერთაშორისო ურთიერთობები, ისტორია, პოლიტოლოგია, სოციოლოგია, ეთნოლოგია, კულტურის ისტორია, საზოგადოებრივი ფსიქოლოგია, ადმინისტრაცია და მართვა.

**სავალდებულო მოთხოვნები:**

- პოლონური ან ინგლისური ენის ცოდნა;
- კანდიდატების ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 35 წელს;
- კანდიდატი უნდა ფლობდეს გარკვეულ ინფორმაციას პოლონეთის შესახებ და ჰქონდეს გარკვეული ორიენტაცია ქვეყნის პრობლემატიკის თაობაზე (განსაკუთრებით XX საუკუნიდან დაწყებულ პერიოდთან დაკავშირებით), რომელიც შემდგომში კვლევის საგანი გახდება ერთ-ერთ ზემოთ ხსენებულ ან მონათესავე სფეროში.

**საჭირო საბუთები:**

1. უმაღლესი სასწავლებლის ან ასპირანტის დიპლომის ასლი;
დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან;
3. კანდიდატის საანკეტო ფურცელი (მიიღებთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში);
4. მოკლე ბიოგრაფია (CV);
5. ორი ფოტოსურათი;
6. წერილობით ჩამოყალიბებული სტიპენდიის მოპოვების მიზანი. მითითებული უნდა იყოს ის უმაღლესი სასწავლებელი, სხვა მეცნიერული ინსტიტუტი ან პოლონელი მეცნიერი, სადაც უნდა წარიმართოს მეცნიერული სტაჟირება. (ინფორმაცია სასწავლებელზე უნდა მოიძიოს თვითონ კანდიდატმა);
7. ორი სარეკომენდაციო წერილი;
8. პუბლიკაციების, მიღწევებისა და პროფესიული პროექტების სია;
9. პოლონური ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საბუთი.

**პოლონეთის სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი პირობები:**

1. სტაჟირების და სტიპენდიების ხანგრძლივობა — 9 თვე;
სტიპენდიის რაოდენობა საცხოვრებლის და კვების გადასახადის ჩათვლით, ყოველთვიურად შეადგენს 1200 პოლონურ ზლატოს.
3. სტიპენდიის მფლობელი ინდივიდუალურად აფორმებს სამედიცინო დაზღვევის პოლისს;
4. გამგზავნი მხარე პასუხისმგებელია მგზავრობის ხარჯებზე.

სასტიპენდიო პროგრამის განხორციელება იწყება 2004 წლის 1 ოქტომბრიდან.

**შენიშვნა:**

კონკურსში გამარჯვებული კანდიდატები, რომლებიც ფლობენ ინგლისურ ენას და გამოთქვამენ პოლონური ენის შესწავლის სურვილს, გაიგზავნებიან პოლონური ენის შემსწავლელ ინტენსიურ კურსზე, რომელიც შედგება მიმდინარე წლის სექტემბერში. პოლონური ენის შემსწავლელი კურსის საფასურს, საცხოვრებლის და საკვების ხარჯებს უზრუნველყოფს პოლონური მხარე.

**საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 20 მაისი.**

კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი ჩატარდება პოლონეთის საელჩოში, თბილისში.

დამატებითი ინფორმაციისა და ანკეტის მისაღებად მიმართეთ:

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სამმართველო**
დიმიტრი უზნაძის ქ. N52
ტელეფონი: **95-48-69**
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **მაია იოსელიანი**

ან

**პოლონეთის საელჩო თბილისში:**
მისამართი: **ზუბალაშვილის ქ. 19**
**www.msz.gov.pl**



## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

**რუსეთის ფედერაციის მთავრობამ, 2004-2005 სასწავლო წლისთვის, საქართველოს გამოუყო სტიპენდიები სტუდენტების, მაგისტრებისა და ასპირანტებისთვის (მაძიებლები) უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების სრული კურსის გასავლელად.**

სპეციალობების და უმაღლესი სასწავლებლების ჩამონათვალის გასაცნობად მსურველებს ვიწვევთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების სამმართველოში.

სასურველი ფაკულტეტის არჩევის შემთხვევაში მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

- პირადი განცხადება;
- ორი ფოტოსურათი;
- ანკეტა (მიიღებთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში);
- აბიტურიენტებისთვის ატესტატის ასლი და ნიშნების ფურცელი;
- დიპლომის ასლი, ნიშნების ფურცელი და მომავალი კვლევის მოკლე რეფერატი რუსულ ენაზე, ასპირანტებისა და მაძიებლებისთვის;

კანდიდატები სრულყოფილად უნდა ფლობდნენ რუსულ ენას.

საბუთები წარდგენილ უნდა იქნას შემდეგ მისამართზე:
**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
**დიმიტრი უზნაძის N52, ოთახი N 214 ტელ: 95-48-69, 95-99-21**

საკონტაქტო პირები: ქ-ნი **ვერიკო ლანჩავა** ან **მაია იოსელიანი**

**დოკუმენტაციის წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 10 მაისი.**



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

# 2004 წლის არჩევნები აფხაზეთში - დემოკრატია თუ მირაჟი?!

*აშშ-ს მოქალაქე, ეროვნებით აფხაზი ექიმი ინალ კაზანი ნიუ-იორკში "აფხაზთა ალიანსის" თავმჯდომარეა. აფხაზეთის კონფლიქტის დროს იგი ამერიკაში არძინბას პირადი წარმომადგენელი იყო და ქართული მხარის მიმართ დიდი აგრესიულობით გამოირჩეოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში აზრი შეიცვალა. საერთაშორისო ორგანიზაციებთან გარკვეული ურთიერთობების შემდეგ მიხვდა, რომ არძინბას სეპარატისტულ რეჟიმს ცივილიზებულ სამყაროში მომავალი არ ექნებოდა და ამის შესახებ საკუთარი პოზიციაც დააფიქსირა. ამის შემდეგ არძინბამ მას უფლებამოსილება შეუწყვიტა. დღეს გთავაზობთ დოქტორ ინალ კაზანის წერილს, რომელიც მან აფხაზეთში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით გამოგვიგზავნა ნიუ-იორკიდან.*

ინალ კაზანი

აფხაზეთში 2004 წლის ოქტომბრისთვის დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება, მაგრამ კანდიდატები სრულ გაურკვევლობაში არიან.

გავიდა 10 წელი. არძინბას რეჟიმმა ვერ შეძლო იურიდიული აღიარების მოპოვება და აფხაზეთში მშვიდობის დამყარება. ჩვენი სამშობლოს პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაცია - აი, მისი უნაყოფო პოლიტიკის შედეგი. როგორც ჩანს, აფხაზეთის პრეზიდენტის პოსტზე წარმოდგენილი კანდიდატები ეცდებიან, გააგრძელონ არძინბას პოლიტიკა და პროგრამები. ვიმეორებ, არძინბას პოლიტიკა და პროგრამები ჩავარდა და ასევე დაემართება მათ პოლიტიკასა და პროგრამებსაც.

აფხაზი ხალხი იმსახურებს და მას უნდა მიეცეს კიდეც იმის შესაძლებლობა, რომ მონაწილეობა მიიღოს ნაციის აღორძინებაში და არა სტატუს ქვოს შენარჩუნებაში. იგი ამას იმსახურებს. თუ ჩვენ ვიმოქმედებთ პრაგმატულად და რეალისტურად, მივაღწევთ აფხაზეთის აღორძინებას.

იმისათვის, რომ აფხაზეთმა იპოვოს საკუთარი თავი, მიიღოს დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა, აუცილებელია შემდეგი პრინციპების დაცვა:

1. აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნები უნდა იყოს ღია, დემოკრატიული და მას უნდა დაესწრონ საერთაშორისო დამკვირვებლები;

2. კანდიდატები უნდა წამოაყენოს აფხაზურმა დიასპორამაც;

3. არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა აფხაზმა, მათ შორის - აფხაზმა დევნილებმაც: ე.წ. ეკონომიკურმა დევნილებმა, რომლებიც დღეს მოსკოვში ცხოვრობენ და ისტორიულმა დევნილებმა, რომლებიც საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში ცხოვრობენ. გარდა ამისა, არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს იმ ქართულმა მოსახლეობამაც, რომელიც იძულებული გახდა, დაეტოვებინა კონფლიქტის ზონა. არჩევნებში **ყველა დევნილის** ჩართვის შეუძლებლობა იქნება **თვალთმაქცობა** და **არადემოკრატიული;**



*ინალ კაზანი*

4. აუცილებელია საკანონმდებლო რეფორმის გატარება. კლანური და ჯგუფური მმართველობის, კორუფციისა და ნეპოტიზმის ეპოქა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს. აფხაზეთს დამოუკიდებელი საკანონმდებლო სისტემა სჭირდება;

5. ცდებიან ის კანდიდატები, რომლებიც საუბრობენ აფხაზეთის მომავალ სტატუსზე რუსეთის შემადგენლობაში, თუმცა მათი იდეა უნდა იყოს ღიად განხილული; მაგრამ თუ აფხაზეთს მიაჩნია, რომ არის დემოკრატიული სახელმწიფო, მაშინ საჭიროა იმათი აზრის განხილვაც, ვინც საუბრობს საქართველოსთან დაახლოებაზე. ამრიგად, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა უნდა მოხდეს საყოველთაო განხილვის შედეგად, რაშიც მონაწილეობას მიიღებს მთელი აფხაზი ხალხი, მცხოვრები სამშობლოშიც და საზღვარგარეთაც;

6. აფხაზეთისთვის კრიტიკული საკითხია იქ მცხოვრებთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ამიტომ აფხაზეთის უშიშროების ძალებმა უნდა უზრუნველყონ ყველა აფხაზის უსაფრთხოება;

7. აფხაზეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური აღორძინების პროგრამა, რომელმაც უნდა მოიცვას შემდეგი პროცესები: საბაზრო რეფორმები, პრივატიზაცია, ტურიზმისა და დასვენების ინდუსტრიის განვითარება, ქალაქებში საქმიანი ზონების გააქტიურება და დაუბეგრავი სავაჭრო ზონების შექმნა, რაც გაიშლება კრასნოდარიდან ტრაპიზონამდე. ამგვარად შეიქმნება კავკასიური რივიერა, რომლის ცენტრი აფხაზეთში იქნება.

თუ აფხაზეთს სურს მის ტერიტორიაზე დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცება, მაშინ პრეზიდენტობის კანდიდატებმა ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები უნდა აღიარონ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და საერთაშორისო სამართალი არასოდეს მისცემენ აფხაზეთს იმის უფლებას, რომ არჩევანი გააკეთოს დამოუკიდებლობასა და რუსეთის შემადგენლობაში შესვლას შორის. ასეთი პლატფორმის მქონე კანდიდატები ცდებიან და, ფაქტობრივად, არძინბას საქმის გამგრძელებლად გვევლინებიან.

ჩვენ, როგორც ღირსეული და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული სამართლიანი კავშირის ნაწილს, საერთო მომავალი გვაქვს საქართველოსთან.

**აფხაზებო, მომავალი ჩვენია, გავხდეთ მისი მკვიდრი!**

p.s. ხაზგასმა ყველგან ავტორისაა.

# ომის შვილები

*სტუდია "SDF-ფილმის" შემოქმედებითმა ჯგუფმა სცენარისტის - ქეთი პატარაიას, რეჟისორის - მალხაზ კუხიანიძისა და პროდიუსერის - გია საგინაძის შემადგენლობით გაიმარჯვა "ავანტის" პროგრამით გამოცხადებულ კონკურსში და მიიღო ნაწილობრივი დაფინანსება დოკუმენტური ფილმისთვის "ომის შვილები".*

ზაზა ფაჩუაშვილი

"ავანტის" პროგრამას ახორციელებს შვეიცარიის განვითარების სააგენტო და კინოს სფეროში მომუშავე ასევე შვეიცარული კომპანია "ფოკალი". პროგრამა მოიცავს ამიერკავკასიის სამივე ქვეყანას და მის ფარგლებში ხდება რამდენიმე ჯგუფის მომზადება: საპროდიუსერო, მხატვრული, დოკუმენტური ფილმების მწამოებელი და იურიდიული. 27 აპრილს "შერატონ მეტეხი პალასში" ცნობილი გახდა კონკურსის შედეგი. დღეს ჩვენი სტუმრები არიან დოკუმენტური ფილმების ნომინაციაში გამარჯვებული ჯგუფის წევრები.

**გია საგინაძე**: " ჩვენ დიდი ხანია ერთად ვმუშაობთ სხვადასხვა პროექტებზე როგორც დოკუმენტური ფილმების წარმოების თვალსაზრისით, ასევე კინოს განვითარების მიმართულებით. პროექტის - "ომის შვილების" იდეა გაჩნდა დაახლოებით 2 წლის წინათ. შემდეგ გამოცხადდა "ავანტის" პროგრამით კონკურსი, რომელშიც ჩვენი პროექტიც წარვადგინეთ. მან დოკუმენტური ფილმების კონკურსში გაიმარჯვა და მიიღო ნაწილობრივი დაფინანსება.

მუშაობა დაიწყება სექტემბერში. გადაღებები იქნება თბილისში, მატარებელში და ზღვის სანაპიროზე. გეგმით, ფილმი 4 თვეში უნდა დავასრულოთ. ცხადია, ეს დამოკიდებული იქნება დაფინანსებაზე. ფილმის მთლიანი ბიუჯეტი 50 ათასი დოლარია. კონკურსში გამარჯვებით დაფინანსების 40 პროცენტს ვიღებთ, დანარჩენი თანხა მოსაძიებელია. "დანიის ლტოლვილთა სახლი" დაგვპირდა დახმარებას, მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი; ამიტომ იმედი გვაქვს, რომ კიდევ გამოჩნდებიან ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციები, რომლებიც დაგვეხმარებიან".

**ქეთი პატარაია**: " იდეა ომისა და ბავშვების თემის გარშემო კონკურსის გამოცხადებამდე გაცილებით ადრე დაიბადა. ჩვენ დავუკავშირდით აფხაზეთიდან დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებმაც შეგვახვედრეს დევნილ ბავშვებს. 80-მდე ბავშვი ვნახეთ, ვესაუბრეთ. ისტორიებისა და იმის მიხედვით, თუ ვინ როგორ გადმოგვცემდა თავგადასავალს, შევარჩიეთ 5 ბავშვი. მათი ცხოვრების მაგალითზე ვაჩვენებთ, თუ რა გავლენას ახდენს ომი ბავშვებზე. ომის დროს ბავშვების ასაკი 6-დან 12 წლამდე იყო, ამიტომ ომიც ახსოვთ და მასთან დაკავშირებული უბედურებაც. ერთს ახსოვს უღელტეხილზე გადმოსვლა, მეორეს - ბრძოლის მომენტი, მესამეს - მძევლებს შორის ყოფნა და ასე მოვიცავით ომის დროს შექმნილი თითქმის ყველა სავარაუდო სიტუაცია.

სცენარი არ ეხება კონკრეტულ კონფლიქტს და, მით უმეტეს, მის პოლიტიკურ მხარეს. ჩვენ გვაინტერესებს ზოგადად ომის გავლენა ბავშვებზე და ამისათვის შეგვეძლო ბოსნიელი ან თუნდაც აფრიკელი ბავშვების ჩაწერა - სულ ერთი იქნებოდა. ჩვენ ვეძებთ იმ საერთო საშინელებას, რაც ყოველ ომს მოაქვს ადამიანისთვის და, მით უმეტეს, ბავშვისთვის. ძალიან საინტერესო იქნება მათი შეფასებები. პროექტში გამოყენებულია ბავშვების ნახატები. ისინი ხატავდნენ ომის დროსაც და ხატავენ ახლაც. ომამდე, ომისდროინდელ და ომის შემდგომ ნახატებში სრულიად განსხვავებული თემატიკაა. ყვავილები იცვლება სისხლიანი ადამიანებით, სიცოცხლის შემდეგ შემოდის სიკვდილის თემა; ამიტომ ვფიქრობ, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეს ძალიან საინტერესო უნდა იყოს.





ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*მალხაზ კუხიანიძე, თორნიკე ბერიშვილი, ქეთი პატარაია და გია საგინაძე.*

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ბავშვები არ აგვირჩევია გადატანილი ტრაგედიის სიმძიმის მიხედვით; მაგალითად, მშობლები ომში არავის დაუკარგავს და დღესაც ჰყავთ. არც განსაკუთრებულ გაჭირვებაში ცხოვრობენ, როგორც სხვა დევნილები. პირიქით, მათ სხვებთან შედარებით უფრო ნორმალური მდგომარეობა აქვთ, ანუ ჩვენ გვინდოდა, დაგვენახა იმ ტრავმის კვალი, რასაც ყველა ომი ტოვებს საომარი მოქმედების ზონაში მცხოვრები ყველა ბავშვის ცნობიერებაში".

**მალხაზ კუხიანიძე**: " ადრე გავაკეთეთ დაახლოებით 10-წუთიანი ფილმი ერთი ისტორიის გარშემო, რომელიც ვაჩვენეთ "სარდაფში". ჩვენებას დევნილებიც ესწრებოდნენ - გვაინტერესებდა მათი რეაქცია. ცხადია, ყველას გული აუჩუყდა.

ეს ფილმი უფრო დიდი პროექტია, რომელიც თავიდან ბოლომდე დოკუმენტური იქნება. ის სცენები, რომელშიც ბავშვები მიიღებენ მონაწილეობას, განვითარდება სრულიად თავისუფლად, ბუნებრივად.

მაგალითად, მატარებლის სცენა, როცა ავტორს ბავშვები ზღვაზე მიჰყავს. ჩვენ გადავიღებთ იმას, რაც მოხდება ამ გზაზე; ჩავწერთ იმას, რასაც ბავშვები თავად უპასუხებენ ავტორის მიერ, ვთქვათ, ომის თემაზე დასმულ შეკითხვებს. ფაქტობრივად, ჩვენ ავტორები ვქმნით სიტუაციას და დოკუმენტურად ვაფიქსირებთ იმას, რაც ამ სიტუაციაში მოხდება.

ფილმში საარქივო მასალასაც გამოვიყენებთ. საინტერესოა, რომ ბავშვების მონაყოლი საარქივო მასალას ძირითადად ემთხვევა. იმის მიუხედავად, რომ ამ არქივების სახით დიდი სიმდიდრე გაგვაჩნია, ჩვენ მაინც ვეცდებით, მოვიპოვოთ ახალი მასალები, მოვსინჯავთ სხვადასხვა წყაროებს, დავუკავშირდებით ოპერატორებს.

როგორც უკვე ითქვა, ფილმი იქნება აპოლიტიკური და მშვიდობის მუხტის მატარებელი. ყველა და მათ შორის აფხაზებიც დაინახავენ, რომ ჩვენს ხალხს და, რაც მთავარია, ომგამოვლილ ჩვენს დევნილ ბავშვებს მათ მიმართ აგრესია არა აქვთ - პირიქით და სწორედ ამის დემონსტრაციაა ფილმის დანიშნულება."

ჯგუფს დიდი სურვილი აქვს იმისა, რომ ეს ფილმი აფხაზეთშიც ნახონ. შემდეგ კი გაიმართოს დისკუსია, რომელშიც მინაწილეობას მიიღებს აფხაზური მხარეც.

დაბოლოს, თუ ეს პროექტი წარმატებული გამოდგა, მაშინ ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფი აფხაზეთის თემაზე მხატვრული ფილმის გადაღებას გეგმავს.

*ცხოვრებისეული ისტორიები*

# სინგაპურში "ნაპოვნი" აგუძერა

მინდა, ჩემი შვილის შესახებ გიამბოთ. ჩვენ სოხუმში ვცხოვრობდით, უფრო სწორად, სოხუმის ერთ-ერთ უბანში, აგუძერაში.

ჩემს შვილს ბავშვობიდან ძალიან უყვარდა აღმოსავლეთის ქვეყნები, განსაკუთრებით, ჩინეთი. იგი ხშირად კითხულობდა მხატვრულ თუ პოპულარულ ლიტერატურას ჩინეთის შესახებ, ჰქონდა გეოგრაფიული რუკები და მათზე პატარა დროშებით ყოველთვის აღნიშნავდა ჩინეთს, მის საზღვრებს, დიდ ქალაქებს.

ჩემი შვილი ბავშვობაში ხშირად ითხოვდა, რომ გვეყიდა მისთვის წიგნები, რომლებშიც მოთხრობილი იყო ჩინეთის კულტურაზე, ჩინურ ადათ-წესებზე.

მახსოვს, მეხუთე კლასში იყო, როდესაც ჩემმა ძმამ, იცოდა რა, რომ ჩემს შვილს ჩინეთის შესახებ ყველაფერი აინტერესებდა, მას რუსულ-ჩინური ლექსიკონი აჩუქა. ბავშვი დამოუკიდებლად რაღაცეებს სწავლობდა. ჩვენ ეს ძალიან გვიკვირდა, მაგრამ არასდროს არაფერს ვუშლიდით, პირიქით, როგორც შეგვეძლო, ხელს ვუწყობდით... ასე გადიოდა დრო.

მერე, სხვებივით, ჩვენც დევნილები გავხდით და თბილისში ჩამოვედით. ჩემს შვილს იმ დროს უკვე დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის საინჟინრო ინსტიტუტის ფიზიკის ფაკულტეტი და აქ, თბილისში მუშაობდა, თავისი სპეციალობით.

მაგრამ კვლავინდებურად, სულ აღმოსავლეთის ქვეყნებზე, განსაკუთრებით, თავის საოცნებო ჩინეთზე საუბრობდა.

ხშირად გვსაყვედურობდა მშობლებს, რომ მხოლოდ ჩვენ გამო ჩააბარა იმ სპეციალობაზე, რომელიც მას პირადად სულაც არ აინტერესებდა. იგი ნანობდა, რომ ჩვენ დაგვიჯერა და არ ჩააბარა გეოგრაფიულზე, მაშინ ხომ მექნებოდა საშუალება გავცნობოდი აღმოსავლეთს და იქაურ ადამიანებს უფრო ახლოსო, - მსაყვედურობდა ხოლმე.

სრულიად მოულოდნელად, ისე მოხდა, რომ სინგაპურის უნივერსიტეტში დასჭირდათ ფიზიკოსი, გამოაცხადეს კონკურსი. ჩემმა შვილმა ამ კონკურსში გაიმარჯვა და ასე მოხვდა ის თავის საოცნებო აღმოსავლეთში, კერძოდ, სინგაპურში.

მან ძალიან შეიყვარა უცხო ქვეყანა. ჩვენთან საუბარში ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ძალიან მოსწონს ეს ქვეყანა, რადგან იქაურობა ძალიან ჰგავს სოხუმს, განსაკუთრებით, აგუძერას. ასე მეუბნება ხოლმე: "დედა, აქაც ისეთივე ლამაზი ზღვა, თოვლიანი მთებია, როგორც ჩვენთან, სოხუმში. როგორც კი საშუალება მექნება, მინდა, რომ შენ და მამა ჩამოგიყვანოთ აქ, და მაშინ თქვენ თვითონ დარწმუნდებით, რომ აქაურობა მართლაც ძალიან ჰგავს აგუძერას".

ასე იპოვა ჩემმა შვილმა ათი წლის წინ დაკარგული აგუძერა შორეულ სინგაპურში.

*რუბრიკას უძღვება*
*ლელა მარგიანი,*
*რადიოპროექტი –*
*"ცხოვრებისეული ისტორიები"*
*ხორციელდება ბრიტანული*
*საერთაშორისო ორგანიზაციის*
*"შერიგების რესურსების" მიერ.*
*ჩანაწერები მოგვაწოდა*
*რადიოპროგრამა "პოსტფაქტუმმა".*

**რადიო "მწვანე ტალღა"**

**ამიერიდან ყოველ ორშაბათს 11.00-დან 12.00 საათამდე პროექტი "თქვენი აფხაზეთი" რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში წარმოგიდგენთ დიალოგს, პირდაპირ ჩართვებს, კითხვა-პასუხს.**

***FM 107,4***

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

*მოკლედ*

## 5-წლიანი ცენზი მოხსნილია პირველი მოსმენით

გუშინ, გვიან საღამოს თვითგამოცხადებული აფხაზეთის სახალხო კრებამ - პარლამენტმა - პირველი მოსმენით მიიღო ოპოზიციის მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომელიც "პრეზიდენტის არჩევის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანას და პრეზიდენტობის კანდიდატისთვის აფხაზეთში ცხოვრების 5-წლიანი ცენზის გაუქმებას ითვალისწინებს.

სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, ხელისუფლების მომხრე დეპუტატების მხრიდან წინააღმდეგობისა და მწვავე დაპირისპირების მიუხედავად, ოპოზიციამ შეძლო კენჭისყრისას უპირატესობის მოპოვება და 5-საათიანი განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პირველი მოსმენით კანონში ცვლილებებისა და შესწორებების შეტანის თაობაზე.

30 აპრილს გამართულ სხდომაზე ხელისუფლების მომხრე დეპუტატებმა აფხაზური პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის ვლადიმერ ნაჩაჩ ოღლის მიერ მომზადებული კანონპროექტის ჩაგდება მოახერხეს.

5-წლიანი ცენზის გაუქმების გარდა, ხელისუფლების მომხრე დეპუტატების დაჟინებული მოთხოვნით კანონპროექტში შეტანილია მუხლი, რომლის თანახმად, თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნები მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩატარდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსკოვსა და რუსეთის სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები აფხაზი მოქალაქეები არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

*ინტერ-პრესი*

## კატეგორიული მოთხოვნა

აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციები და დევნილი სტუდენტები საქართველოს ხელისუფლებისგან მოითხოვენ ქვეყნის პარლამენტში 1992 წელს არჩეული აფხაზეთის დეპუტაციისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას.

საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა და ჟურნალისტთა ასოციაციის თავმჯდომარის მურად აბლოთიას განცხადებით, საქართველოს პარლამენტში დღეს მოღვაწე აფხაზეთის დეპუტაცია "არ გამოხატავს დევნილი მოსახლეობის ინტერესებს და მისი წარუმატებელი პოლიტიკური საქმიანობით ხელს არ უწყობს აფხაზეთის კონფლიქტის სრულ მოგვარებას".

მისივე თქმით, მოუწესრიგებელი კონფლიქტის ჩიხიდან გამოყვანისათვის საჭიროა, პოლიტიკაში ახალი სახეები გამოჩნდნენ და უფლებამოსილება შეუწყდეს აფხაზეთში არჩეულ დეპუტაციას, "რომლის უმრავლესობა ხელს უშლის აფხაზებსა და ქართველებს შორის შერიგების პროცესის დაწყებას".

აბლოთიას განცხადებით, ქართველ და აფხაზ ხელოვანთა კავშირი, საქართველოს ახალგაზრდა პოლიტილოგთა და ჟურნალისტთა ასოციაცია, კავკასიის შემსწავლელი ახალგაზრდული ცენტრი, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი კატეგორიულად მოითხოვენ საქართველოს ახლად არჩეული პარლამენტისგან, უფლებამოსილება შეუწყვიტოს 1992 წლიდან საქართველოს პარლამენტში მოღვაწე აფხაზეთის დეპუტაციას.

გარდა ამისა, მისი თქმით, აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციები და დევნილი სტუდენტები ხელისუფლებისგან მოითხოვენ, დევნილ საზოგადოებას საქართველოს პარლამენტსა და აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში თავისი წარმომადგენლების არჩევის საშუალება მისცეს, რაც, მათი აზრით, ხელს შეუწყობს დევნილთა ინტერესების ფართო წარმოჩენას და კონფლიქტის სამართლიანი მოწესრიგების პროცესს.

*ინტერ-პრესი*

## აფხაზებმა დაზვერვა გააძლიერეს

პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანი აცხადებს, რომ აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან აფხაზი მზვერავები შენიშნეს, რომლებიც მაქსიმალურად ცდილობენ რეგიონის ნეიტრალური ტერიტორიის სიღრმეში შეღწევას.

როგორც ემზარ კვიციანმა განაცხადა, სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან ძლიერდება თავდაცვითი პოზიციები.

მისი თქმით, ბოლო დღეებში საქართველოს შეიარაღებული ძალების ფოთში მიმდინარე სწავლებების - "დიოსკურია - 2004"-ის ფონზე აფხაზური მხარე კოდორის ხეობის მახლობლად დაზვერვას აწარმოებს.

**"შენიშნულია აფხაზეთის სპეცრაზმი, აღინიშნება რუს სამშვიდობოთა გაძლიერებული საბრძოლო მზადყოფნა",** - თქვა მან.

კოდორის ხეობა აფხაზეთის ერთადერთი რეგიონია, რომლის ზემო ნაწილსაც დღეისათვის აკონტროლებს ოფიციალური თბილისი.

*პრაიმ-ნიუსი*

www.24hours.ge 24 B

# მესამეკურსელი პარლამენტარები და მესამეკურსელი მინისტრები

*პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ექვსწლიანი ხელმძღვანელობის მანძილზე რომან გოცირიძის ეკონომიკური პროგნოზები თითქმის უტყუარი იყო. მაშინ პროგნოზირება ადვილი იყო – იცოდნენ, რისი თავი ჰქონდა მთავრობას. თავისი თანაგუნდელების მიერ შედგენილ ახალი ბიუჯეტის პროექტს ბატონი რომანი ლმობიერად უყურებს, თუმცა მთავრობას ჰპირდება, რომ თუკი პარლამენტს ბიუჯეტის ან სხვა რომელიმე კანონის საჩქაროდ მიღების ალტერნატივის წინაშე დააყენებენ, პრაგმატულები იქნებიან - აირჩევენ სავალუტო ფონდის ფულს, მაგრამ გადაირჩევენ მთავრობას.*

მაია ჭალაგანიძე

**- როგორია ახალი მთავრობის სადებიუტო ბიუჯეტი?**

- დებიუტი თამამია.

**- მთავრობას თამამი ქმედების საფუძველი აქვს?**

- პირველი ოთხი თვის შედეგები საკმაოდ დამაიმედებელია, თუმცა, როცა ბიუჯეტის ზრდაზე ვსაუბრობთ, ისიც უნდა ითქვას, რომ აქ უცხოეთიდან უპრეცედენტო ოდენობის დახმარებაა ჩადებული.

ბიუჯეტში მილიარდ 728 მილიონი ხარჯვითი ნაწილია. აქედან 436 მილიონი, ანუ 25 პროცენტი უცხოური წყაროებია. მათ შორის, 160 მილიონი გრანტი და 276 მილიონი შეღავათიანი კრედიტი.

**- დახმარება კარგია, მაგრამ ამას უარყოფითი მხარეც აქვს...**

- დადებითი ის არის, რომ ამ მასშტაბის ფულს ასე უბრალოდ არავინ იძლევა. მით უფრო, ამ რაოდენობის გრანტებს. თუმცა, ამ გრანტებში ძველი მთავრობის დროს შეჩერებული გრანტებიც არის.

რაც შეეხება უარყოფით მხარეს - ეს ფული იმისთვის არის გამოყოფილი, რომ სხვა დროს აღარ დაგვჭირდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა უნდა ავაწყოთ, ეკონომიკა უნდა განვავითაროთ და ფინანსური სისტემა ისე უნდა მოვაწესრიგოთ, რომ საქართველო მუდამ ხელგაწვდილი არ იყოს.

**- ეს ბოლო ვალი არ იქნება?**

- არ არსებობს ქვეყანა, რომელიც ვალს არ იღებს. სხვათა შორის, ყველაზე დიდი საგარეო ვალი აშშ-ს აქვს. მით უმეტეს, თუ ეს განვითარებისთვის არის აუცილებელი. ვალს ყოველთვის არ აქვს მინუს ნიშანი.

**- სკეპტიციზმი ძველი მთავრობისგან მოგვყვება. რაში იხარჯება ეს ფული?**

- თუკი ამ უცხოურ რესურსებს გავანიავებთ და წესიერად არ მოვიხმართ, დღევანდელი, წმინდა საბიუჯეტო მიმდინარე ხარჯებისთვის დავხარჯავთ და არა ინვესტირებისთვის, ბუნებრივია, მოგება და ეფექტი ნაკლები იქნება.

**- დავივიწყებთ თუ არა სიტყვას "სეკვესტრი"?**

- საკითხი ასე არ დგას. ეს არის საკმაოდ დიდი რაოდენობის ხარჯები. საკუთარი შემოსავლებით გაწეული დაფინანსება მილიარდ 92 მილიონია, ანუ მთელი ხარჯვითი ნაწილის 75 პროცენტი. აქედან გამომდინარე, საგარეო დახმარებების გარეშე ზრდა, დაახლოებით, 270 მილიონი ლარის ფარგლებშია. რა თქმა უნდა, ზრდა მისასალმებელია, მაგრამ ხანდახან მთავრობას უყვარს ინფორმაციის მისთვის სასურველ კონტექსტში მიწოდება. ეს შეიძლება მას "პიარის" ნაცვლად უკან მიუბრუნდეს. ოპონენტები უკვე კითხულობენ, თუ ბიუჯეტი ნახევარი მილიარდით იზრდება, ნუთუ ვერ გამოიძებნა სამი მილიონი ლარი სასამართლოში წაგებული პენსიების დასაფარად?

**- იქნებ უპასუხოთ კობა დავითაშვილის შეკითხვას, სად მიდის ყოფილ ჩინოვნიკთაგან ამოღებული ფული?**

- დახმარების სახით შემოსული თანხების აბსოლუტური უმრავლესობა (არა მხოლოდ კრედიტების, არამედ გრანტებისაც) მიზნობრივი დახმარებისთვის არის. აქედან გამომდინარე ზრდა ისე მასშტაბური არ არის.

რაც შეეხება სასამართლოთი ამოღებულ თანხებს, ის ბიუჯეტში წავიდა. ჩვენი საპენსიო დავალიანება 120 მილიონი ლარია და ამოღებული 36 მილიონი ლარი ამ დავალიანების მხოლოდ ნაწილს ფარავს.

რადგან ამ თემას შევეხეთ, მიმაჩნია, რომ ის თანხები, რომელიც სასამართლო წესით მთავრობისთვის გასასტუმრებლად იყო დავალებული, გასტუმრებული უნდა იყოს და სალაპარაკო არ უნდა გახდეს.

**- საშემოსავლო ნაწილიც იზრდება...**

- დიახ. მილიარდ 421 მილონია, მაგრამ აქაც 60 მილიონი გრანტია.

**- რამდენად შესრულებადია ეს ბიუჯეტი?**

- არასაგადასახადო შემოსავლებით გეგმის შესრულებაში ეჭვი არ მეპარება იმიტომ, რომ კორუფცია იკლებს. იმ ტიპის შემოსავლების ზრდა, რომელიც უშუალოდ ადმინისტრაციული კორუფციის შემცირებასთან არის დაკავშირებული, ეჭვქვეშ არ დგას.

რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლებს. არა მგონია, რომ საგადასახადო კოდექსის მიღებამ და გადასახადების ლიბერალიზებამ გადასახადების კლება გამოიწვიოს. დღეს ბიუჯეტში გადასახადები კოდექსის კონტექსტში არ შემოდის - კოდექსი ცალკეა და შემოსავლები ცალკე. ეს არის გარიგება და საგადასახადო განაკვეთები გადასახადების მობილიზების დონეზე რეალურ გავლენას ვერ ახდენს. ჩვენთან გადასახადების მოკრება გადამხდელსა და მის ამომღებს შორის დღემდე არსებული არაფორმალური გარიგებით ხდება. ამიტომაც, კოდექსით გადასახადების განაკვეთების შემცირება ბიუჯეტში გადასახადების შემცირებას არ გამოიწვევს. 2 თვის განმავლობაში მაინც ახალი საგადასახადო კოდექსი უნდა მივიღოთ.

შემოსავლებს მაინც საკმაოდ სკეპტიკურად ვუყურებ. ამას მიმდინარე 4 თვის შედეგების გათვალისწინებით ვამბობ. ერთია, რომ საგრძნობი ზრდაა, მაგრამ, ეს დაჭერები ბიუჯეტის შევსების წყარო ვერასოდეს გახდება. არა მგონია, საქართველოში იყოს 5 ან 6 ისეთი ადამიანი, ვისაც 15,5 მილიონი დოლარის გადახდა შეეძლება. აქციები, რომელიც ამერიკელებმა იყიდეს და ბიუჯეტში ჩაირიცხა, იშვიათი შემთხვევაა, ასეთ ინვესტორს ძნელად მოძებნი. ამიტომ, ამგვარი ტიპის შემოსავლები, რა თქმა უნდა, ძალზე სწრაფად ამოიწურება. ძირითადი წყარო საგადასახადო შემოსავლებია, რომელიც შარშანდელ ჩავარდნილ ბიუჯეტთან შედარებით იზრდება, მაგრამ საგადასახადო შემოსავლების გეგმის შესრულებაში ეჭვი მეპარება. ამის თქმის საფუძველს მაძლევს შემდეგი: საგადასახადო შემოსავლების კუთხით 4 თვეში ბიუჯეტში 346 მილიონი ლარი შემოვიდა. ანუ, თვეში, საშუალოდ, 87 მილიონი ლარი. დარჩენილ რვა თვეში, საგადასახადო შემოსავლების გეგმის შესასრულებლად, საშუალოდ, ყოველ თვეს 114 მილიონი ლარი უნდა შემოვიდეს. ამ საკითხს დიდ კითხვის ნიშანს ვუსვამ.

**- რესურსებს ვერ ხედავთ?**

- საქართველოში ეს რესურსი არსებობს, მაგრამ ძალიან ძნელია ასეთ ვითარებაში და განსაკუთრებით, აჭარაში განვითარებული მოვლენების შემდეგ მხოლოდ ადმინისტრირებაზე დაყრდნობით ამ თანხების მობილიზება. უნდა იყოს დადებითი ეკონომიკური ფონი, შეღავათიანი საგადასახდო რეჟიმი, კორუფცია აღმოფხვრილი და უამრავი სხვა რამ. ამიტომ ვფიქრობ, რომ საშემოსავლო ნაწილი ოპტიმისტურად არის დაგეგმილი.

**- საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელობისას წინა მთავრობისგან განსხვავებულ მონაცემებს ამზეურებდით. ახლა თქვენი თანაგუნდელები არიან ხელისუფლებაში, ისევ გაქვთ საკუთარი დავთარი?**

- არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემი რომელიმე პროგნოზი არ გამართლებულიყო. მაშინ ადვილი იყო პროგნოზირება - ერთი მხრივ, წმინდა ეკონომიკური პარამეტრებიდან და მეორე მხრივ, ხელისუფლების უნარიდან გამომდინარე. დღეს, საბედნიეროდ, აღარ არის შევარდნაძის ხელისუფლება და პროგნოზის გაკეთება გაცილებით რთულია, რადგან ეკონომიკური ვითარება ადეკვატური პროგნოზის გაკეთების საშუალებას იძლევა. მეორე არის ფაქტორი, რომელსაც ახალი ხელისუფლების ჩამოყალიბება ჰქვია - როგორი ტემპით გაძლიერდება ხელისუფლება, როგორ განხორციელდება ძალაუფლებითი ნაწილი. პროგნოზირების სირთულეს ის დესტაბილიზაციაც იწვევს, რომელსაც აბაშიძე სჩადის და აგრეთვე პოსტრევოლუციური ეიფორია.

**- ეიფორიამ ჯერ არ გადაიარა?**

- 1992 წლის მოწვევის პარლამენტში ნოდარ ნათაძემ თქვა ლოზუნგი - "მირჩევნია პატიოსანი მესამე კურსელების მთავრობა, ვიდრე კორუმპირებული პროფესიონალების მთავრობა".

**- ბატონ ნოდარს ეს ოცნება აუსრულდა.**

- დიახ. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, გვყავს პატიოსანი მესამე კურსელების მთავრობა, მაგრამ უკეთესია, იყოს პატიოსანი და პროფესიონალების მთავრობა.

**- ეს დღევანდელი ეკონომიკური გუნდის შეფასებაა?**

- რამდენიმე გამონაკლისის გარდა, არა მგონია, რომ მინისტრები თავის სტატუსს შეეფერებოდნენ. მინისტრი რომ გახდე, ცხოვრების სერიოზული სკოლა უნდა გქონდეს გავლილი. როგორც ჩანს, პატიოსანი არაპროფესიონალების მთავრობა მართლაც სჯობს პროფესიონალ კორუმპირებულებს, ოღონდ, ცოტა ხნით და იმ პერიოდში, როდესაც ქვეყნის პრიორიტეტი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებაა. ეს არის ბიძგის მიმცემი ეტაპი, ხოლო როცა ეს ბრძოლა დაიწყება, პროფესიონალების მთავრობა აუცილებელი ხდება. მგონია, რომ ეს ეტაპი გასავლელია.



*რომან გოცირიძე სტუმრად "24 საათის" რედაქციაში*

როგორც ჩანს, პატიოსანი არაპროფესიონალების მთავრობა მართლაც სჯობს პროფესიონალ კორუმპირებულებს, ოღონდ, ცოტა ხნით.

ეს იმდენად განვითარების ბიუჯეტი არ არის, რამდენადაც გადარჩენის. ამიტომ, ყველა სფერო პრიორიტეტულია.

თუ აბაშიძე არ იქნება, აჭარა საქართველოში ყველაზე განვითარებული რეგიონი იქნება. ორიოდე წელიწადში აჭარას ვერ იცნობთ.

**- ბიუჯეტში ჩადებულია მუხლი, რომლითაც კულტურის სამინისტროს 400 000 ლარი თავისუფალი მედიის მხარდაჭერისთვის გადაეცემა. ეს როგორ უნდა გავიგოთ?**

- წვრილმანი თემაა, მაგრამ ამას ყოველთვის პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. რაოდენ გასაკვირადაც არ უნდა ჟღერდეს, ეს ბიუჯეტი თავისი სტრუქტურით ისეთივე გამჭვირვალე არ არის, როგორც წინა პერიოდში იყო. ამ მუხლში ყოველთვის იყო ჩამოთვლილი 25-მდე ჟურნალ-გაზეთი, რომელსაც ბიუჯეტი უნდა დახმარებოდა. დღეს ეს მუხლი კულტურის სამინისტროს გრაფაში "მწერლობის და თავისუფალი მედიის მხარდაჭერის პროგრამის" სახელით არის შესული. შემდეგ უნდა მოხდეს ტენდერი და ა.შ. ხარჯებისა და მიზნების კონკრეტიკა არ არის. შევეცდებით, 2005 წლის ბიუჯეტში არც ერთი ისეთი ხარჯის დაფინანსება არ მოხდეს, სადაც დეტალურად წინასწარ არ იქნება გაწერილი. ასეთი ზოგადი მუხლები ამ ბიუჯეტში არის.

**- მიგაჩნიათ, რომ თავისუფალ მედიას სახელმწიფო უნდა ეხმარებოდეს?**

- არავითარ შემთხვევაში. თავისუფალი მედიისთვის მხარდაჭერა არის მისთვის უაღრესად კეთილსასურველი საგადასახადო რეჟიმის შექმნა. ყველა თანაბარ პირობებში უნდა იყოს.

ასეთი ზოგადი მუხლებისთვის მთავრობას გასამართლებელი საბუთი ექნება - რომ ეს არის ექსტრემალური ვითარების ბიუჯეტი, რადგან რევოლუციის შემდეგ არ იყო პარლამენტი, მთავრობა გვიან ჩამოყალიბდა და სხვა. ამას ვუწოდებდი ისე, როგორც მარქსი იტყოდა - "ახალი ხელისუფლების თანდაყოლილი ლაქები".

**- ბიუჯეტით უქმდება სპეცტრანსფერები - ხელისუფლებას ახალი მაჟორიტარების არ სჯერა?**

- ეს მუხლი ყოველთვის ვაჭრობის საგანი იყო, რითიც ყველა მაჟორიტარს გარკვეული მხარდაჭერის სანაცვლოდ აკმაყოფილებდნენ. მეორე მხრივ, რაიონებს მართლაც სჭირდებათ დახმარება. ამიტომ, ეს ტრანფერი მაჟორიტარების მარიფათით მოპოვებული ფული არ უნდა იყოს და მისი პირადი მითითებით არ უნდა იხარჯებოდეს. ცალკეულ რაიონებს მართლაც უნდა მიეცეს ფული...

**- ახალმა მაჟორიტარებმა ეს გააპროტესტეს?**

- რა თქმა უნდა. ამ პროტესტს რაიონის ინრტერესების დაცვა დავარქვათ. ტრანსფერს ზურგზე კონკრეტული მაჟორიტარის ლამაზი სახელი არ უნდა ჰქონდეს მიკრული.

**- წინა ბიუჯეტთან შედარებით პრიორიტეტები შეიცვალა?**

- ეს იმდენად განვითარების ბიუჯეტი არ არის, რამდენადაც გადარჩენის. ამიტომ, ყველა სფერო პრიორიტეტულია. ყველას ცოტ-ცოტა უნდა ეყოს. ამ ეტაპზე ხარჯების მატების ტენდენციას თუ გავითვალისწინებთ, უფრო მეტად, დაგროვილი სოციალური პროგრამების გადარჩენის ბიუჯეტია.

**- ლმობიერად უყურებთ ბიუჯეტს, ალბათ იმიტომ, რომ თქვენი თანაგუნდელების შედგენილია.**

- რეალურად რაღაც მნიშვნელოვანი შეიძლება მოხდეს. ბიუჯეტის შესრულებით გადასახადების მობილიზების შკალა ერთი საფეხურით მაღლა აიწევს. შემდეგ პერიოდში პარლამენტიც ისწავლის მუშაობას.

**- პატიოსანი მესამე კურსელები პარლამენტშიც გყავთ, არა?**

- მესამე კურსელი პარლამენტარები უფრო ასატანია, ვიდრე მესამე კურსელი მინისტრები.

ბიუჯეტი ისეთი დოკუმენტია, რომელმაც პარლამენტში ვნებათაღელვა უნდა გამოიწვიოს. თუ პარლამენტი დაჩიავებული და მთავრობის დანამატი არ არის, საბიუჯეტო დებატები ყველამ უნდა აიტანოს. ეს არის საზოგადოების მოთხოვნა და პარლამენტის ფუნქცია.

**- საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებისას დავობდნენ, ძლიერი პარლამენტი სჯობდა თუ ძლიერი მთავრობა. ახლა რა გვაქვს სახეზე?**

- როდესაც რევოლუციები ხდება, ბუნებრივია, პარლამენტი ძლიერი ვერ იქნება. ასეთ დროს ყოველთვის აღმასრულებელი ხელისუფლება დომინირებს.

პარლამენტარები, როგორც წესი, შეირჩნენ. რა თქმა უნდა, უმეტესობა კომპეტენტური და წესიერია, თუმცა, ისეთივე წესიერი ადამიანი საქართველოში უამრავია. როდესაც პარლამენტში სიით ერთბაშად 150 კაცი გადის, ეს არაკონკურენტუნარიანი გარემოს ბრალია. სიები უფრო მეტად ნაცნობების ნდობაზე აიგო. თუმცა, 4 წლის განმავლობაში კარგ პარლამენტარებად ყალიბდებიან და ბიუჯეტიც კარგად იციან. ახლა არც მალავენ, რომ ეს არ იციან და თავმდაბლად იქცევიან.

**- სხდომაზე დავა ბიუჯეტის ვადებთან დაკავშირებითაც იყო.**

- ნებისმიერი გონიერი ადამიანი იტყვის იმას, რომ შეუძლებელია იმის განხილვა 3 კვირაში, რაც 3 თვეში უნდა განიხილებოდეს. ახლა უცნაურ ვითარებაში ვართ. სექტემბერ-დეკემბერში ბიუჯეტი ცნობილი მიზეზების გამო ვერ განიხილებოდა; 22 აპრილამდე პარლამენტი არ არსებობდა და მთავრობაც ფორმირების პროცესში იყო.

ორი მიზეზის გამო გახდა საქართველოს მთავრობა და პარლამენტი იძულებული, რომ ბიუჯეტი სასწრაფოდ მიეღო. ერთი: საქართველოში ათასამდე ბიუჯეტია - თემის, სოფლის, ქალაქის, რეგიონის და სხვა. ყველა მიუღებელია. დღეს თბილისსაც არ აქვს ბიუჯეტი. მსგავსი ვითარება ქვეყანაში კორუფციის წყაროა. მეორე მიზეზი ტრადიციული თემაა, რომელიც უმრავლესობასაც და ოპოზიციასაც აღიზიანებს - 26 მაისს პარიზის კლუბში დირექტორთა საბჭოს სხდომაა დანიშნული და თუ ბიუჯეტი მიღებული არ იქნა, მილიონებს ვკარგავთ. 26 მაისს სავალუტო ფონდმა უნდა თქვას, არის თუ არა ეს ის ბიუჯეტი, რაშიც საქართველომ დახმარება უნდა მიიღოს.

აქ არც მთავრობა და არც პარლამენტი დამნაშავე არ არის. დამნაშავე გარემოებაა, რომელშიც ჩვენ აღმოვჩნდით. მეორე მხრივ, ეს სერიოზული გაფრთხილება უნდა იყოს მთავრობისთვის - საქართველოს მთავრობამ ან ბიუჯეტის ან სხვა რომელიმე კანონის საჩქაროდ მიღება იმის გამო არ უნდა მოინდომოს, რომ ეს სავალუტო ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს და არმიღება თანხების დაკარგვას გამოიწვევს. თუკი მთავრობა ასეთი ალტერნატივის წინაშე ჩაგვაყენებს, ჩვენ პრაგმატულები ვიქნებით - ავირჩევთ სავალუტო ფონდის ფულს, მაგრამ გადავირჩევთ მთავრობას.

**- წინა ხელისუფლება თავად აყენებდა ხოლმე დროდადრო აჭარას განსაკუთრებულ რეჟიმში, რათა იქიდან ცენტრალური ბიუჯეტისთვის გადმოსარიცხი თანხები მიეღო. დღეს ასლან აბაშიძემ თავად ჩაიყენა თავი ფორსმაჟორში. საინტერესოა, ვინ დაფარავს იმ ეკონომიკურ ზარალს, რაც ქვეყანას ჩოლოქისა და ქაქუთის აფეთქებით მიადგა?**

- გარდა პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემოებებისა, როგორც ჩანს, საზოგადოების ბედს პიროვნების ფაქტორიც განაპირობებს. ერთმა ისტორიკოსმა დაწერა, კლეოპატრას ცოტა გრძელი ცხვირი რომ ჰქონოდა, სისხლისმღვრელი ომები არ მოხდებოდაო... აბაშიძე რომ 20 სანტიმეტრით მაღალი ყოფილიყო, შეიძლება, საქართველოში ეს ხიდები არც აფეთქებულიყო. კომპლექსებით შეპყრობილი ადამიანების პოლიტიკაში ყოფნა საშიშია. როგორც ჩანს, ყველაზე მეტად საშიში მშიშარა ადამიანია. ის, რაც აჭარაშია, მხოლოდ თვითგადარჩენის ინსტინქტით არ ხდება. აბაშიძე ხედავს, რომ განწირულია. მას ორიოდე თვის წინ ჯერ კიდევ ჰქონდა შანსი, ქართულ პოლიტიკაში დარჩენილიყო, როგორც ოპოზიციონერი. მას ჰქონდა შანსი, საქართველოში დარჩენილიყო, როგორც მოქალაქე. ეს შანსები მან ხელიდან გაუშვა. მას ახლა ერთადერთი შანსი დარჩა - ფიზიკურად გადარჩეს. მგონია, რომ ის ინტერპოლის ძებნილი გახდება.

მან უზარმაზარი ზარალი მიაყენა ქვეყანას. დღეს ეს რამდენიმე ათეული მილიონია და ხვალ ასეული მილიონი შეიძლება გახდეს.

აჭარის მთლიან შიდა პროდუქტში დიდი წილი აქვს საკურორტო ინფრასტრუქტურას. წელს ვინმემ რომც მოინდომოს იქ დასასვენებლად წასვლა, აბაშიძე თავად არ შეუშვებს, რადგან ყოველ დამსვენებელში მტერს დაინახავს. ხალხი უმძიმეს მდგომარეობაშია და აბაშიძის პრობლემა უსწრაფესად გადასაჭრელია.

აბაშიძეს ერთადერთი რამ უნდა - ნებისმიერი გზით ჩოლოქზე რუსეთის ჯარის ჩაყენება. აჭარა დაიცლება და დარჩება პატარა დიქტატორი, რომელიც აბელ არავიძესავით გარშემო ბეტონის კედლებს აიგებს.

**- როგორ მოიქცევა ხელისუფლება?**

- ხელისუფლებამ სწორედ ამიტომ გამოიყვანა ჯარები წვრთნებიდან. ძალიან გამიხარდებოდა, მისი უსისხლო იზოლაცია მომხდარიყო. მას აქვს საკმაო შეიარაღება და პირადი, ერთგული კრიმინალური ლაშქარი. ბუნებრივია, მისი იზოლაცია რთულდება.

**- თქვენივე სიტყვებია, "როგორც პუგაჩოვს მოჰკიდეს ხელი და მოსკოვში ჩამოიყვანეს, ასლანიც ისე უნდა ჩამოიყვანოო". ეს თქვენ წინა ხელისუფლებას მოთხოვეთ. როგორ მიმართავთ ახალს?**

- დიახ, ეს დიდი ხნის წინ ვთქვი და სამწუხაროდ, ჩემი წინათგრძნობა გამართლდა. დღესაც იგივეს გავიმეორებ. აბაშიძე საჩვენებლად უნდა იყოს ჩამოყვანილი, უნდა გაიკრას სურათი წარწერით - "მოღალატე".

**- ვინ აუნაზღაურებს მიყენებულ ზარალს აჭარის მოსახლეობას, რაც მათ საკურორტო სეზონის ჩაშლით მიადგათ?**

- თავისი გეოგრაფიული მდებარეობით აჭარას უზარმაზარი ეკონომიკური და საერთაშორისო ინვესტიციებისთვის საინტერესო პოტენციალი აქვს. თუ აბაშიძე არ იქნება, აჭარა საქართველოში ყველაზე განვითარებული რეგიონი იქნება. ორიოდე წელიწადში აჭარას ვერ იცნობთ.




## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
სანდრო კაკულია
"ფანჯარა"
რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული
დას: 20.00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი, ბასა ჯანიკაშვილი, ლაშა ბუღაძე
"სამი ნოველა"
რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
პატრიკ ზიუსკინდი
"კონტრაბასი"
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ქრისტეს ვნებანი"
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

**ამირანი**
"სიცოცხლის გამტაცებელი"
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ.

"მომხიბლავი პოლი"
დას: 16:00; 18:00 სთ.

## გამოფენა

**ორიენტი**
ფოტოგამოფენა "მე და ჩემი თანატოლი"
(მოსწავლეთა ნამუშევრები)

**სალონი "ხელოვნება"**
XIX-XX საუკუნეების ქართველ და უცხოელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა

**ბავშვთა სურათების გალერეა**

**"ქარვასლა"**
ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა

**"ჰობი"**
მარინა უჯმაჯურიძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "პიკასო + ფიროსმანი"

**სურათების ეროვნული გალერეა**
მანანა ტოროტაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**პარასკევს,** 7 მაისს, ზაალ სამადაშვილის ციკლი "ახალი განზომილება" - მიხო მოსულიშვილი ბორის აკუნინის შესახებ.

***მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50***

## 23 მაისს და 6 ივნისს

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" წარმოადგენს მუსიკალურ წარმოდგენას ალექსანდრე პუშკინის ზღაპრების მოტივებზე - "Превращения в Лукоиорье"

დამდგმელი რეჟისორები: ინგა გარუჩავა და პეტრე ხოტიანოვსკი

კომპოზიტორი თენგიზ ჯაიანი.

**დას: 13:00; 15:00 სთ.**

## ქართველი სტუდენტის ფილმმა მთავარი პრიზი მიიღო

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტ თამარ სულამანიძის ანიმაციური ფილმი – "ამურის აღლუმი" სანკტ-პეტერბურგის ღია კინოფესტივალის მთავარი პრიზის მფლობელი გახდა.

ფესტივალი სანკტ-პეტერბურგში სხვადასხვა ქვეყნის შემოქმედებითი სასწავლებლებისთვის გაიმართა და მასზე წარდგენილი იყო მოკლემეტრაჟიანი სტუდენტური ფილმები. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო კიდევ ორმა ქართველმა სტუდენტმა - მაია კიკაბიძემ და ზურაბ ქათამაძემ, რომელთა ფილმებმაც – "ოქროს თევზი" და "აღსარება", ფესტივალის დიპლომები დაიმსახურეს.

ანიმაციური ფილმი – "ამურის აღლუმი" რომის მოკლემეტრაჟიანი ფილმებისა და ახალი სახეების ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც ივნისის დასაწყისში გაიმართება. *მედია-ნიუსი*

## ფერწერა ფოტოში

გუშინ გოეთეს ინსტიტუტში გაიხსნა რეჟისორ ზურაბ ინაშვილის ნამუშევრების ფოტოგამოფენა სახელწოდებით "ფერწერა ფოტოში".

ზურაბ ინაშვილი რამდენიმე დოკუმენტური და მხატვრული ფილმის ("იწყება ზღაპარი", "ნოდარ დუმბაძე", "მაესტრო", "ნუ მოიწყენთ შემოდგომისას", "მაისის თოვლი" და ა.შ.) ავტორია.

გამოფენა 7 მაისს, ავტორის დოკუმენტური ფილმის ჩვენებით დაიხურება. ფილმის სახელწოდებაა "გერმანელები საქართველოში" და მოგვითხრობს საქართველოში გერმანელთა ჩამოსახლების ისტორიაზე.

*მედია-ნიუსი*

# ახალი გუნდი

## მელოდია-არტიდან მუსკომედიაში

ვერა ნეფარიძე

*მუსკომედიის თეატრში ვნებები ჩაცხრა. თვეზე მეტხანს გაგრძელებული ხელმძღვანელობის პრობლემა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ გადაწყვიტა. "წუწუნის დრო წასულია. ახლა მოქმედების დროა", - ხშირად ნათქვამი ფრაზა მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა გუშინაც ახსენა. სამოქმედოდ კი, მუსკომედიის თეატრის ბედი ახალ გუნდს მიანდო. დათო დოიაშვილი, ნიკა მემანიშვილი და თინათინ რუხაძე, - ამ შემადგენლობამ თეატრის "მარადიული" მშენებლობა უნდა დაასრულოს, იზრუნოს რეპერტუარზე და ერთი სიტყვით, მინიმუმ, თეატრს მაყურებელი უნდა დაუბრუნოს.*


*დოიაშვილი, რუხაძე, მემანიშვილი და მინისტრი*

მუსკომედიის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დათო დოიაშვილის, მუსიკალურ ხელმძღვანელად ნიკა მემანიშვილისა და თეატრის დირექტორად თინათინ რუხაძის დანიშვნას მუსკომედიის თეატრის თანამშრომლები გუშინწინ აპლოდისმენტებით შეხვდნენ. როდესაც მინისტრმა ჟურნალისტებს მუსკომედიის ახალ გუნდი გააცნო, ხაზგასმით მიუთითა აღნიშნულ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევის პრინციპების შესახებ: "ესაა ხალხი, რომელთაც არა მხოლოდ შემოქმედებითი, არამედ სამენეჯმენტო გამოცდილებაც გააჩნიათ". რაც შეეხება გამოცდილებას. "იმის მიუხედავად, რომ მარინის თეატრში დავდგი ლუჩია ლა მერმული ვალერი გერგიევთან ერთად, ასევე აქაური მუსიკალური საღამოების დადგმის მცირე გამოცდილებაც მქონდა, არასოდეს მიფიქრია თუკი მუსიკალურ თეატრში მოვხვდებოდი. მაგრამ, ძალიან მიხარია, რომ ეს მოხდა. მგონია, ის გახდება მუსიკალურ-დრამატული თეატრი, სადაც ვფიქრობთ, რომ ჟანრობრივი მრავალფეროვნება იქნება", - გვითხრა ახლადდანიშნულმა სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა დათო დოიაშვილმა. ეჭვს არ იწვევს პლანეტის ერთ-ერთი ახალი სახელის ნიკა მემანიშვილის (როგორც ცნობილია, ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორი შესულია იუნესკოს ოქროს წიგნში "პლანეტის ახალი სახელები") შემოქმედებითი შესაძლებლობები; თინათინ რუხაძემ ქართულ შოუბიზნესში პროდიუსერის გამოცდილება დააგროვა (პარალელურად არის სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხის გენერალური პროდიუსერი). სამივე ერთად კი თანამშრომლობდა კომპანია "მელოდია-არტთან" (მათ უკვე დატოვეს ეს კომპანია).

ბუნებრივია, ახალი ხელმძღვანელობისგან თეატრის დასიც და საზოგადოებაც, სიახლეებს ელის. გიორგი გაბაშვილის თქმით, თინათინ რუხაძემ მუშაობა დაიწყო მეცენატებთან. მეცენატებიდან გუშინდელ ბრიფინგზე ჯერჯერობით მხოლოდ ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის სახელი გახმაურდა. "ხვალ გვექნება შეხვედრა მთელ ადმინისტრაციულ პერსონალთან. უკვე შევხვდით დასს და გავუქარვეთ წარმოდგენა, თითქოს თეატრის ნაცვლად კაზინოსა და რესტორნის გახსნა იგეგმებოდა და ა.შ. მგონი, დაიჯერეს, რომ დათო დოიაშვილსა და ნიკა მემანიშვილს აქვთ ის პრეტენზია, კარგი თეატრის ხელმძღვანელები იყვნენ. მე მათ იდეებს განვახორციელებ; უბრალოდ, მათი დამხმარე პერსონა ვიქნები, დიდი იმედი გვაქვს მეცენატების. მათი დახმარებით ვფიქრობთ მონაწილეობა მივიღოთ გაცვლით პროექტებში, რადგანაც ამ ყველაფერს ჟანრის ცოდნა სჭირდება", - გვითხრა მუსკომედიის ახალმა დირექტორმა. ჯერჯერობით სტრუქტურულ ცვლილებებზე ვერაფერს ამბობს თინათინ რუხაძე. მისი ვარაუდით, გარკვეული ბიზნეს-გეგმის დასრულება ერთ თვეში იქნება შესაძლებელი. "ჯერჯერობით სახელმწიფო დაქვემდებარებაში ვართ. მსგავსი თეატრი კი დასის გარეშე წარმოუდგენელია. მუსკომედიაში არიან ცნობილი და ძალიან ღვაწლმოსილი ადამიანები, ვინც თეატრი ავად თუ კარგად, დღემდე მოიყვანა. მე ვფიქრობ, რომ ის დასი დარჩება", - თიკა რუხაძეს ასევე, უჭირს, ამ ეტაპზე განსაზღვროს დასის რაოდენობა. იმედი აქვს, რომ ქართული მუსკომედიაც აღჭურვილი იქნება მსგავსი ტიპის თეატრებისთვის ისეთი აუცილებელი დანამატებით, როგორებიცაა: ხმისჩამწერი სტუდია, ორკესტრი, ქორეოგრაფიული დასი. თუმცა, დირექტორი მაინც ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ იდეოლოგიას, რომელიც სამხატვრო და მუსიკალურმა ხელმძღვანელებმა თეატრს უნდა დააკისრონ. ამის შემდეგ კი უფრო გაადვილდება მუსკომედიის მომავალზე საუბარი.

# ბერძნული მითოსი ქართულ მხატვრობაში

თამარ ჭაჭანიძე

*ოლიმპიურ წელთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ინიციატივით საქართველოში მიმდინარეობს ელინოფილური დღეები. გუშინ ამავე ინსტიტუტის საკონფერენციო დარბაზის ჰოლში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით: "ელადა ქართულ სახვით ხელოვნებაში". გამოფენილია გია ბუღაძის, თემო გოცაძის, მურაზ მურვანიძის, ზურაბ ნიჟარაძის, გიორგი შხვაცაბაიას, გია ჯაფარიძის ნამუშევრები ბერძნული მითოსის თემაზე. საკონფერენციო დარბაზში კი მხატვარმა გია ბუღაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: "ბერძნული მითოსის ინტერპრეტაციისათვის თანამედროვე ქართველ მხატვართა შემოქმედებაში".*



ძველი ბერძნებისა და რომაელების მიერ შექმნილმა ხელოვნებამ დიდი თავსატეხი გაუჩინა მომავალ თაობებს, მაგრამ ანტიკური და განსაკუთრებით ბერძნული მითოლოგია ულრმესი შემოქმედებითი ჭა აღმოჩნდა. მითოლოგიური სახეების მრავალფეროვნებამ, ადამიანურმა და თან ზღაპრული განცდების სამყარომ მრავალი საუკუნის შემდეგაც შეძლო შემოქმედებითი იმპულსების გაღვივება. ბერძნული ხელოვნების ცხრა მუზა ჯერ კიდევ დაუღალავად დაფარფატებს ერთი ხელოვანიდან მეორეზე. ბერძნულ ლიტერატურაში, კრეტასა და თერას ფრესკებზე, კერამიკაზე ასახულმა რიტუალურმა თუ მითოლოგიურმა სცენებმა დიდი გავლენა მოახდინა ყველა ხელოვანზე და რაღა ქართველი შემოქმედები დარჩებოდნენ მისადმი გულგრილნი.

გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები ამ კულტურასთან ზიარების ძალიან დიდ სურვილს ამჟღავნებენ. განსაკუთრებით გამორჩეულია გია ბუღაძის მხატვრობა. მისეული ფერისა და ხაზის ჰარმონია, მითოლოგიური სცენების არაზედაპირული, სიღრმისეული გააზრება, მართლაც, დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მისი ტილოები სერიიდან "რომანტიული ალუზიები", ორფეოსისა და ევრიდიკეს დრამის ამსახველი ტილო. გია ბუღაძის ეს ნამუშევრები საოცრად მაგონებს კლასიკური პერიოდის ქანდაკებას გამარჯვების ქალღმერთის ნიკეს გამოსახულებით. ამ ქანდაკებაში ნიკე მფრინავია გამოსახული. დინამიკა და ქარისგან ტანზე შემოტმასნილი პეპლოსის ნაკეცები ბუღაძისეულ ხაზთა გამომსახველობას საოცრად მიესადაგება. გია ბუღაძემ შარშან გამოცემული ნანა ტონიას "პინდაროსის" თარგმანიც გააფორმა მითოლოგიური ილუსტრაციებით. მასვე ეკუთვნის ექვსი ნამუშევარი ემპედოკლეს თემაზე.

სულ სხვა ესთეტიკას ეზიარებით თემო გოცაძის ნამუშევრების ხილვით. მკვეთრი ფერები და მითოლოგიური სცენების სულ სხვაგვარი ინტერპრეტაციაა მოცემული მის ნამუშევრებში "ქირონი" და "ამორძალი". ეს ნამუშევრები ადრეც მქონდა ნანახი და მაშინდელი ჩემი შთაბეჭდილების გადამოწმებისას მაინც ვერ გავექეცი ამ სურათებისგან მოგვრილ არასასიამოვნო შეგრძნებას. ვითომდა ბერძნული სიშიშვლის და ალეგორიულობის მიღმა საოცრად დიდი სიცარიელე შევიგრძენი. რაც შეეხება სხვა მხატვრების ნამუშევრებს, ფორმალისტური დამოკიდებულება მათთანაც შესამჩნევი აღმოჩნდა.

საინტერესო იყო გია ბუღაძის მოხსენება. იგი მოკლედ შეეხო და შეაფასა სხვა ცივილიზაციის მონაპოვრები და ბერძნულ კულტურას სხეულად ყოფნის აღფრთოვანებისეული, მშვენიერების უმაღლესი ტიტული მიანიჭა. გაიხსენა ოპერის დამწვარი ფარდა, რომელზეც ორფეოსი იყო გამოსახული ლირით ხელში და აღნიშნა, რომ უდიდესი დამსახურება ქართულ სახვით ხელოვნებაში სერგო ქობულაძეს მიუძღვის. სწორედ მან გამოიყენა თავის გრაფიკაში მითოლოგია, როგორც თვითრეალიზაციის საშუალება სოცრეალიზმის იდეოლოგიის ბატონობის დროს და დღესაც ქართულ მხატვრობაში სწორედ მისეული ანუ პოლიკლეტე, ლეონარდო, ქობულაძის ხაზია წარმმართველიო. განსაკუთრებულად გამოყო ირაკლი ფარჯიანის "ოდისეას" ილუსტრაციები, თქვა რომ მისი ნამუშევრები ორმაგი კოდის შემცველია და რომ, ფარჯიანმა წარმოაჩინა ის ნიუანსები, რომლებიც ცოცხლად იყო დაკონსერვებული სვანურ მხატვრობაში. მანვე მოგვაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფარჯიანის "ოდისეას" ილუსტრაციების ალბომად გამოცემა იგეგმება, რაც დიდი საჩუქარი იქნება ანტიკური კულტურის მოყვარულთათვის და არა მარტო მათთვის.

# პიკასო+ფიროსმანი=ცა

ნათია ვადაჭკორია

ამ სახელწოდებით გუშინ გალერეა "ჰობიში" მარინა უჯმაჯურიძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა გაიხსნა. პიკასო და ფიროსმანი, ვინც იყვნენ, კარგად მოგეხსენებათ, ცა მარინაა. ცას გურიაში გოგოს უწოდებენ, გამოფენის დამთვალიერებელმა კი ზეცად აღიქვა, ცად, რომელიც ამ ნიჭიერ მხატვარს შთაგონებას აძლევს.

მარინა უჯმაჯურიძე იმ მხატვართა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც საზოგადოებას ხშირი პერსონალურებით "არ აწუხებს". სამაგიეროდ, გალერეა "ჰობიში" გამოფენილი 56 ნამუშევარი თავისი მასშტაბურობით, სიძლიერით, ფერთა გამით, ტილოში ჩატეული კომპაქტური გამოსახულებებით, საკმაოდ საინტერესო სათაურებით ("ყოფიერების ერთგული", "გოგონა გვირგვინით", "სოფელი, რომელიც ხალხისგან დაიცალა", "მარინა, ნილსის ნაჩუქარი "ბასანოჩკით" და სხვა) ბარე რამოდენიმე პერსონალურს უდრის.


*მარინა უჯმაჯურიძე (მარცხნიდან მეორე) გამოფენის გახსნაზე*

ეს პატარა ქალბატონი ყოველი ჩვენთაგანის ყურადღებას და ხელშეწყობას იმსახურებს. მარინა უჯმაჯურიძის ნამუშევრები საზღვარგარეთ ზოგიერთ კერძო კოლექციაშიც ინახება, იაპონიაში ერთ-ერთ გამოფენაზე კი, მას ოქროს მედალი ერგო საუკეთესო ნამუშევრისთვის. თუმცა, ყოველგვარ ოქროს მედალზე ძვირფასი მაინც დამთვალიერებლის კმაყოფილი და ნანახით აღტაცებული სახეებია, რომლის ნაკლებობა გუშინდელ გამოფენაზე ნამდვილად არ შეიმჩნეოდა.

თავად მარინა უჯმაჯურიძე საკუთარი შემოქმედების შესახებ: "პიკასო დიდი ოსტატია, ფიროსმანი – უმაღლესი სულიერების მქონე, როცა დიდ ოსტატობას სულიერება ემატება ერთ დიდ მთლიანობას ასახავს, სწორედ ეს არის ჩემი ამოცანა; ცა კი, მე ვარ, ყოველ შემთხვევაში ასეთი სურვილი მაქვს. ვცდილობ, ოსტატიც ვიყო და სულიერებაც მქონდეს, ფერწერის საფუძვლებს ვემყარები, ვაშენებ სახლს და გადავხურავ კიდეც".

რასაკვირველია, სახლის გადახურვამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. ხსენებული გამოფენა კი, მხატვრის შემოქმედების ერთი ეტაპია. ოზურგეთში მცხოვრებ ქალბატონ მარინას ზოგჯერ ისე უჭირს, რომ საღებავი და ფუნჯიც არ აქვს. ამ დროს იგი ფუჭად არ კარგავს დროს, იდეებს თავში ინახავს, გამოფენას მართავს და უკეთეს მომავალს ელოდება. შემდეგ ახალი ეტაპიც იწყება. ასე ეჯიბრება თავისი შემოქმედებით გურული ცა პიკასოს და ფიროსმანს. წარმატებულ შემოქმედებით ჭიდილს ვუსურვებთ ამ პატარა ქალბატონს.

# მესამე e-mail-ი გერნიკადან

ირაკლი კაკაბძე

გერნიკას ხელოვანებს საქართველოში "ვარდების პანოს" გაკეთება სურთ.

მას მერე, რაც პიკასომ საკუთარი გენიალური ნაშრომით გერნიკა მსოფლიო სახელოვნებო ისტორიაში შეიყვანა, ეს პატარ ბასკური ქალაქი მრავალი ქვეყნის ხელოვანს იზიდავს. რაც მთავარია, აქ ყოველთვიურად იმართება ფორუმები და თავყრილობები, რომლებშიც, მეცნიერების გარდა, ხელოვნების მოღვაწეებიც აქტიურად მონაწილეობენ. წელს გერნიკაში გამართულ კონფერენციაზე ხელოვანთა ყურადღების ცენტრში "ვარდების რევოლუცია" მოექცა, რომელმაც თავის არაძალადობრივი ხასიათით გახდა საინტერესო; განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის, სადაც უსამართლობა ისევ დაუძლეველია. ასევე, უდიდესი ინტერესი გამოიწვია ირაკლი ჩარკვიანის მუსიკაზე დაწერილმა "ვარდების რევოლუციის ექსპორტმა".

მხატვარი ვილიამ კელი, უკვე ათ წელიწადზე მეტია, რაც ყოველწლიურად ჩადის გერნიკაში. მას ამ ქალაქში რამდენიმე ტილო და გრაფიტის ნამუშევარი აქვს შესრულებული. ალექს კარსკოზა ბასკი მხატვარია და ვილიამ კელისთან ერთად თანამედროვე, სოციალურად აქტუალურ ნამუშევრებს ქმნის. მათი ნამუშევრები, როგორც თავად აღნიშნავენ, მიზნად ისახავს ხელოვნებისთვის ჰუმანისტური დანიშნულების დაბრუნებას. ბნელი 80-იანი და შფოთიანი 90-იანი წლების შემდეგ, როდესაც ბევრი ღირებულების გადაფასება და გაუფასურება მოხდა, აუცილებელია, კაცობრიობამ ისევ დაიბრუნოს დაკარგული ჰუმანისტური იდეალები. ჰუმანიზმის არარსებობა გზას უხსნის ყველანაირ ფანატიზმსა და ფუნდამენტალიზმს, ასევე - მეტად ფატალისტურ, უსინდისო ცინიზმსაც. ჰუმანიზმი ამ ორ უკიდურესობას შორის ჰარმონიის დამყარების ერთადერთი გზაა. სწორედ ამ იდეალს ეძღვნება ამ ხელოვანთა კატალოგები. მათ წიგნში, პირველ გვერდზე მოთავსებულია ვაცლავ ჰაველის წერილობით-მხატვრული ინსტალაცია "მშვიდობა", აგრეთვე - გიუნტერ გრასისა და სხვა თანამედროვე ხელოვანთა ნაშრომები. ამ ნაშრომების თარგმანები უახლოეს მომავალში საქართველოშიც აუცილებლად გამოიცემა. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ გერნიკას სიმპოზიუმის ხელოვანთა ჯგუფმა დამოუკიდებლად გადაწყვიტა, რომ თბილისში "ვარდების რევოლუციის პანო" გააკეთოს ქართველ მხატვრებთან ერთად. ეს ნამდვილად სასიხარულო ამბავია. ამ გამოჩენილმა მხატვრებმა აქვე შექმნეს პატარა ესკიზი "ვარდების რევოლუციის" თემაზე. ალბათ, ადვილი არ იქნება, მაგრამ, იმედია, ჩვენ შევძლებთ გავამართლოთ მსოფლიო ჰუმანისტური საზოგადოების ნდობა.


ბილბაო


ბილბაოს გუგენჰეიმი


გერნიკა

ბასკეთი დიდი ესპანელი მწერლის და საზოგადო მოღვაწის მიგელ დე უნამუნოს სამშობლოცაა. უნამუნო თავისი ქვეყნის ერთგული და ესპანური ენის დიდი ტრფიალი გახლდათ. ესპანეთის რესპუბლიკის პერიოდში ის მადრიდის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს და თან პიკასოს, დალის და ბუნუელის მასწავლებელი იყო. 1936 წელს, როდესაც გენერალ ფრანკოს ჯარებმა მადრიდი აიღეს და დაიწყეს საბოლოო შეტევა რესპუბლიკის გასანადგურებლად, ფრანკო, რომელიც, ჰიტლერისაგან განსხვავებით, ეშმაკობითაც გამოირჩეოდა, ცდილობდა, ცნობილი და ავტორიტეტული პიროვნებები მიემხრო და მათ კარგ პირობებსაც ჰპირდებოდა. უნამუნომ არ მიიღო ეს წინადადება და უძლიერეს სარდალს და მომავალ დიქტატორს პირდაპირ უთხრა: " მე, რა თქმა უნდა, ვიცი, რომ თქვენ ახლა გაიმარჯვებთ, მაგრამ თქვენ ვერასდროს დაარწმუნებთ ხალხს თქვენს სიმართლეში, რადგან სამხედრო ძალა სიმართლისგან ძალიან შორსაა". ამის შემდეგ რამდენიმე თვეში, 1936 წლის დეკემბერში უნამუნო მარტოობაში გარდაიცვალა, ფრანკო კი 40 წლით მოვიდა ხელისუფლების სათავეში. მაგრამ, დღეს დიდი მწერალი და ჰუმანისტი მიგელ დე უნამუნო მთელი ესპანეთის სიამაყეა. ფრანკო კი ისტორიაში გაიძვერა დიქტატორის სახელით შევიდა. მოკლედ, უნამუნოსა და ფრანკოს შორის ისეთივე სხვაობაა, როგორც ილიასა და სტალინს შორის.

ბასკები დღესაც ისეთივე ამაყები არიან, როგორც წარსულში. ეს ევროპის ერთ-ერთი უძველესი ერია; მათი ენა ამ კონტინენტის სხვა ინდოევროპულ ენებზე ძველია. მიუხედავად იმისა, რომ ათასწლეულების მანძილზე მათ განადგურებას და დაპყრობას ბევრი ცდილობდა, ბასკები ისევ ინარჩუნებენ თვითმყოფადობას და კვლავ სილამაზით და თავისუფლების სიყვარულით გამოირჩევიან. ეს ერი ვერ გატეხა კასტილიის, საფრანგეთის თუ ფრანკოს რეჟიმმა და დღეს ბასკეთი მსოფლიო ხელოვნების ერთ-ერთი უდიდესი ცენტრია.

ბილბაოში ახლა გაიხსნა გუგენჰემის ახალი მუზეუმი, სადაც პოსტმოდერნული პერიოდის საუკეთესო ნაშრომებია გამოფენილი – ენდი უორჰოლი, რობერტ რაუშენბერგი, ენ ჰემილტონი და ბევრი სხვა.

ერთი სიტყვით, ბასკეთში დღეს თავისუფლება, სიყვარული და ხელოვნება ერთად იყრის თავს. იმედი მაქვს, ოდესმე საქართველოც დაიკავებს ასეთ ადგილს მსოფლიოში.

# დაუნდობელი, მკაცრი და დინამიკური

## დასავლეთის მკითხველს მორგებული იაპონური ლიტერატურა

*უკანასკნელ წლებში აშშ-სა და ევროპაში მკვეთრად გაიზარდა იაპონური ლიტერატურისადმი ინტერესი. დასავლეთში თანამედროვე იაპონელი ავტორების ზედმიწევნით ცოდნა განსაკუთრებით ერთი გამომცემლობის დამსახურებაა. Vertical Inc-ის ტრიუმფალური სვლის მორიგი თამამი ნაბიჯი სხვა აღმოსავლელი ავტორებისთვის ანალოგიური სამსახურის გაწევაა.*



მოხვდებიან თუ არა ოდესმე ხიროკი საკაის Vertical Inc-ის გამომცემლობის ნუსხაში ქართველი ავტორები, დროის საქმეა. თუმცა, სრულიად შესაძლებელი. მაგრამ, ესაა წარმატებული იაპონელი გამომცემლის შორეული პერსპექტივა, რის განხორციელებასაც საკმაოდ ნოყიერი ნიადაგი აქვს საფუძვლად. ამ საძირკვლის შენება ხიროკი საკაიმ 2001 წელს დაიწყო.

"ჩემი აზრით, ბევრი ფიქრობდა ამის განხორციელებას ჩემამდე, მაგრამ ვერავინ მოახერხა საქმის ბოლომდე მიყვანა. მე კი, ბოლომდე მივიყვანე და შორსაც წავედი", - საკაის დღეს უკვე ამაყად შეუძლია გაიხსენოს როგორ დაიწყო ამერიკაში თანამედროვე იაპონური რომანების ინგლისურად თარგმნა.

Vertical Inc-ის მთავარი მიზანია, ამერიკელი მკითხველის ყურადღება თანამედროვე იაპონურ ლიტერატურას მიაპყროს. მისი გამოცემული იაპონური წიგნები ვიზუალურადაც მკვეთრად განსხვავდება ანალოგიური იაპონური გამოცემებისგან. "იმისათვის, რომ ამერიკელ მკითხველში პოპულარული გახდეს, ნაწარმოების სიუჟეტიცა და ენაც უნდა იყოს დაუნდობელი, მკაცრი და დინამიკური. ნაწარმოებს უმალ წაიკითხავენ, თუკი გმირების ხასიათი კარგადაა გახსნილი, - იაპონელი გამომცემელი ნაწილობრივ შიფრავს საკუთარი ბიზნესის საიდუმლოს. - ასე რომ, თუკი რომანი იაპონიაში ბესტსელერი ხდება, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის ავტომატურად ისევე იქნება ამერიკელი და ევროპელი მკითხველისთვისაც".

საკაი ამერიკაში 1999 წელს ჩავიდა. მანამდე, საგამომცემლო ბიზნესში მუშაობის ათწლიანი გამოცდილება ჰქონდა. რედაქტორობდა ეკონომიკურ, და სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას გაზეთ "ტოკიო სიმბუნის" საგამომცემლო ბიუროში. მაგრამ, გამოცდილების მიუხედავად, ბიზნესის აწყობა აშშ-ში საკმაოდ რთული აღმოჩნდა. "იაპონიაშიც და აშშ-შიც წიგნების გამოცემა ფული ღირს. ეს ფული კი, აუცილებლად წინასწარ უნდა გქონდეს. როდესაც ჩემი პროექტის ფინანსურ მხარდაჭერაზე ზრუნვა დავიწყე, ძალიან გამიჭირდა იაპონური გამომცემლობები დამერწმუნებინა ამ საქმის სარგებლიანობაში. პირველი, ვინც ჩემს ოცნებას სწორად ჩაწვდა, გამომცემლობა Itochu International Inc. იყო", - ამბობს საკაი. ამჟამად კი, ბევრი იაპონელი მწერალი, რომელთაც სურთ დასავლელი პუბლიკის ხარჯზე აუდიტორიის გაფართოება, სწორედ Vertical Inc-ის პრეზიდენტს მიმართავენ თხოვნით. მაგრამ, როდესაც ნაწარმოების ხასიათი გამომცემლობის კრიტერიუმებს არ შეესაბამება, ბიზნესმენები ამ მწერლებს უარით ისტუმრებენ. ამის მიუხედავად, გამომცემლობამ საკმაოდ ბევრი იაპონელი მწერლის ნდობა დაიმსახურა.

უახლოეს მომავალში გამომცემლობის პრეზიდენტი აპირებს არ შემოიფარგლოს მხოლოდ პოპულარული ბელეტრისტიკით და ჟანრობრივად გაამრავალფეროვნოს მასალა. უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში საკაი იმედოვნებს, რომ გამოცემს ას ნაწარმოებს. "თუკი ჩვენ აქ გვექნება კარგი რეპუტაცია, ამერიკელი ავტორები მოგვმართავენ კიდეც თხოვნით, ვთარგმნოთ მათი ნაწარმოებები და გამოვცეთ აღმოსავლელი მკითხველისთვის", - ამგვარად ხიროკი საკაი საკუთარი გამომცემლობის შორეული პერსპექტივების კონტურებსაც ეხება.

სვეტი

# ბათუმი


გუშინ ...

სანდრო ნავერიანი

მცხუნვარე მზე.

ზოგჯერ გადაუღებელი წვიმა.

დიდი ტალღები.

მილიონი დამსვენებელი.

ზოგი თეთრი და ზოგიც უკვე გარუჯული.

ასი მილიარდი კენჭი;

ზოგი - მწვანე, ზოგი- ნაცრისფერი, ზოგი - ბაცი ყავისფერი და ზოგიც – შავი;

ფერად-ფერადი ქოლგები და შეზლონგები;

გამყიდვლები, რომლებიც მთელ პლაჟზე დადიან, შარდივით თბილ ბორჯომსა და ოცი დღის წინ გამომცხვარ ბაქლავას (ბათუმლები ასე ეძახიან ფახლავას) ყიდიან. ისინი სიმინდსაც ყიდიან.

ბულვარში სეირნობა;

ბულვარშივე ლარნახევრად ნაყიდი ხოდოკი (ასე ეძახიან ბათუმლები ჰოთ-დოგს), რომელიც ერთადერთია მთელ ბათუმში, რაც გემრიელია;

აჭარული ხაჭაპური, რომელიც ყველგან იყიდება. ალბათ, ისიც გემრიელია. მე არ მიყვარს აჭარული ხაჭაპური.

და ბუნგალო, სადაც დამსვენებლები საღამოს ათი საათიდან დილამდე ცეკვავენ.... "ბოლო ხმაზე აწეული მუსიკის და რეზინის ჩაწყვეტამდე ტრუსიკის".(ს. ნ.)

აი, ასეთი იყო შარშან ბათუმი.

ვიცი, რომ ადრე, სამოცდაათიანებში და ოთხმოციანებში ბათუმი ხალისიანი ქალაქი იყო. გართობის მრავალფეროვანი საშუალებები არ მოგაწყენდა. მაშინ დელფინარიუმიც ფუნქციონირებდა. დელფინარიუმში მეც ვარ ნამყოფი, ოღონდ უფრო აქეთ, ოთხმოცდაათიანებში. მაგრამ, დელფინების ნაცვლად, ბიძაჩემის ბავშვობის მეგობარი და ერთი სელაპი დამხვდა, რომელიც, ჩვილი ბავშვების მანეჟი რომაა, იმოდენა პლასტმასის აკვარიუმში ტივტივებდა და ისეთი განწირული ხმით კიოდა, ბიძაჩემმა იმ წუთსვე გამარიდა იქურობას. რამდენიმე თვის შემდეგ შევიტყვე, ის სელაპი გარდაცვლილიყო. იტალიიდან გვყავდა ჩამოყვანილი, ალბათ, კლიმატს ვერ შეეჩვიაო, - ბიძაჩემისთვის უთქვამს თავის ბავშვობის მეგობარს, რომელმაც სელაპთან ერთად სამსახურიც დაკარგა - ყარაულის გარდა, დელფინარიუმში აღარავინ დარჩა, ყარაულს კი მოვლა არ სჭირდება. ყარაული თვითონ მომვლელია.

მოკლედ, ასეა თუ ისე, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ბათუმი ათი, ოცი, ოცდაათი წლის წინ, ახლა სულ სხვანაირია.

პარადოქსია, მაგრამ, ბათუმისადმი ჩემი სკეპტიკური განწყობის მიუხედავად, მაინც ძალიან მიყვარს ეს ქალაქი. იმიტომ მიყვარს, რომ ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წუთები სწორედ ბათუმში გავატარე და, ალბათ - იმიტომაც, რომ კინაღამ ცოლიც მოვიყვანე. ამიტომ, ძალიან მინდა, რომ ბათუმში ისევ ჩავიდე და არ დავიწუწუნებ, რომ დელფინარიუმში ყარაულის მეტი არავინ იქნება. შევჭამ ოცი დღის ბაქლავას (ასე ეძახიან ბათუმლები ფახლავას) და არავითარ შემთხვევაში არ დავიწუწუნებ. შევალ ნებისმიერ ბარში და, ჯანდაბას, "ია შოკოლადნი ზაიაცსაც" მოვუსმენ და არ ვიქნები უკმაყოფილო. ოღონდ, იმას ვერ ავიტან, როდესაც დისკოთეკაზე შესვლა მომინდება და ვიღაც ასლანისტი ბედოვლათი კალაშნიკოვით ხელში მეტყვის, - შენი სახე არ მომწონს და არ შეგიშვებო. ან ვიღაც ბათუმელ ჭოსთან იმიტომ ვიჩხუბებ, რომ თბილისელი ვარ და მას არ მოვწონვარ. კიდევ ბევრ რამეს ვერ მოვითმენ და, ვფიქრობ, ამ საქმეში მე მარტო არ ვიქნები.

მოკლედ, რისი თქმა მინდა - არ შეიძლება ასლან იბრაგიმოვიჩმა, რომელიც ორი სიტყვის გადაბმას ზუსტად იმდენ ხანს ანდომებს, რამდენსაც ასპირანტი სადოქტოროს დაცვას, დამიშალოს ბათუმში ჩასვლა. არა, დაშლით რა თქმა უნდა, რომც დამიშალოს, მე თუ მომინდა, მაინც ჩავალ, მაგრამ არ უნდა შემზღუდოს - ისე არ უნდა ქნას, რომ ბათუმში ჩასასვლელად გვარის აბაშიძედ ან გოგიტიძედ გადაკეთება მომიხდეს.

როგორც გინდათ, ისე გაიგეთ, მაგრამ ბათუმი, ჯობს, ისევ ისეთი იყოს, როგორიც მე აღვწერე და არა ისეთი, როგორიც მოვლენების ისეთი განვითარების შემთხვევაში იქნება, როგორც ეს ასლანს უნდა. ასლანი კი მთელს მსოფლიოს ეუბნება - Only god can judge me, All you other motherfuckers get out of my business-ო - ანუ, მარტო ღმერთს შეუძლია გამასამართლოს; დანარჩენმა "მაზაფაქერებმა" ჩემ საქმეში ცხვირი არ ჩაყონო. ვინ-ვინ და, ასლანმა იცის, თუ იცის, ბათუმის ხიბლი რაშია.

ერთი მეგობარი მყავს - ბაქარ შარაშენიძე; აჭარული არეულობის დროს ბათუმში იყო. აქ რომ ჩამოვიდა, შემომჩივლა, - სულ ვნერვიულობდი, როდესაც გარეთ გავდიოდიო. მე მიყვარს ჩემი მეგობარი და არ მინდა, რომ ინერვიულოს, როდესაც ბათუმში იქნება. ბოლოს და ბოლოს, ასალო ჩიყვიანი ფირალად რომ გავარდა, იმ დღიდან აჭარა მემედების, იბრაგიმების და ასლანების არის.

მე მინდა, კიდევ ჩავიდე ბათუმში და ჩემი ცხოვრების საუკეთესო წუთები, საათები, დღეები იქ გავატარო. ნუ დამიშლით ბათუმში ჩასვლას და მოლხენას, OK?

დღეს, ბათუმში პირდაპირ გადასარევი, მისწრება მდგომარეობაა. თუ შარშან ქობულეთიდან ბათუმში სამარშრუტო ტაქსები დადიოდნენ, დღეს ჯავშანტრანსპორტიორები არიან რეისსზე. თუ შარშან ბათუმში ხოდოკს (ასე ეძახიან ბათუმლები ჰოთ-დოგს) ქერა, ხუჭუჭთმიანი ქალი ყიდდა, რომელსაც წელზე წინსაფარი ეკეთა, დღეს მის ადგილას ჯავშანჟილეტიანი, კალაშნიკოვმომარჯვებული აჭარელი კაცი დგას და იარაღს უფასოდ არიგებს. ხომ ხედავთ განსხვავებას? - შარშან ყიდულობდი, დღეს უფასოდ ღებულობ გაცილებით ძვირადღირებულ ნივთს.

**P.S.** პროგრესი, პროგრესიო, - რომ გაჰყვირიან ევროკავშირები და ამერიკის შეერთებული შტატები, აჭარისკენ გაიხედონ ერთი, და ნახავენ...

...აი, ძმაო, პროგრესი!


...დღეს

ფეხბურთი

# დერლეი დაბრუნდა და "პორტო" ფინალში გაიყვანა

**დეპორტივო - პორტო 0:1**

ორმატჩიანი დაპირისპირების შემთხვევაში, სტუმრად მიღწეული ფრე დიდ წარმატებად მიიჩნევა. ჰოდა, ჩვენც გვეგონა, რომ პორტუგალიაში მოპოვებულმა ფრემ (0:0) ესპანურ "დეპორტივოს" ჩემპიონთა ლიგის კარი სანახევროდ შეუღო. ეს გასაგებიც არის, "დეპორტივო" ხომ ის გუნდია, საკუთარ მოედანზე "მილანი" რომ გაანადგურა?!

"მილანი" - "მილანია", "პორტო" კი "პორტო", მაგრამ "დეპორტივო" საერთოდ აღარ ჰგავდა იმ "დეპორტივოს", რომელმაც მეოთხედფინალურ მატჩში ჩემპიონთა თასის მფლობელ "მილანს" 4:0 მოუგო.

არა, ეს არ იყო ის "დეპორტივო". გუშინდელ "დეპორტივოს" წინა მატჩში მოედნიდან უსამართლოდ გაძევებული მცველი ანდრადე აკლდა და კიდევ მეორე მცველი,


"პორტო" ფინალშია!

კაპიტანი მაურო სილვა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ ორი ფეხბურთელის არყოფნამ ასე ძალიან შეცვალა "დეპორტივო".

გუშინდელ მატჩში, რომელშიც ესპანელი გულშემატკივარი თავისი "დეპორის" შტურმს ელოდა, სტუმრების უპირატესობით მიმდინარეობდა. შეხვედრის პირველ ტაიმში "პორტოს" უფრო რეალური საგოლე შანსები ჰქონდა, ვიდრე "დეპორს". ისე კი, პირველი შეხვედრის მსგავსად, არც გუშინდელი მატჩი გამოირჩეოდა დიდი სანახაობით. ეს იყო დაძაბული ბრძოლა, რომლის ბედის გადაწყვეტა ერთადერთ შეცდომასაც კი შეეძლო. და ეს შეცდომა "დეპორტივომ" დაუშვა...

"პორტოს" ჰყავს ერთი თავდამსხმელი, ბრაზილიელი დერლეი, რომელმაც მიმდინარე სეზონის დასაწყისში მიიღო მძიმე ტრავმა და თითქმის მთელი წლის განმავლობაში მკურნალობდა. "პორტომ" დერლეის გარეშე ჩაატარა მთელი წლევანდელი ჩემპიონთა ლიგა, დერლეის გარეშე დაამარცხა მრისხანე "მანჩესტერ იუნაიტედი" და მეოთხედფინალში გავიდა. დერლეი სწორედ გუშინდელ მატჩში დაუბრუნდა "პორტოს" და თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაშიც გამოჩნდა.

მატჩის 59-ე წუთზე "დეპორტივოელმა" სეზარმა დერლეი საკუთარ საჯარიმოში მოცელა, კოლინამ უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი. ეს თერთმეტმეტრიანი თავად დერლეიმ შეასრულა, ზუსტად, 0:1.

ეს იყო და ეს. დარჩენილ 30 წუთში "დეპორტივო" შეტევას ცდილობდა, თუმცა არც თუ ისე კარგად გამოსდიოდა ეს ამბავი. 70-ე წუთზე, პაულო ფერეირას წინააღმდეგ უხეშობისათვის ნაიბეთმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და კოლინამ ის მოედნიდან გაისტუმრა. ათი კაცით დარჩენილ "დეპორტივოს" ორი გოლის გატანა სჭირდებოდა, ცდილობდა კიდეც, თუმცა არაფერი გამოვიდა.

გინდათ, სენსაცია დაარქვით, გინდათ - სასწაული, "პორტო" ფინალშია და მომავალ მეტოქეს ელის, რომლის ვინაობაც დღეს საღამოს გაირკვევა.

# რანიერი დეშამის წინააღმდეგ

დღეს ლონდონის "სტემფორდ ბრიჯზე" "ჩელსი" სეზონის მთავარ შეხვედრას გამართავს - ჩემპიონთა ლიგის განმეორებით ნახევარფინალურ მატჩში საფრანგეთის "მონაკოს" დაუპირისპირდება.

პირველ მატჩში "მონეგასკებმა", მიუხედავად იმისა, რომ თამაში 10 კაცით დაასრულეს, საკუთარ არენაზე ("ლუი II") მოულოდნელად დაამარცხეს მრისხანე მეტოქე. ამის შემდეგ კრიტიკოსები თავს დაატყდნენ "არისტოკრატთა" იტალიელ მწვრთნელს, კლაუდიო რანიერის, რომელმაც "მონაკოს" ბერძენი ლეგიონერის ანდრეას ზიკოსის გაძევების შემდეგ გადაწყვიტა, ბოლომდე გაენადგურებინა შესუსტებული მეტოქე და მინდორზე მესამე ფორვარდი შეუშვა. თუმცა, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის გამოჩენამ სრულიად საპირისპირო შედეგი გამოიღო. "ჩელსის" თამაში თავდასხმაში ვერ გააძლიერა. სამაგიეროდ, ინგლისელებმა მოედნის ცენტრი მთლიანად დაუთმეს ფრანგებს.

მწვრთნელის ეს შეცდომა "ჩელსის" შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს. ახლა ფინალში გასასვლელად "არისტოკრატებმა" ან 2:0 უნდა მოიგონ, ან ოთხი ბურთი გაიტანონ და დიდი ანგარიშით დაამარცხონ მეტოქე.

ეს უაღრესად ძნელია, მაგრამ შეიძლება. ხომ მოახერხა მადრიდის "რეალმა" "სანტიაგო ბერნაბეუზე" ოთხი გოლის გატანა! რატომ არ შეიძლება, "რეალის" მიღწევა ჩვენც გავიმეოროთ? - თავს იმშვიდებს კლაუდიო რანიერი.

რანიერის სჯერა, რომ მისი გუნდი სასურველ შედეგს მიაღწევს. "ჩვენ შანსი გვაქვს, - ამტკიცებს იტალიელი, - ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, საუკეთესო თამაში ვაჩვენოთ. "მონაკომ" კი, ალბათ, სეზონის ყველაზე უფერული მატჩი უნდა გამართოს. ყველაფერი შესაძლებელია".


რანიერის რევანშის იმედი აქვს

ამასთან, როგორც ჩანს, "ჩელსი" მცირე ჩავარდნის შემდეგ, რომელიც გუნდს აპრილში ჰქონდა, კარგ გუნებაზე ბრუნდება. აპრილში ინგლისის პრემიერლიგაში "არისტოკრატებმა" ოთხი მატჩი გამართეს და ვერც ერთი ვერ მოიგეს. თუმცა, გასულ უქმეებზე რანიერის გუნდმა ეს უსიამოვნო ტრადიცია დაარღვია და ლიგის მკვეთრად გამიჯნულ საშუალო გუნდს, "საუთჰემპტონს" დიდი ანგარიშით - 4:0 მოუგო. ამ ფაქტმა კლაუდიო რანიერი ფრიად გაახალისა. იტალიელს უთუოდ გაახარებდა გუნდის ლიდერის ფრენკ ლამპარდის კარგი თამაშიც, რომელმაც "საუთჰემპტონთან" შეხვედრაში დუბლი შეასრულა.

სწორედ ინგლისის ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელის თამაშზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული "ჩელსის" წარმატება "მონაკოსთან" შეხვედრაში. ტრავმირებული დამიენ დაფის არყოფნაში, რომელმაც კვლავ მხარი ამოიგდო, ლამპარდს ჯოჯოხეთური შრომა მოუწევს იმისთვის, რომ მოედნის ცენტრალურ ზონაში თავისი გუნდის უპირატესობა უზრუნველყოს.

ტრავმები და დისკვალიფიკაციები განსაკუთრებული განსჯის საგანია. დიდიე დეშამი ვერ ისარგებლებს პირველ მატჩში გაძევებული ანდრეას ზიკოსის მომსახურებით. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ხორვატი ფორვარდის დადო პრშოსა და პლეიმეიკერის ჟიულიენ როტენის თამაშიც. თუ როტენის თამაშის შანსი უაღრესად მცირე და, პრაქტიკულად, უმნიშვნელოა, დეშამს დიდი იმედი აქვს, რომ დადო პრშო მინდორზე გამოვა. ამას გარდა, როგორც იქნა, მწყობრში ჩადგა ცენტრალური მცველი სებასტიან სკილაჩი, რომელიც დიდი ხანია ბარძაყის ტრავმის გამო არ თამაშობდა.

"ჩვენ ორი ფეხბურთელი დავკარგეთ, მაგრამ, იმედი მაქვს, "ჩელსისთან" შესახვედრად ისინი მზად იქნებიან, - ამბობს დეშამი - ამ დღეებში ჩვენ გამარჯვებები გვჭირდება, მაგრამ ლონდონში ჩვენთვის მოგებაზე თამაში სავალდებულო არ არის".

ლაზარეთი რანიერისაც სავსე აქვს. მცველები სელესტინ ბაბაიარო და უილიამ გალასი, ნახევარმცველი სკოტ პარკერი და ფორვარდი ადრიან მუტუ - ისინი ტრავმირებულნი არიან და დღეს არ ითამაშებენ. ამას გარდა, ორი ფეხბურთელი მატჩს დისციპლინარული სასჯელის გამო გამოტოვებს. კლოდ მაკელელემ პირველ შეხვედრაში ზედმეტი ყვითელი ბარათი მიიღო, ხოლო მის კოლეგა მარსელ დესაის ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია ფერნანდო მორიენტესისთვის იდაყვის ჩარტყმის გამო მიუსაჯეს. რანიერისთვის სასიხარულო ცნობა ის არის, რომ ტრავმა მთლიანად მოიშუშა გუნდის ძირითადმა მეკარემ კარლო კუდიჩინიმ.

დღევანდელ მატჩში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მწვრთნელთა დუელი. რანიერიმ შარშანდელ სეზონში მრავალი კომპლიმენტი დაიმსახურა, რადგან გუნდი ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანა. წლეულს კი იტალიელს ხშირად შემადგენლობის როტაციის გამო აკრიტიკებენ.

ამის მიუხედავად, ნათელია, რომ იტალიელი მწვრთნელი უაღრესად ნიჭიერი და პერსპექტიული სპეციალისტია, რაზეც სერიოზული კლუბებიდან მრავალრიცხოვანი მიწვევებიც მეტყველებს.

რაც შეეხება დიდიე დეშამს, ის საერთოდ ამ სეზონის აღმოჩენად შეიძლება მივიჩნიოთ. ფეხბურთელთა გამოკითხვის მიხედვით გასული კვირის ბოლოს დეშამი საფრანგეთში წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს. გამოკითხვამ დაასახელა საფრანგეთის ჩემპიონატის ნაკრებიც, რომელშიც "მონაკოს" ერთბაშად ხუთი ფეხბურთელი შევიდა: მცველები - სკილაჩი და პატრის ევრა; ნახევარმცველები - ლუკა ბერნარდი, ლუდოვიკ ჟიული და ესპანელი ფორვარდი ფერნანდო მორიენტესი.

# უელსი დანია არ არის

12 მაისს შვეიცარიის საარბიტრაჟო სასამართლო გადაწყვეტს, თუ ვინ ითამაშებს პორტუგალიის ევროპის ჩემპიონატზე – რუსეთის თუ უელსის ნაკრები. დანიის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის 1992 წლის ჩემპიონს, ბრაიან ლაუდრუპს მიაჩნია, რომ უელსი, პორტუგალიაში რომ გაემგზავროს კიდეც, ვერ გაიმეორებს დანიის ნაკრების შედეგს (1992 წელს დანია, იუგოსლავიის ნაცვლად, ბოლო მომენტში აღმოჩნდა ევროპის ჩემპიონატზე და ძველი კონტინენტის საუკეთესო გუნდი გახდა).

1992 წელს შვედეთში დანიის ნაკრებმა ნამდვილი ფურორი მოახდინა - სკანდინავიაში ტურნირის დაწყებამდე ექვსი დღით ადრე გაემგზავრა და ოქროს მედლები მოიპოვა. ფინალში მათ გერმანიის ნაკრები – 2:0 დაამარცხეს, ნახევარფინალში კი სკანდინავიელებმა პენალტების სერიით სძლიეს თვით ვან ბასტენის (ჰოლანდიის) ნაკრებს.

წლეულს მსგავს მდგომარეობაში შეიძლება უელსის ნაკრები აღმოჩნდეს. თუ 12 მაისს ლოზანის საარბიტრაჟო სასამართლო დააკმაყოფილებს უელსელთა სარჩელს, ხოლო უეფა რუსეთის ნაკრებს უელსით შეცვლის, მაშინ მარკ ჰიუზის გუნდს ერთი თვე ექნება იმისთვის, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირისთვის მოემზადოს. ბრაიან ლაუდრუპის თქმით, იმის შანსი, რომ უელსის ნაკრები დანიელთა 12 წლის წინანდელ შედეგს გაიმეორებს, პრაქტიკულად ნულის ტოლია. 12 წლის წინათ სკანდინავიელებს სერიოზულად არავინ უყურებდა. ბუნებრივია,


1992 წელი - დანია ევროპის ჩემპიონია

გუნდი ფავორიტად არ ითვლებოდა, რადგან მიაჩნდათ, რომ ექვსი დღე ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად საკმარისი არ იყო. უელსელებს კი, რომლებსაც ასე ძალიან უნდათ გაემგზავრონ ევროპის ჩემპიონატზე, მოუწევთ დაამტკიცონ, რომ უეფა და რუსეთი ტყუილად არ ატარეს სასამართლოებში.

"ჩვენ არავითარ ზეწოლას არ ვგრძნობდით, რადგან მოსამზადებლად მხოლოდ ექვსი დღე გვქონდა. დანიაში ჩვენგან არაფერს ელოდნენ, მიაჩნდათ, რომ ჩვენ, უბრალოდ, ნაკუწებად გვაქცევდნენ, – ამბობს ბრაიან ლაუდრუპი, – შვედეთის ევროპის ჩემპიონატზე ჩვენ სამი მატჩის გამართვას ვვარაუდობდით და ვაპირებდით სამშობლოში დაბრუნებას, რომ შეწყვეტილი შვებულება გაგვეგრძელებინა. სიმართლე გითხრათ, ჩვენი ბიჭების უმეტესობა მიიჩნევდა, რომ ეს ქმედება იუგოსლავიის ნაკრებთან დაკავშირებით უსამართლო იყო, რადგან "იუგებმა" შვედეთში გამგზავრება დაიმსახურეს. მართალია, იუგოსლავიელი ფეხბურთელები გვახსოვდა, მაგრამ ჩვენს თამაშზე ეს არაფრით აისახა. დარწმუნებული ვარ, სპორტისა და პოლიტიკის აღრევა არ შეიძლება, მაგრამ ასე ხდება და ვერაფერს იზამ".

"ჩვენ ყველაფერ ამას ისე აღვიქვამდით, როგორც თავგადასავალს და გვინდოდა, ჯგუფურ ტურნირში ერთი ქულა მოგვეპოვებინა. ამ შემთხვევაში უკეთ გამოვიდოდით, ვიდრე 1988 წლის ფორმაციის დანიის ნაკრები. ჩემპიონობაზე კი არც ვფიქრობდით. ტურნირზე ამგვარად მოხვედრა ძალიან სახალისო იყო. მე კი, საერთოდ, ტრავმას ვიშუშებდი", – იხსენებს ბრაიან ლაუდრუპი.

დანიელებმა ქულა მოინაგრეს პირველივე მატჩში, როცა ინგლისის ნაკრებთან ფრედ – 1:1 ითამაშეს.

"როცა შვედებთან 0:1 დავმარცხდით, ყველამ იფიქრა, რომ ეს ასეც უნდა ყოფილიყო, – აღიარა ევროპის ჩემპიონმა, – მაგრამ ყველაზე საინტერესო ამის შემდეგ დაიწყო, როცა შეუძლებელი შევძელით და საფრანგეთის ნაკრები დავამარცხეთ. ფინალი დაუვიწყარი იყო. ჩვენ მთელი ენერგია ნახევარფინალს შევალიეთ – ჰოლანდიის ნაკრები პენალტების სერიით დავამარცხეთ. ამას გარდა, ჩვენმა რამდენიმე ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო. თუმცა, აღსადგენად სამი დღე გვქონდა. ამ ხნის განმავლობაში 11 ფეხბურთელი შევკრიბეთ, მინდორზე გამოვედით და მთელი საფეხბურთო სამყარო გავაოცეთ. ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ მაშინ, უბრალოდ, გაგვიმართლა, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. ჩვენ შესანიშნავი გუნდი გვყავდა და ბრწყინვალედ ვთამაშობდით".

უელსელებს ბრაიან ლაუდრუპმა ევროპის ჩემპიონატზე წარმატება უსურვა და გამოთქვა რწმენა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ლოზანაში მათი საქმე წარმატებით დაგვირგვინდა, უელსის ნაკრები ყველა ღონეს იხმარს, რათა ეს შანსი მაქსიმალურად გამოიყენოს.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** კახა კალაძემ კატეგორიულად უარყო ამ ბოლო ხანებში გავრცელებული ინფორმაციები იმის შესახებ, თითქოსდა ის "მილანის" მიტოვებას აპირებს. "ამ კლუბში უკვე ოთხი წელია ვთამაშობ და მთელი ამ დროის განმავლობაში უამრავი სიხარული განვიცადე. აქ ყველა კარგად მექცევა. "მილანში" თავს ჩინებულად ვგრძნობ და არსად წასვლას არ ვაპირებ", - ამბობს კალაძე.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლონდონის "ჩელსის" იტალიელმა მწვრთნელმა, კლაუდიო რანიერიმ განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე მიატოვებს თავის პოსტს. ცნობილია, რომ რანიერის სხვა მწვრთნელით შეცვლა რომან აბრამოვიჩს უკვე დიდი ხნის გადაწყვეტილი აქვს. არაოფიციალური ინფორმაციით, რუსმა მილიარდერმა უკვე მოაწერა გააფორმა ხელშეკრულება "პორტოს" ამჟამინდელ თავკაც ჟოზე მაურინიოსთან.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რომან აბრამოვიჩი "ჩელსიში" კიდევ და კიდევ ახალ ფეხბურთელებს ეპატიჟება. იტალიური "რომას" არგენტინელი მცველის, ვალტერ სამუელის აგენტმა განაცხადა, რომ მისმა კლიენტმა უკვე მიიღო "ჩელსის" მიწვევა და რომ აბრამოვიჩის წინადადება უაღრესად მომთაფვლელია. სამუელის აგენტი ზუსტ სატრანსფერო ტანხას არ ასახელებს, თუმცა ამბობს, რომ ამ თანხაზე ვერც "რომა" და ვერც ფეხბურთელი იტყვიან უარს. იტალიური საინფორმაციო წყაროების ცნობით, სამუელის სანაცვლოდ "ჩელსი" 15 მილიონ გირვანქას იხდის.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "რივერ პლეიტისა" და არგენტინის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელის, ფერნანდო კავენაგის აგენტი ამჟამად მოსკოვში იმყოფება, სადაც მოლაპარაკებებს აწარმოებს მოსკოვის "ცსკ"-ს ხელმძღვანელობასთან. საქმე იმაშია, რომ ამ კლუბს კავენაგის შეძენა სურს და მის სანაცვლოდ "რივერ პლეიტს" 17 მილიონ აშშ დოლარს სთავაზობს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გლაზგოს "სელტიკის" მთავარმა მწვრთნელმა, მარტინ ო`ნილმა სასამართლო პროცესი მოუგო შოტლანდიურ გაზეთ Scottish Daily Record-ს, რის გამოც ამ გამოცემამ საჯაროდ უნდა მოუხადოს მას ბოდიში და გადაუხადოს ფულადი კომპენსაცია, რომლის სისდიდე არ სახელდება. საქმე იმაშია, რომ ო`ნილმა პრინციპულად განაცხადა, "სელტიკთან" კონტრაქტი გავაგრძელე და არსად წასვლას არ ვაპირებო, აღნიშნულმა გაზეთმა კი გაავრცელა ინფორმაცია, თითქოსდა ო`ნილმა "ლივერპულთან" გააფორმა კონტრაქტი. სწორედ ამის გამო იჩივლა ო`ნილმა და მოიგო კიდეც პროცესი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფერნანდო მორიენტესი დღესაც მადრიდის "რეალის" საკუთრებას წარმოადგენს და "მონაკოში" ის მხოლოდ და მხოლოდ იჯარის წესით არის განათხოვრებული. თუმცა, წლევანდელ ზაფხულს "რეალი" საბოლოოდ დაემშვიდობება მორიენტესს. სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ "მონაკოს" შემადგენლობაში წარმატებული თამაშის გამო მორიენტესის ფასი საგრძნობლად გაიზარდა და თავდამსხმელის გაყიდვას გეგმავს. მორიენტესის განცხადებით მას ბევრი სარფიანი წინადადება აქვს და ახალი კლუბის მოძებნა არ გაუჭირდება, თუმცა დღემდე სურს "რეალში" დაბრუნება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ამსტერდამის "აიაქსის" ტექნიკურმა დირექტორმა, ლუი ვან გაალმა განაცხადა, რომ ის კლუბში "აიქსის" ყოფილი ფეხბურთელების, მარკ ოვერმარსისა და იესპერ გრონკიაერის დაბრუნებას შეეცდება. ვან გაალის თქმით, ამჟამად "ბარსელონელი" ოვერმარსი და "ჩელსელი" გრონკიაერი არც თუ ისე კმაყოფილები არიან თავთავიანთი კლუბებით და რომ მათ "აიაქსში" დაბრუნება სურთ. ვან გაალი აცხადებს, რომ კლუბში ამ ფეხბურთელების დაბრუნება გუნდის მწვრთნელს, რონალდ კუმანსაც სურს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გასულ კვირას, "მილანი"-"რომას" მატჩის მსვლელობისას ვიეტნამში 33 ადამიანი დააკავეს. ეს ადამიანები საფეხბურთო მატჩზე ფულადი ფსონების დადების გამო დააპატიმრეს. აყვანილი იქნა იმ კაფეს მეპატრონეც, რომელშიც იატაქქვეშა ტოტალიზატორი იყო მოწყობილი. სამართალდამცავებმა ამ ოპერაციის დროს 2 ათასი აშშ დოლარი, 14 მობილური ტელფონი, 2 ტელევიზორი და სატელიტური ანტენა ამოიღეს. შეგახსენებთ, რომ აზარტული თამაშები ვიეტნამში აკრძალულია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფრანგული France Football-ის ცნობით, 2003 წლის ყველაზე მაღლანაზღაურებადი ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი იყო. გამოცემის ინფორმაციით, მადრიდის "რეალის" ნახევარმცველმა გასულ წელს 15 მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოიმუშავა. მეორე ადგილზე ბექჰემის თანაგუნდელი რონალდო გავიდა (11 მილიონი გირვანქა), ხოლო ზინედინ ზიდანი მესამეა (9,4 მილიონი). აღსანიშნავია, რომ 2003 წლის სამი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი მადრიდის "რეალში" თამაშობს.

ჩოგბურთი

# რომი

სანდრო ნავერიანი

რომი ლამაზი ქალაქია.
რომი უძველესი ქალაქია.
ყველა გზა რომში მიდის.

სხვა დროს შეიძლება ამ ისტორიული ქალაქის დასათვალიერებლადაც კი ჩასულიყო, მაგრამ ირაკლი ლაბაძეს ახლა სხვა გეგმები აქვს - ის რომის მასტერსის ტურნირზეა ჩასული და პირველივე წრეში არგენტინელ გასტონ გაუდიოსთან მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. საჩემპიონო რბოლაში არგენტინელი ქართველზე ათი საფეხურით მაღლა დგას, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, ყველაფერი კორტზე გადაწყდება. მთავარია, ირაკლის წელის ტრავმამ არ შეახსენოს თავი.

მაშ ასე, მსოფლიო ჩოგბურთის ოსტატები რომის ოსტატთა ტურნირზე ჩავიდნენ. ვისაც მარგარიტა უნდა, იმან უნდა დალვაროს ოფლი და, თუ საჭირო გახდება, სისხლიც. ჩვენ ისლა დაგვრჩენია, ირაკლის წარმატება ვუსურვოთ. თუ მეორე წრეში გავა, პროგნოზები მაშინ გავაკეთოთ.

მაგრამ გული არ მითმენს და მინდა გავიხსენო "ინდიან ველსის" მასტერსის ტურნირი, როცა ირაკლიმ ქართული ჩოგბურთის ქომაგებს იმედი ჩაგვისახა. ჰოდა, ჩვენც იმედს არ ვკარგავთ და ისევ გვინდა, როგორც კარლოს მოია დაამარცხა, ისევე დაამარცხოს გასტონ გაუდიო და ყველა ის ჩოგბურთელი, რომელიც მის წინააღმდეგ ითამაშებს.

ამ შეხვედრის გარდა, კიდევ ბევრი საინტერესო მატჩი გაიმართება. საინტერესო იქნება ფედერერ-ბიორკმანისა და ფილიპუსის-რობრედოს შეხვედრები, ასევე მარკ ფილიპუსისის თამაში - შარშანდელი უიმბლდონის შემდეგ მას ხეირიანი არაფერი გაუკეთებია და დროა, თავისი ცნობილი ეისებით გაგვახსენოს თავი. რაც შეეხება ფედერერს, მან წლეულს უკვე მოასწრო ხუთი ტურნირის მოგება. მათ შორის ერთი ავსტრალიის "დიდი სლემის" ტურნირია.

ფავორიტებზე თუ ვისაუბრებთ, მაშინ, უპირველესად, ენდი როდიკსა და როჟე ფედერერზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. შარშანდელი სეზონის ნომერ პირველი ჩოგბურთელი, ამერიკელი როდიკი წლეულს ვერ არის ოპტიმალურ ფორმაში, რამაც მის მწვრთნელს, ბრედ გილბერტს ათქმევინა: "მას არც ტრავმა მიუღია, არც ვარჯიშებზე მოშვებულა. არ ვიცი, რატომ ვერ არის ფორმაში. ის უფრო და უფრო მეტს ვარჯიშობს, მაგრამ შედეგი ისეთი არ არის, როგორიც ჩვენ, მე და ენდის გვინდა. მე მისი მწვრთნელი ვარ და, წესით, ამას არ უნდა ვამბობდე: ენდის მწვრთნელი და გულშემატკივარი რომ არ ვიყო, ფსონს ფედერერზე ჩავიდოდი", - ასე ფიქრობს როდიკზე კაცი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია.

ფედერერზე რაღა უნდა ვთქვა - ბრედ გილბერტმა თქვა ჩემი სათქმელი. ფედერერი რომის მასტერსის უპირველესი ფავორიტია.

რაც შეეხება რომის შარშანდელი მასტერსის გამარჯვებულ ფელიქს მანტილას, ის ამერიკელ რობი ჯინეპრის დაუპირისპირდება და, არა მგონია, ესპანელმა ამერიკელის ბარიერი გადალახოს, თუმცა, უბრძოლველად რომ არაფერს დათმობს, ესეც ცხადია. ასევე კარგ თამაშს ელიან არგენტინელი დავიდ ნალბანდიანისგან, რომელიც რა ხანია კორტზე არ გამოსულა. ბაზელის შარშანდელი ტურნირის შემდეგ მას მძიმე ტრავმა ჰქონდა, ახლა კი ოპტიმალურ ფორმაშია. ამას თავად ნალბანდიანიც ადასტურებს.

ასე რომ, მივყვეთ დინებას და თვალი ვადევნოთ, პირველ რიგში, ირაკლი ლაბაძის თამაშს, მერე კი - დანარჩენებს.




წყალბურთი

# დღეს ნაკრებიც გვინდა და მოგებაც

გიგა გურასაშვილი

*პერსპექტივა ასეთია: ახლო მომავალში საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები ეყოლება. არის კიდევ ერთი პერსპექტივა: საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები არ ეყოლება. ეს ისეთივე მარტივია, როგორც ორჯერ ორი. იმისთვის, რომ პირველი პერსპექტივა რეალობად იქცეს, ყურადღება და მხარდაჭერაა საჭირო, მეორისთვის კი წყალბურთისადმი ისეთივე ყურადღება, როგორიც აქამდე იყო.*

დღეს საქართველოს წყლებში ბურთს მხოლოდ ჭაბუკი წყალბურთელები "აგორებენ". ასე გრძელდება რა ხანია. თაობებიც მიდიან და მოდიან, მაგრამ ვერა და ვერ შეიქმნა მოზრდილ წყალბურთელთა ნაკრები, რომელსაც რეალურად შეუძლია დიდი წყალბურთი ითამაშოს. ისე, "საქართველოს წყლები" საკმაოდ ხმამაღალი ნათქვამია – გაწი-გამოწი, სამი-ოთხი აუზი თუა ჩვენში.

სულ ახლახან ჩვენი ჭაბუკები რუსეთის ჩემპიონატზე გამოვიდნენ და მოსკოვიდან ჩემპიონის გარდამავალი თასით დაგვიბრუნდნენ. მაგრამ რა? პერსპექტივები, პერსპექტივები, პერსპექტივები... თუ მოზრდილთა გუნდი არ ჩამოყალიბდა, ჭაბუკთა ნაკრები ასაკობრივი ზღვრის გადაბიჯებისთანავე დაიშლება, ან სხვა ქვეყნის წყლებს მიაშურებს, ისე როგორც ეს აქამდე იყო. სამწუხაროდ, უცხოეთში მიგრაციის ჯაჭვი ჯერაც იხლართება.

ჭაბუკთა წარმატებების გამო გაჩნდა ერთგვარი მოთხოვნილება, მათივე ბაზაზე ჩამოყალიბებულიყო დიდების გუნდი, რომელსაც ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობის პერსპექტივა ექნებოდა (თუ ექნება). ამის თქმის საბაბს რუსეთისა და უკრაინის ჩემპიონატებზე წარმატებული გამოსვლები იძლევა. წყალბურთში ჩახედული ხალხიც ცერ თითს ზემოთ შემართავს ხოლმე. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ არა ჩვენებს, არამედ რუსებს, რომლებიც შიდა ჩემპიონატებზე არ გავახარეთ. მიუხედავად ამისა, მათი მხრიდან არაერთხელ გაისმა: ...........................


ამათგან დიდ წყალბურთს ელიან

არადა, ეს მაშინ, როდესაც ზემოხსენებული ჭაბუკების ნაკრები კლუბ "ლაგუნა ვერეს" ბაზაზე ჩამოყალიბებული გუნდია, ამასთან, მხოლოდ თბილისელებით დაკომპლექტებული. გვყავდა ძალზე ძლიერი ქუთაისისა და სოხუმის სკოლები, მაგრამ ეს ადრე იყო. დღეს კლუბისა და ნაკრების ფუნქცია "ლაგუნა ვერეს" დაეკისრა.

ახლა რა ხდება? მიზანი იგივეა: შეიქმნას წყალბურთელთა ნაკრები გუნდი. საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტის, ვლადიმერ გოიაშვილის თქმით, ამ მხრივ მიმდინარეობს მუშაობა სახსრების მოსაძიებლად, რომელიც დიდების ნაკრების ჩამოყალიბებაში შეგვეშველება. მაგრამ სადაა ეს სახსრები?. მეცენატობის სურვილი, ჯერჯერობით, არავის გამოუთქვამს. გოიაშვილს კი განზრახული აქვს, მოსკოვისა და სანკტ პეტერბურგის ქართველ ბიზნესმენებს შეეხმიანოს და დახმარება სთხოვოს. მით უმეტეს, რომ უცხოეთში, ძირითადად რუსეთში გადახვეწილ ქართველ წყალბურთელებს საქართველოს ნაკრებში თამაშის სურვილი აქვთ. მათ შორისაა რევაზ ჩომახიძე, რუსეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი. თითქმის ორი წლის წინათ "24 საათის" რედაქციაში სტუმრობისასაც გვითხრა, თუ ნაკრები გვეყოლება, მასში მეც მიგულეთო.

დღეს კი... დღეს საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის დასაუფლებლად პირველი ნაბიჯი აქვს გადასადგმელი. ჭაბუკთა გუნდს, რომელიც თბილისიდან სოფიაში კვირას გაემგზავრა, დღეს ყოფილი იუგოსლავიის ძლიერი საწყალბურთო სკოლის წარმომადგენელთან, სლოვენიის ნაკრებთან მოუწევს გამოცდის ჩაბარება. ფაქტობრივად, ესაა ჯგუფის ფავორიტების - საქართველოსა და სლოვენიის შერკინება. ოთხგუნდიანი ჯგუფიდან ორი გუნდი გადის ფინალურ ეტაპზე. თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდა, გამსვლელ ორეულში ჩვენი ბიჭებიც უნდა ვიგულისხმოთ. სლოვენიის შემდეგ საქართველოს ნაკრები უკრაინელებს შეხვდება. უკრაინას ძლიერი გუნდი კი ჰყავს, მაგრამ მათთან გამარჯვება მაინც შეიძლება, მით უფრო, რომ უკრაინის ჩემპიონატებზე საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებს არაერთხელ გაუმარჯვია. არანაკლებ რთული და დაძაბული იქნება ბულგარელებთან მატჩიც - მასპინძლის სტატუსის გათვალისწინებით. ბოლო შეხვედრა კი კვიპროსთანაა, რომლის დამარცხებაც ასევე შეიძლება.

ერთი სიტყვით, პერსპექტივაში კარგი გუნდი შეიძლება გვყავდეს, თუ, რა თქმა უნდა, ყურადღება იქნება. ყურადღება კი საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრების მიმართ საქართველოს პრეზიდენტმა გამოიჩინა - ბულგარეთში გუნდის გასამგზავრებლად საჭირო თანხა მისი უშუალო ჩარევით გაიცა. როდესაც ამის თაობაზე ვლადიმერ გოიაშვილს ვკითხე, გაბრაზებულმა, აქეთ შემომიბრუნა კითხვა: კი მაგრამ, რატომ უნდა გამხდარიყო საჭირო საქმეში პრეზიდენტის ჩარევაო?!

კალათბურთი

# ნახევარფინალი მასპინძლებისაა


ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში გუშინ დიდი ამბები ხდებოდა...

პაატა თოთაძე

საქართველოს ჩემპიონატი.
ნახევარფინალი.
მეორე მატჩი

**სტუ-ჯეოსელი - ბასკო 79:65**

დიდი ამბები იქნება დღეს და ხვალ ვერის ბაღში. ამ ორ დღეში საქართველოს ჩემპიონატის ფინალისტთა ვინაობა უნდა გაირკვას. ისე მოხდა, რომ ორივე წყვილში გადამწყვეტი, მესამე მატჩის გამართვა გახდა საჭირო. დღემდე ასე იყო: უკლებლივ ყველა მატჩში მასპინძლებმა იმარჯვეს. თბილისში გადმობარგებულმა "ბასკომაც" იმ შეხვედრაში გაიმარჯვა, რომელშიც მასპინძლად ითვლებოდა. თუ ასე გაგრძელდა, ფინალში "დინამო" და "ბასკო" შეხვდებიან ერთმანეთს, რადგან დღევანდელი და ხვალინდელი მატჩის მასპინძლები ისინი იქნებიან, თუ არადა...

პირველი მატჩის მოგების შემდეგ ბათუმელები გუშინდელი მატჩის პირველ ნახევარშიც ფლობდნენ უპირატესობას, თუმცა, თავიდანვე ნათელი იყო: თუ "ბასკო" საერთოდ შეძლებდა მოგებას, ეს პირველი მატჩის მსგავსად ადვილად არ გამოუვიდოდა. სტუმართა უპირატესობამ გასტანა მეორე მეოთხედის ბოლომდე, ანუ იმ დრომდე, სანამ მსაჯმა მოედნიდან ჯერ სტუ-ს მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი, შემდეგ კი მისი შეგირდი ირაკლი ჯაფარიძე არ გააძევა. აბა, ისე როგორ იქნებოდა, საქართველოს ჩემპიონატის პლეი-ოფს ჩხუბისა და აყალმაყალის გარეშე ჩაევლო. ამის პირველი მსხვერპლი სტუ-ჯეოსელი გახდა. მწვრთნელი ზედმეტი აქტიურობის გამო გააძევეს. მსაჯის მოქმედებით უკმაყოფილო ჭეიშვილმა შეტევა ჯერ მაჩალაძეზე მიიტანა, შემდეგ კი - ბერეკაშვილზე, რომელმაც იქვე ტექნიკურით დასაჯა მწვრთნელი. ერთ წუთში კი უკვე მაჩალაძეს მოუხდა საქმეში ჩარევა და ჭეიშვილსაც ტრიბუნებისკენ მიუთითა.

ნერვიულობა მოთამაშეებსაც გადაედოთ, რაც ცოტა ხანში მცირე შეხლა-შემოხლაში გამოიხატა. მეტოქის საქციელით უკმაყოფილო ჯაფარიძემ ბერძენიშვილს რაღაც უთხრა, ის მივიდა, დაელაპარაკა, თუმცა, ჯაფარიძემ ორჯერ აუკრა ხელი და არეულობაც დაიწყო. მსაჯები იძულებულნი გახდნენ, მატჩი ცოტა ხნით შეეჩერებინათ. საქმეში ფედერაციის ჩინოსნები ჩაერივნენ და საქმე, ასე ვთქვათ, მოედნის გარეთ გაირჩა. ამის შედეგი კი ის იყო, რომ ჯაფარიძე მოედნიდან გააძევეს. თითქოს ყველაფერი დასრულდა, თითქოს სტუ-ჯეოსელი ველარ მოახერხებდა მატჩის შემობრუნებას, მაგრამ პირიქით მოხდა.

მესამე მეოთხედიდან მოყოლებული, სტუდენტები შეუჩერებელნი გახდნენ. პირველი ბურთი ბათუმლებმა მეოთხედის დასრულებამდე 38 წამით ადრე ჩააგდეს. ცხრაწუთნახევრიანი მონაკვეთი სტუ-მ 18:0, მეოთხედი კი 20:4 მოიგო. საგულისხმოა, რომ ამ ცხრაწუთნახევარში სტუდენტები საერთოდ არ დაჯარიმებულან, ყოველ შემთხვევაში, მსაჯს მათი მხრიდან წესების დარღვევა არ აღუნიშნავს. მატჩის ბედიც, ფაქტობრივად, აქ გადაწყდა.

მეოთხე მეოთხედში სტუ-ჯეოსელი კიდევ უფრო დაწინაურდა, ერთ ხანს ანგარიშში სხვაობამ 19 ქულასაც მიაღწია. მეორე ნახევარში თავი გამოიჩინა არმენ ოგანესიანმა. აქამდე არაფრით გამორჩეული, ჯაფარიძის გაძევების შემდეგ გაცილებით უკეთ ათამაშდა და 14 ქულაც მიითვალა საკუთარ ანგარიშზე. ამას დაუმატეთ არაერთი მოხსნა, სამი-ოთხი დაფარებაც და...

სტუდენტთაგან საუკეთესო იყო ბაბიაშვილი 25 ქულით, ბათუმელთაგან კი - ბერძენიშვილი (20) და ი. ბერიშვილი (13).

TV-სპორტი

## ოთხშაბათი. 5 მაისი

**HTB + ФУТБОЛ**
07:00 NBA TV. დღიური
07:30 NBA TV. პლეიოფი. პირველი წრე. მე-7 თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "დეპორტივო" – "პორტუ". საპასუხო მატჩი
15:20 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. "სპორტინგ კრისტალი" (პერუ) – "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა)
17:05 თავისუფალი დარტყმა
17:20 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:15 "გამჟღავნება"
18:50 რუსეთის თასი. ნახევარფინალი. "ტერეკი" – "შინიკი". პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:55 თავისუფალი დარტყმა
21:10 სახვალიო ტელეპროგრამა
21:15 "დარტყმა გოლისთვის"
21:30 რუსეთის თასი. ნახევარფინალი. "ტორპედო-მეტალურგი" – "კრილია სავეტოვ". პირველი მატჩი
23:20 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "ჩელსი" – "მონაკო". საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:35 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. "სპორტინგ კრისტალი" (პერუ) – "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა)
03:20 03:20-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
05:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1977. ფინალი. "PHILADELPHIA 76 ERS" - "PORTLAND TRAIL BLAZERS". მე-5 თამაში

**HTB + СПОРТ**
13:00, 16:30, 22:30 პრესცენტრი
14:15, 22:45 "ოლიმპის შვილები"
14:35 ჩოგბურთი. "Masters Series" რომში
16:00 "პიკი გვეძახის" – ევერესტი. ჩრდილოეთ კედლის ცენტრისკენ
16:45 ფიგურული სრიალი. "ბერტ ბაკარის" შოუ
17:45 "NHL – პლიუსი"
18:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
19:00 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship". შესვენებისას (20:00) – პრესცენტრი
21:00 "ათენის გზაზე"
22:00 "Power week - NHL-ის კვირა"
22:50 სახვალიო ტელეპროგრამა
23:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი
01:15 ახალი ამბები
01:30 "NHL – პლიუსი"
01:45 ბოულინგი. "ABC მასტერსი"
02:40 02:40-დან 04:00-მდე შესვენება
05:00 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
11:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:00 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
12:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
13:00 ფეხბურთი. ევროგოლები
14:00 ფეხბურთი. იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონატი საფრანგეთში
15:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი გერმანიაში
19:30 ფეხბურთი. ევრო-2004-ის ჩემპიონთა თაობა
20:00 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
20:30 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
21:00 ხელბურთი. ამხანაგური მატჩი
23:00 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი მილანში
00:00 გოლფი. ევროპული ტური იტალიაში
00:30 გოლფი. PGA ტურნირი აშშ-ში
01:30 მულტისპორტი
01:45 ოლიმპიური თამაშები
02:00 ახალი ამბები
02:15 კიკბოქსინგი. სუპერლიგა იტალიაში
04:00 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
04:30 ახალი ამბები

## XII საუკუნის რელიგიურობა



XII საუკუნე ევროპაში რელიგიური აღორძინების ეპოქადაა მიჩნეული და ბევრი ფიქრობს, რომ მისი წვდომის გასაღები თეოლოგიაში უნდა ვეძებოთ. ერთი მხრივ აშკარაა, რომ იმ ეპოქის ყველა მონაპოვარი ეკლესიური მსოფლმხედველობითაა აღბეჭდილი. მაგრამ როგორ უნდა ავხსნათ ერესთა ასეთი მომძლავრება სამხრეთ საფრანგეთსა და იტალიაში? ამ მომძლავრებას ფრანგმა ისტორიკოსებმა განსაკუთრებული სახელიც მოუძებნეს — succ♡s fou — გიჟური წარმატება.

იმ ეპოქის უმნიშვნელოვანესი ეპიკური პოემები რომ განვიხილოთ — "სიმღერა ნიბელუნგებზე", **ვოლფრამ ფონ ეშენბახის** "პარციფალი", **გოტფრიდ სტრასბურგელის** "ტრისტანი" — რომლებიც ლათინურად კი არა, ხალხურ გერმანულ ენაზეა დაწერილი, მაინც ვერ მივხვდებოდით, რა აზრები უტრიალებდა თავში მაშინდელ მოსახლეობას. XII საუკუნის ეს პოეტები მეტად თავისებური ადამიანები იყვნენ და თავიანთი ცოდნის გადმოცემას გაცილებით უფრო ადვილი და ყველასათვის ხელმისაწვდომი ფორმით ცდილობდნენ, ვიდრე ამის საშუალებას თეოლოგია იძლეოდა.

"ნიბელუნგების სიმღერამ" და "პარციფალმა" შთააგონა რიჰარდ ვაგნერი, რომელმაც ამ ნაწარმოებთა მიხედვით დიდი ოპერები შექმნა. ორივე პოემა გერმანელი ხალხის დიდი ნაწილის გემოვნებას ეთანხმება და გამოხატავს, მაგრამ სხვა მხრივ პოემები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან.

მაგალითად, "ნიბელუნგების სიმღერაში" რელიგიის მიმართ ინტერესს ვერ ვპოულობთ. თავისუფლად შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი ავტორი ყოველგვარი თეოლოგიისაგან შორს იდგა.

"პარციფალი" კი გაუნათლებელმა რაინდმა შეთხზა. ეს კაცი ალბათ ერთნაირად ამაყობდა თავისი რაინდობითა და გაუნათლებლობით. აქ ვერ ვხვდებით თეოლოგიურ დახვეწილობასა და სიღრმეს. თუნდაც ის რად ღირს, რომ პოემაში გრაალი უკვე თასი კი არა, ქვაა. მოგვიანებით ცდილობდნენ ამის ახსნას ხან ციდან ჩამოვარდნილი რადიაქტიული მეტეორიტით, რომელსაც თითქოს სამკურნალო თვისებები ჰქონდა, ხანაც ციური ქვების თაყვანისცემისკენ განსაკუთრებით მიდრეკილი ისლამის გავლენით. სრულიად შესაძლებელია, რომ ცვილილების მიზეზი უბრალო გაუგებრობა იყო.

და მაინც, ვოლფრამ ფონ ეშენბახი ღრმად რელიგიური ადამიანი იყო. ბერები ხშირად აკრიტიკებდნენ რაინდთა ზნეობრივ კოდექსს, ამხელდნენ მის წარმართულ, არაქრისტიანულ საწყისებს. ამ კრიტიკას ვოლფრამიც ეთანხმება. მაგრამ კიდევ უფრო საოცარია, როგორი სიღრმით აღწერს ვოლფრამი თავისი გმირების სასოწარკვეთილებასა და ეჭვებს. როგორც ეტყობა იმ შორეულ ეპოქაში ამგვარი რთული გრძნობები უცხო არ ყოფილა ადამიანებისათვის.

გოტფრიდის "ტრისტანი" უფრო აშკარადაა აღბეჭდილი XII საუკუნის მეცნიერებით. სამი პოემიდან ეს ყველაზე ნატიფი და დახვეწილია. მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რომ რაინდული სიყვარული ამ ტექსტში ერთგვარი ირონიითაა მოცემული, თითქოს ავტორი მის შოკირებას ცდილობს. რაინდულ სიყვარულს რელიგიურ რწმენაზე პაროდიის სახე აქვს მიცემული. "სიყვარულის გამოქვაბული", სადაც ტრისტანი და იზოლდა ერთგულად იცავენ სიყვარულის ყველა აღთქმას, ისეა აღწერილი, თითქოს ეს მდიდრულად მორთული ტაძარი იყოს, გამოქვაბულის შინაგანი სივრცე იმავე ტერმინოლოგიითაა გადმოცემული, როგორითაც გოთური ტაძრის ინტერიერი აიწერებოდა. ავტორი მკითხველს განუწყვეტლივ ახსენებს, რომ არსებობს დაუძლეველი წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, ქრისტიანულ მოვალეობას, ქრისტიანულ მოძღვრებას, ქრისტიანულ პრაქტიკასა და, მეორე მხრივ, პოემაში გადმოცემულ მოვლენებს შორის. მაგრამ ამ პოემის საფუძველზე არ შეიძლება გამოვიტანოთ დასკვა ავტორის პიროვნებაზე. ტექსტი და ავტორი არასოდეს არიან ერთმანეთის იგივეობრივი. ტექსტი ყოველთვის დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობს.

ამგვარად, ცხადია, რომ XII საუკუნის ეპოქა თვალსაზრისთა და ინტერესთა გაცილებით ფართო დიაპაზონს მოიცავს, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება გვეგონოს. მაგრამ სრულიად შეუძლებელია იმის დადგენა, როგორ იყო განაწილებული ეს ინტერესები მაშინდელი ევროპის მოსახლეობაში.

და მაინც, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მრავალი იყო იმათი რიცხვი, ვისთვისაც "რელიგიურ საკითხებს" მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია. მეორე მხრივ, მთელი ცხოვრება — ღვთისმსახურება, განათლება, სახელმწიფო მმართველობა და სამხედრო საქმეც კი — გაჟღენთილი იყო თეოლოგიური პრობლემატიკითა და ტერმინოლოგიით.

ბუნებრივია, რომ ამ პირობებში მრავალი იქნებოდა ერთი და იმავე საკითხის ალტერნატიული ინტერპრეტაცია. ასე რომ, ერესთა სიმრავლემ გაკვირვება არ უნდა გამოიწვიოს. მეორე მხრივ, თუ ვინმე მოინდომებდა, ყოველთვის შეძლებდა ნებისმიერი ადამიანის ერეტიკოსობის დამტკიცებას. ბუნებრივია, რომ ამ მხრივ დანაშაულისა და უდანაშაულობის ცნებათა ზუსტი ფორმალური განმარტების არავითარი შესაძლებლობა არ იყო. ამიტომაც გასაგები ხდება იმ საშინელი სიტყვების არსი, რომელსაც ტრადიცია წმინდა დომინიკს მიაწერს: "მოკალით ყველა, ღმერთი თავისიანებს გამოარჩევს".



# ინკვიზიცია I

ოდესღაც უკვე ვწერდით, რომ კათოლიკური ინკვიზიცია, ანუ სარწმუნოების სიწმინდის დამცველი და მწვალებლობათა აღმკვეთი ორგანო სინამდვილეში სამი სხვადასხვა ფენომენია, სამ ისტორიულ ეტაპზე განაწილებული: თავიდან ის ეპისკოპოსებს ემორჩილებოდა, შემდეგ ორდენთა კომპეტენციაში გადავიდა, მოგვიანებით კი დაარსდა საკუთრივ პაპის აპარატთან არსებული საბჭო საკამათო საკითხების გადასაწყვეტად.

ამისაგან სრულიად განსხვავებულია ესპანური ინკვიზიცია, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მოწმობაა იმისა, თუ რა შეიძლება მოუვიდეს ეკლესიას, როცა ის მთლიანად სახელმწიფოს ემორჩილება...

რა თქმა უნდა, ყოველივე, რაც ინკვიზიციას შეეხება, არ უნდა განვიხილოთ როგორც რაღაც მანკიერი განზრახვის თუ ჩანაფიქრის შედეგი: ძალადობა და სისასტიკე წარსულში ყველგან ერთნაირად იყო გავრცელებული. მაგრამ ზღვარს გადასულმა, აბსურდამდე დაყვანილმა სისასტიკემ გამოიწვია ის, რომ სწორედ კათოლიკური ეკლესიის წიაღში გაისმა პირველი ხმა წამების წინააღმდეგ...

### სისტემა

XIV საუკუნის ფრანგი ინკვიზიტორი, **ბერნარ გი**, რომელიც იტალიელმა მწერალმა **უმბერტო ეკომ** თავისი რომანის პერსონაჟად გამოიყვანა, წერდა: "ინკვიზიციის ამოცანა მწვალებლობის მოსპობაა. მწვალებლობა ვერ მოისპობა, თუ არ მოვსპობთ მწვალებლებს. მწვალებლებს კი ვერ მოვსპობთ, თუ მათთან ერთად არ გავანადგურებთ მათ მფარველებს, თანამგრძნობებსა და დამცველებს".

მაგრამ რა იყო მწვალებლობა და ვინ იყვნენ მწვალებლები? კათოლიკური ეკლესია მწვალებლობად ანუ ერესად აღიქვამდა მრწამსის ნებისმიერი მუხლის უარყოფასა და მცდარი მსოფლმხედველობის აღიარებას. მწვალებლად ანუ ერეტიკოსად კი მიჩნეულ იყო მორწმუნე, რომელმაც იცოდა მრწამსი და მაინც უარყოფდა მას. და მაინც, ერესისა და ერეტიკოსის ოფიციალური განმარტება არ არსებობდა, რის გამოც ინკვიზიტორები საკმაოდ თავისუფლად განმარტავდნენ ამ ცნებებს და არა მარტო შეგნებულ ერეტიკოსებს სდევნიდნენ, არამედ ყველას, ვინც მცირეოდენ ეჭვს მაინც იწვევდა, ან საეჭვო ხალხთან ურთიერთობაში იყო შემჩნეული. ითვალისწინებდნენ ნებისმიერ დაბეზღებას, დევნის საბაბად კი ხშირად ეჭვმიტანილის სიმდიდრე იქცეოდა, ან, უბრალოდ, მსაჯულთა სიჩლუნგე და ფანატიზმი.

გასული საუკუნის ბოლოს იტალიელი მკვლევარი, **გაბრიელე ძანელა** აღიარებს, რომ ისტორიკოსებმაც ვერ მოახერხეს ერესის ჯეროვანი წარმოდგენა, რადგან შუასაუკუნეობრივი წყაროები ამის საშუალებას არ იძლევა. მეცნიერთა მცდელობა შემოისაზღვრა ერესის კულტურული, ეკონომიკური და სოციალური კონტექსტის აღწერით.

თვით ინკვიზიტორთა სახელმძღვანელოები და რეკომენდაციები რომ განვიხილოთ, აღმოვაჩენთ უამრავ ციტირებას ავგუსტინეს, იერონიმეს, ისიდორე სევილიელის თხზულებებიდან, მაგრამ აშკარა იქნება ერთი რამ: ამ ავტორთაგან არც ერთს აზრადაც არ მოუვიდოდა "ანტიეკლესიის" არსებობაც კი. მაგრამ მეორე ათასწლეულში ვითარება იცვლება და ინკვიზიტორები ერთხმად აცხადებენ, რომ მწვალებლები ალტერნატიული ეკლესიის შექმნას ცდილობენ.

ერთი წამით რომ დავტოვოთ ინკვიზიტორთა თვალსაზრისი და თვით ერეტიკოსებს დავეკითხოთ, აღმოვაჩენთ, რომ ყოველი მათგანი საკუთარ თავს ჭეშმარიტ და კეთილ ქრისტიანად მიიჩნევდა, მაშინ როცა ისტორიულმა ეკლესიამ, მათი აზრით, უფლის გზას გადაუხვია. ამას თვით ინკვიზიტორებიც აღიარებდნენ. იგივე ბერნარ გი ერეტიკოსებთა შესახებ წერდა: "ერთხმად აღიარებენ, რომ არსებობს ორი ეკლესია: ერთი კეთილი — მათი სექტა; მეორე კი ბოროტი — კათოლიკური ეკლესია".

შუა საუკუნეებში ერთ-ერთ, ყველაზე გავრცელებული, ძლიერი და გავლენიანი ერეტიკული მიმდინარეობა იყო კათართა ერესი, რომელსაც სამხრეთ საფრანგეთის ქალაქ ალბის მიხედვით ალბიგოურ ერესადაც მოიხსენიებენ. მრავალი წლის განმავლობაში მეცნიერები კამათობდნენ იმაზე, შეიძლება თუ არა ვუწოდოთ კათარობას ქრისტიანობის განშტოება, თუ ეს დუალისტური, სავარაუდოდ, აღმოსავლეთიდან შემოსული მოძღვრება სრულიად მოკლებული იყო ქრისტიანულ რელიგიასთან ორგანულ კავშირს. ინკვიზიციის დოკუმენტებში, დაკითხვის ოქმებში მხოლოდ ერთი რამ აინტერესებთ: მაკუთვნებს თუ არა ეჭვმიტანილი საკუთარ თავს კათარებს. არავინ ცდილობს იმის დადგენას, თუ საკუთრივ რა სწამდათ ამ სექტის წარმომადგენლებს.



*ინკვიზიციის სასამართლო პროცესი*

ამავე ეპოქის სხვა მნიშვნელოვანი ერესი იყო ვალდენსთა მიმდინარეობა, რომელიც იტალიელი ვაჭრის, **პიერო ვალდოს** მიერ იქნა დაარსებული. ვალდენსთა ეკლესია დღესაც არსებობს იტალიაში — ეს საკმაოდ განათლებული და ზნეობრივად მცხოვრები ხალხია. ვალდენსებს იგივე სწამდათ, რაც კათოლიკებს, მაგრამ ამ რწმენის განხორციელებას, ასე ვთქვათ, სხვა საშუალებებით ცდილობდნენ: მათ შეცვალეს მხოლოდ თავიანთი კულტის გარეგანი, ხილული სახე. მიუხედავად ამისა, ინკვიზიცია ისეთნაირადვე სჯიდა ვალდენსებს, როგორც კათარებს. კოცონზე ასაყვანად საკმარისი იყო მიკუთვნების ფაქტი.

როგორ ხდებოდა, რომ ინკვიზიცია ვერ განასხვავებდა ერთმანეთთან ასეთ შეუთავსებელ ფენომენებს, როგორებიც კათარები და ვალდენსებია? საიდან მომდინარეობს მისი ესოდენი სიბრმავე? ნუთუ უნდა დავასკვნათ, რომ მსაჯულებს არაფერი ესმოდათ მათი, ვისაც განსჯიდნენ?

### მსაჯულები

ინკვიზიციის მოწყობა იმდენადვე მარტივი იყო, რამდენადაც მიზანშეწონილი. ეს სისტემა არ იყო გათვლილი გარეგან ბრწყინვალებაზე, მთავარი შიშის გამოწვევა იყო. საინკვიზიციო სასამართლო, საგანგებო ტრიბუნალის მსგავსად არავითარ ცენზურას არ ექვემდებარებოდა პაპის ლეგატთა ან ორდენთა ხელმძღვანელობის მხრიდან. ასეთი მაღალი დამოუკიდებლობა და განუსაზღვრელი უფლებამოსილება განპირობებული იყო იმით, რომ ერესი უმწვავეს რელიგიურ და სოციალურ ბოროტებად ითვლებოდა.

ესპანეთსა და პორტუგალიაში ინკვიზიცია უშუალოდ ემორჩილებოდა სამეფო ძალაუფლებას, მაგრამ ამის წინააღმდეგ პაპს არასოდეს გამოუთქვამს საყვედური.

ინკვიზიტორებს, გარდა ესპანეთისა და პორტუგალიისა, თვით პაპი ნიშნავდა, მაგრამ უკვე XIII საუკუნის შუა წლებიდან ამ გაზრდილი აპარატის ცენტრალიზებული მართვა ძალიან გაჭირდა. ამიტომაც პაპმა **ურბან IV**-მ (1261 – 1264) გენერალურ ინკვიზიტორად თავისი ახლობელი, **კაეტანი ორსინი** დანიშნა. ამ პიროვნების ხელში ერთბაშად ისეთი ძალაუფლება აღმოჩნდა, რომ ურბან IV-ის სიკვდილის შემდეგ მას არ გასჭირვებია კარდინალთა კრებულზე ზემოქმედება. ორსინის პაპად აირჩიეს **ნიკოლოზ III**-ის სახელით (1277 – 1280). ნიკოლოზმა გენერალურ ინკვიზიტორად თავისი დისწული, კარდინალი **ლატინო მალებრანკა** დანიშნა და ნიადაგი შეამზადა მისი პაპობისთვის. მაგრამ ამან უკვე სხვა კარდინალების რისხვა გამოიწვია. მალებრანკას სიკვდილის შემდეგ გენერალური ინკვიზიტორის ადგილი დიდი ხნის განმავლობაში ვაკანტური იყო. მხოლოდ **კლიმენტი VI**-ის დროს (1342 – 1352) იქნა ის დაკავებული.

კარდინალთა ზეწოლის შედეგად პაპებმა გააუქმეს გენერალური ინკვიზიტორის თანამდებობა, რადგან ერთი ადამიანის ხელში თითქმის განუსაზღვრელი ძალაუფლება იყრიდა თავს. გაუქმების შემდეგ ინკვიზიციის საქმეებს სხვადასხვა კანცელარიები, ანუ კურიები განაგებდნენ. გერმანული რეფორმაციის შემდეგ, პროტესტანტიზმის წარმოშობასთან ერთად პაპმა **პავლე III**-მ შექმნა რწმენის შეურყვნელობის დამცველი განსაკუთრებული ორგანო, რომელსაც ეწოდა წმინდა კონგრეგაცია.

ვინ იყვნენ ინკვიზიტორები? მათი დანიშვნა, ძირითადად, ორი ორდენის რიგებიდან ხდებოდა: დომინიკელთა და ფრანცისკელთაგან. იშვიათად ინკვიზიტორის წოდებას სხვა ორდენის წარმომადგენელი ან სულაც ერისკაცი იღებდა. **კლიმენტი V**-მ (1305 – 1314), პაპმა, რომლის მონაწილეობით განადგურებულ იქნა ტამპლიერთა ორდენი, ინკვიზიტორის მინიმალური ასაკი ორმოცი წლით განსაზღვრა. მიუხედავად ამისა, ხშირად უფრო ახალგაზრდებიც იღებდნენ ამ წოდებას. ისინი სხვადასხვა წარმოშობისა იყვნენ. მაგალითად, **რობერ ლე ბურგი**, დომინიკელი და მოქცეული კათარი, ლუარას დეპარტამენტის ინკვიზიტორად დაინიშნა 1233 წელს. ორი წლის შემდეგ, განსაკუთრებული გულმოდგინებისათვის მას სრულიად საფრანგეთის ინკვიზიტორის წოდება მიენიჭა. აქაც ისეთი გულმოდგინება გამოიჩინა, რომ "ერეტიკოსთა ურო" შეარქვეს. ინკვიზიტორის სისასტიკე იმდენად დიდი იყო, რომ ქვეყანაში საყოველთაო აჯანყების საფრთხე შეიქმნა, რის გამოც პაპი იძულებული იყო თანამდებობიდან გადაეყენებინა რობერი. უფრო მეტიც, ინკვიზიტორი დააპატიმრეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ეკლესიამ დასაჯა ინკვიზიტორი.

ჩვეულებრივ, მათ სხვაგვარად სჯიდნენ: 1227 წელს გერმანიის ინკვიზიტორად დანიშნული რაინდი **კონრად მარბურგელი** მისი ერთი მსხვერპლის ნათესავებმა მოკლეს.

1252 წელს იგივე ბედი ეწია სასტიკ **პეტრო ვერონელს**, დომინიკელთა ორდენის ბერს, რომელიც ჩრდილოეთ იტალიის ინკვიზიტორი იყო. სიკვდილის შემდეგ პეტროს "მოწამეთა იმპერატორის" წოდება მიანიჭეს და წმინდანად შერაცხეს.

ნახსენები ბერნარ გი, დომინიკელი, 46 წლის ასაკში გახდა ტულუზის ინკვიზიტორი 1306 წელს. იგი ისტორიაში ინკვიზიციის თეორეტიკოსად შევიდა: მის კალამს ეკუთვნის ინკვიზიტორთა სახელმძღვანელო, სადაც მოცემულია გამოძიების ჩატარებისა და დაკითხვის წარმართვის მეთოდები.

ოდნავ მოგვიანებით ესპანური წარმოშობის დომინიკელმა, **ნიკოლას ეიმერიკმა**, რომელიც ტარაგონში მსახურობდა ინკვიზიტორად, 37 თეოლოგიური ტრაქტატი შეთხზა. მათ შორისაა ინკვიზიტორთა სახელმძღვანელო, სადაც შესულია სხვადასხვა ერესის ჩამონათვალი და პრაქტიკული რჩევები.

მაგრამ ყველაზე დიდი სისასტიკით გამოირჩეოდა მთავარი ესპანელი ინკვიზიტორი **ტომას დე ტორკვემადა**, რომელმაც თვრამეტი წლის განმავლობაში (1480 – 1498) ასი ათასამდე კაცს გამოუტანა გამამტყუნებელი განაჩენი. ზოგი მათგანი ცოცხლად დაწვეს, ზოგიც — სიმბოლურად, ბევრს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა, უმრავლესობას — ქონების კონფისკაცია.

მხოლოდ თვით პაპს შეეძლო ინკვიზიტორის განკვეთა. კანონიკური სამართლის თანახმად, ყოველი, ვინც აბრკოლებდა ინკვიზიტორის მოქმედებას, ან სხვებს შთააგონებდა ამას, ეკლესიიდან უნდა განკვეთილიყო. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ეკლესიისა და სარწმუნოების წინაშე დანაშაული ზუსტად არ იყო განსაზღვრული. მსაჯულს ძალიან თავისუფლად შეეძლო ადამიანის ქმედებისა და სიტყვების ინტერპრეტაცია. ეჭვმიტანილს კი სიკვდილიც არ შველოდა: ინკვიზიციის მსახვრალი ხელი მის შვილებსა და შვილიშვილებზე იძიებდა შურს.

ინკვიზიტორს, რეალურად, ეპისკოპოსზე უფრო დიდი ძალაუფლება ჰქონდა, მაგრამ ეპისკოპოსის ადგილი უფრო სასურველი იყო ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, უფრო დიდ პატივისცემას შთააგონებდა ადამიანებს, მეორეც — სამუდამო იყო. ინკვიზიტორები კი დროებით იკავებდნენ თანამდებობას: პაპის სიკვდილის შემდეგ ინკვიზიტორებიც იცვლებოდნენ. პაპები კი დიდი ხნით არ იჭერდნენ წმინდა საყდარს, რადგან მათი არჩევა უკვე საკმაოდ ხანდაზმულ ასაკში ხდებოდა. თანაც ინკვიზიტორის პოსტი ერთგვარად სახიფათო იყო, განსაკუთრებით პირველ ხანებში, როცა ხშირი იყო ინკვიზიტორებზე თავდასხმები. ამიტომ ყოველი მათგანი ოცნებობდა კარიერის დასრულებას საეპისკოპოსო კათედრაზე.

XIV საუკუნეში შემოიღეს ეგრეთ წოდებული კვალიფიკატორის თანამდებობა. იგულისხმებოდა ინკვიზიტორის თანაშემწე იურიდიული განათლების მქონე სასულიერო პირი, რომელსაც ევალებოდა განაჩენის იმგვარად ფორმულირება, რომ ის არ შესულიყო კონფლიქტში საერო სამართალთან. უნდა ითქვას, რომ ფორმალურად ინკვიზიციას არასოდეს გამოჰქონდა სასიკვდილო განაჩენი. ინკვიზიციის ფორმულირება შემდეგი იყო: "გადაეცეს განსასჯელად საერო ფრთას". მაგრამ საერო სასამართლოსათვის ეს ავტომატურად ნიშნავდა სიკვდილით დასჯას. კვალიფიკატორებს კი საშუალება არ ჰქონდათ პირადად გასცნობოდნენ პროცესის მასალებს და მონაწილეობა მიეღოთ მასში: მათ მხოლოდ ჩვენებათა მოკლე რეზიუმე ეძლეოდათ, რომლის საფუძველზე უნდა დაედგინათ, ერეტიკულია თუ არა ბრალდებულის გამონათქვამები. ამგვარად იმალებოდა პროცესის მრავალი თანმდევი მოვლენა, კერძოდ, ბრალდებულთა წამება. კვალიფიკატორებს უნდა გამოეტანათ დასკვნა დანაშაულის ხარისხის შესახებ, მათზე იყო დამოკიდებული განსასჯელის ბედი. თუმცა კვალიფიკატორების დამოუკიდებლობა ძალზე სუსტი იყო, რადგან ეს მოხელეები ინკვიზიტორებისაგან იღებდნენ ჯამაგირს. მათი არსებობა მხოლოდ იმის მოწმობად შეიძლება ჩაითვალოს, რომ პაპები ფორმალურად მაინც ცდილობდნენ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ ყოფილიყო დამოკიდებული ცალკეული მსაჯულის ნებაზე.

ამის გამო მოგვიანებით კიდევ ორი აუცილებელი პერსონაჟი შეიყვანეს პროცესის მსვლელობაში: ნოტარიუსი და მოწმეები. ეს პირები ხელს აწერდნენ და ამოწმებდნენ დაკითხვის ოქმებს. მაგრამ სასტიკი სასჯელის მუქარით ფიცს დებდნენ, არავისთვის გაემხილათ პროცესის დეტალები.

აპარატის მნიშვნელოვანი მოხელეები იყვნენ პროკურორი, ექიმი და ჯალათი. პროკურორი, ჩვეულებრივ, ბერი, პროცესზე ბრალმდებლის როლში გამოდიოდა. ექიმი ზრუნავდა, რომ ბრალდებული დროზე ადრე არ გარდაცვლილიყო წამების შედეგად. ჯალათის თანამდებობას კი კომენტარი არ სჭირდება.



*ტომას დე ტორკვემადა*

*ნოდარ ლადარია*
*ლეილა ბეზარაშვილი*

# რა ღირს საქართველოში კაშკაშა ვარსკვლავობა?

ნანა მაღლაკელიძე

*საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი ვაჟა აზარაშვილი ქართველ კომპოზიტორთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე 60-იან წლებში გამოვიდა. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.*

**- ბატონო ვაჟა, როგორ ეხმაურებით დავით ოქიტაშვილის წერილს, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ "კვირის პალიტრაში" დაიბეჭდა?**

- ახლა ფული თუ გაქვს, კომპოზიტორიც იქნები, მომღერალიც და შემსრულებელიც. რად მინდა კლიპი? როდესაც ვუსმენ მუსიკას, ისედაც ვხვდები, კარგია თუ ცუდი. მაგრამ, უბედურება ის არის, აურაცხელ თანხას იხდიან, სასცენო კარიერა რომ გაიკეთონ. კლიპები მთელი თვის განმავლობაში გადის ტელევიზიით (მაგალითად, პირველ არხზე), ზოგჯერ - დღეში სამჯერაც; მაყურებელს არავინ ეკითხება, მოსწონს თუ არა. ფონოგრამა დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც მარტო მუსიკაა ჩაწერილი და მომღერალი ცოცხლად ასრულებს სიმღერას. მაგრამ, როდესაც ფონოგრამა "პლუსია" და მომღერალი მარტო პირს აღებს, მე მგონი, ეს უკვე დიდი სირცხვილია - მსმენელს ატყუებ. ოცდამეერთე საუკუნეში თავს აღარავინ მოიტყუებს.

**- რამდენიმე თვეა, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ეგიდით, დაიწყო ფესტივალი "წითელი ვარდი", რომელიც ვარდების რევოლუციას მიეძღვნა და რომლის ჟიურის თავმჯდომარე თქვენ ბრძანდებოდით.**

- დიახ, ეს ფესტივალი ფილარმონიის მესვეურთა შესანიშნავი იდეაა. ფესტივალში, რომელიც ნოემბრის ბოლომდე გაგრძელდება, ჩართულია მთელი საქართველო. მასში წარმოდგენილია ესტრადა, ფოლკლორი, ქართული ხალხური, სამეჯლისო ცეკვები, ბალეტი - მუსიკალური ხელოვნების, თითქმის, ყველა ჟანრი. რამდენიმე დღის წინათ ფესტივალის მეორე ეტაპი გავმართეთ ქართლში (მარნეული, გარდაბანი, დმანისი, ბოლნისი, თეთრი წყარო). დიდი დახმარება გაგვიწია ქვემო ქართლის კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა ქალბატონმა მაია ნეფარიძემ; ასევე, დიდი თანადგომა და ყურადღება გამოიჩინა თვით გუბერნატორმა მაზმიშვილმა. ამით კიდევ ერთი კარგი საქმე გაკეთდა. ძალიან გვჭირდება საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ხალხთა სიყვარული, მეგობრობა. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდა აზერბაიჯანული, ქართული, რუსული სიმღერები. ამ ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში, ხალხი მაინც იცლის სიმღერისთვის, ცეკვისთვის, ლამაზი ლექსისთვის.



ვაჟა აზარაშვილი

**- როგორც კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარეს დღეს, ალბათ, ძალიან გიჭირთ.**

- არც კომუნისტური პარტიისა და არც მოქალაქეთა კავშირის წევრი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ მინდა, გავიხსენო, რომ კომუნისტების დროს მოწესრიგებული იყო ხელოვანთა ცხოვრება. 14 წელიწადია, კომპოზიტორი ჰონორარს არ იღებს. კონსერვატორიის პროფესორი გახლავართ, მაგრამ კიდევ ბევრი რამ არ ვიცი და ბევრ რამეს ვსწავლობ. მუსიკა ხელოვნების ურთულესი ჟანრია. როდესაც ღამეებს გაათენებ, უდიდეს შრომას ჩადებ, ამ დროს მთავრობას შენთვის არ სცალია. ასეთი საქართველო აღარ გვინდა.

ადრე კომპოზიტორთა კავშირს დაფინანსება ჰქონდა. 2001 წელს დოტაციაც მოგვიხსნეს. ფინანსთა სამინისტროში გვითხრეს, - თქვენი წილი კულტურის სამინისტროში ირიცხება, იმათ მოთხოვეთო. რამდენჯერაც მოვითხოვეთ, არაფერი გამოგვივიდა.

ამჟამად სიმფონიურ ნაწარმოებზე ვმუშაობ და, ალბათ, მალე დავამთავრებ. შვიდი თვე დამჭირდა ამ ნაწარმოების შესაქმნელად. წარმოიშვა პრობლემა - ფული არ გვაქვს; უნდა დავჯდე და გადავწერო ცალ-ცალკე საორკესტრო პარტიები; მერე ვინ შეასრულებს, ჯერ კიდევ არ ვიცი.

როგორც გავიგეთ, საქართველოს რადიო-ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი, რომელიც წლების განმავლობაში ქართველი კომპოზიტორების მეგობარი იყო, უნდა დაშალონ. შარშან ამ ორკესტრმა ორი კონცერტი გაგვიმართა და გივი აზმაიფარაშვილიც ამას გადააყოლეს... ჰოდა, ნუ გადაგვაყოლებენ ჩვენც. რაღაცას ვაქირავებთ და იმით ვარსებობთ; გვრჩება შემოსავლის 47 პროცენტი; დანარჩენი 53 პროცენტი კი მთავრობას მიაქვს. არ არის ეს ყაჩაღობა? ამის მიუხედავად, ჩვენი კავშირის ხანშიშესულ, ინვალიდ წევრებს 20 ლარს ვაძლევთ; თუკი ვინმეს გარდაეცვლება ოჯახის წევრი, მაშინ გამოვუწერთ 130 ლარს, რომ ასი ლარი მიიღოს, რადგან 30 ისევ სახელმწიფოს მიაქვს...

**- იმედი, ბატონო ვაჟა?**

- იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა. ახალი მთავრობა მოვიდა. იქნებ დაგვეხმარონ და ეს "ნალოგები" მაინც (რომელიც 14 სახისაა) მოგვიხსნან. ერთადერთი, რისთვისაც ვემადლიერებით მთავრობას, ისაა, რომ, მრეწველთა პარტიის ინიციატივით, სახელმწიფო სახალხო არტისტებს ყოველთვიურად 300 ლარი გვეძლევა. მაგრამ, ვისაც ეს წოდება არ აქვს?.. ადრე ნაწარმოები რომ დაბეჭდილიყო, უმკაცრესი ჟიურის ხელში უნდა გაევლო. კრიტიკა აუცილებელია. დღეს კრიტიკა აღარ არის. მახსოვს, ერთ-ერთი რადიოს თანამშრომელს შენიშვნა მივეცი, - რა სიმღერაა ასეთი, რომ ჰიტ-პარადში აძლევ პირველ ადგილს-მეთქი და ამის მერე ეს ქალბატონი გადამეკიდა. მე, პირდაპ, ბევრი კრიტიკა მიმიღია უმცროსებისგანაც.

დღეს სიმღერა დილეტანტების ხელშია. რა დღეშია ჩვენი ესტრადა, რას აკეთებს ჩვენი მთავრობა! ორჯერ ვიყავი ერევანში, სადაც ქართული მუსიკის კონცერტები გაიმართა. სომხეთში დაინტერესებულია სახელმწიფო, ჰყავთ მეცენატები; ჩვენმა მთავრობამ კი ხელი დაიბანა. ახლა ახალი კულტურის მინისტრი გვყავს და ჯერ არ შევხვედრივარ. საქართველო არის კულტურის, განათლებისა და სპორტის ქვეყანა. ჩვენ გვჭირდება მეცენატებთან შეხვედრა. იმედი გვაქვს, რომ ახალი ხელმძღვანელობა (ძირითადად, ახალგაზრდები არიან) მოგვისმენს და გულთან მიიტანს ჩვენს გასაჭირს. მე და ჩემმა კოლეგებმა უამრავი ნაწარმოები შევქმენით, მაგრამ ჩასაწერად თანხა არ გვაქვს. ყველამ უნდა იზრუნოს კომპოზიტორთა კავშირზე და ჩვენც ხალხის სამსახურში ვიქნებით.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

5 მაისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** „ტელელიპუცები" **09.40** სერიალი „შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** „დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** ჩემპიონთა ლიგა **17.05** სერიალი „მაშველები" **18.20** „ტელელიპუცები" **18.55** „დისკავერი" **19.45** სერიალი „შურისძიება" **22.00** სერიალი „სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **23.45** ჩემპიონთა ლიგა. „ჩელსი"-"მონაკო"

**07.00, 09.00,** 11.00(კანადა), **13.00,** 16.00(ბელგია), **17.00, 19.00, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.40(აფრიკა), **05.00** საინფირმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00,** საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **01.25** პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება. აზარტულ თამაშებში მოგებულ ფულს მოაქვს ბედნიერება?

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **10.10** მხ. ფილმი „პარმის სავანე" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. სერიალი „ლეგენდები მეცნიერების შესახებ" **15.15** მხ. ფილმი „ფორსაიტების საგა" 13-14ს. **17.00** მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი **19.05** „იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** სერიალი „სოლედადი" **22.00** „ღამის მატარებელი" **23.20** „ღამის მატარებელი" **00.00** მხ. ფილმი „სტიქსი"

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** „ბრავო" „დიდი ტურნე" **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი „ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება „მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი „რედვოლი" **19.00** სერიალი „ველური მთვარე" **20.00** საინფ. გამოშვება „მზერა" **21.00** მხ. ფილმი „28 დღის შემდეგ" (სილიან მარფი) **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი „ზღვათა მბრძანებელი" (რასელ ქროუ)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი" **19.30** სერიალი „ეშმაკუნა" **21.00** „გემრიელად მიირთვით ბავშვებო" **21.30** ჩვენი მისამართია **22.00** მხ. ფილმი „ყვარყვარე"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი" **14.00** მხ. ფილმი „გლადიატორი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს" **17.15** მხ. ფილმი „დრაკონის კოცნა" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი 2" **00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 16.35, 17.20, 01.25** იმედის მელოდიები **07.30** „იმედის" დილა **10.05** სერიალი „ტყუპები" **11.05** სპ. პროგრამა „გოლი სერია ფ" **12.10** სერიალი „კლონი" **13.25, 00.55** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება" **15.15** მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება" **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.40** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" **18.05** სერიალი „ტყუპები" **19.35** სერიალი „კლონი" **20.30** ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი" **21.30** „პირველი ნახევარი" **23.00** არტ-ბულვარი **23.30** მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება" მე-7 ს.

### არხი

**09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** ფილმი-ზღაპარი „დაბრუნება ოზის ქვეყანაში" **11.10** დკუმენტური ფილმი **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ. გამ. „დღეს" **12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება „ნოვოსტი" **12.20** ფანტასტიკა „თვითმარქვია" **14.10** კომედია „ითამაშე, როგორც ბეკჰემი" **16.20** მულტსერიალი **16.55** მუსიკალური კომედია „გაუფრთხილდით ქალებს!" 1 ს. **18.20** თრილერი „შოუ იწყება" **19.55, 03.00** მუსიკა **20.10** კომედია „შესისხლხორცებულნი" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** მხ. ფილმი „მკვდარი" **03.10** ისტორიული ფილმი „ატილა დამპყრობელი"

### ОРТ

**07.00** Телеканал „Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Худ.фильм „К-19" 12.40** Дисней-клуб: „Мышиный дом" **13.20 Худ.фильм „Жду и надеюсь". 1 с. 14.30** Док.детектив „Опасен и склонен к побегу" **15.00** Город женщин **16.20 Сериал „Берег мечты" 17.20** „Угадай мелодию" **17.50** „Большая стирка" **19.20** „Природа вещей" **19.50 Сериал „Клон" 20.50** „Стирка на миллион" **21.00 Худ.фильм „Как бы не так". 1 с. 22.00, 00.30** Время **22.35 Сериал „Улицы разбитых фонарей" 23.40** Кремль-9. „В.Молотов. Школа выживания" **00.50** „Фабрика звезд" **01.10** Искатели. „Мятежный форт" **01.40** „Крылья". „Небесные рыцари" **02.10** Максим Никулин в программе „Форганг" **02.40 Худ.фильм „Война Мерфи" 04.20 Худ.фильм „Взлом"**

### НТВ

**07.20 Худ.фильм „Светлый путь" 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00, 23.00** Сегодня **09.20** „Растительная жизнь" **10.00** Кулинарный поединок **11.20** „Государственная граница". Фильм 3-й. „Восточный Рубеж". 1-2 с. **14.55** Едим дома **15.35** „Принцип „домино" **17.20** „Женский взгляд" **17.55** „Однажды в России". „Переход" **18.25** „Внимание! Розыск!". „Чертова дюжина" **19.05** „Неизвестная война". „Союзники" **20.35 Худ.фильм „Разрушитель" 23.30** „Театр имени СССР" **00.20 Худ.фильм „Улица наслаждений" 02.05** Сегодня

# ალანის მორისეტი "ევას კოსტიუმში"

კანადური პრემიის - "ჯუნოს" დაჯილდოების ცერემონიალზე ("ჯუნო" ამერიკული "გრემის" კანადურ ეკვივალენტად ითვლება) ალანის მორისეტი მაყურებელს "ევას კოსტიუმში" "გამოწყობილი" მოევლინა.



მომღერალმა ტელერადიოწამყვანების შოუში საკუთარი დამოკიდებულება ამერიკული ტელევიზიისა და რადიოს ცენზურის მიმართ ასეთი ფორმით გამოხატა.

"ჩვენ არ შეგვიძლია გავშიშვლდეთ ნაციონალური ტელევიზიის ეთერში", - ასეთი განცხადება გააკეთა ალანისმა სცენიდან, იგი ჯენეტ ჯექსონსა და ჯასტინ ტიმბერლეიკთან დაკავშირებულ სკანდალს გულისხმობდა, - მე ამაყი ვარ იმით, რომ შემიძლია აქ დგომა და ამის გაკეთება".

მომღერალმა სიტყვა დაასრულა და ტანიდან მოსასხამი გაიძრო. სცენაზე იგი სხეულზე შემოტმასნული ხორცისფერი კოსტიუმით დარჩა. "ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ადამიანის სხეულს ყველაზე დიდ მშვენიერებად მივიჩნევთ და ჩვენ არ გვეშინია ქალის მკერდის".

თავის მომდევნო გამოსვლებში ალანისი აკრიტიკებს ერთ-ერთ ამერიკულ რადიოსადგურს და მისგან ბოლო დროს ჩაწერილი საკუთარი სიმღერის ტექსტის შეცვლას ითხოვს. პირველად ვარიანტში სიტყვები უცენზურო იყო.

"ისინი, უბრალოდ, შეშინებულები არიან და მუდმივად შიშის ქვეშ ცხოვრობენ", - აცხადებს მომღერალი.

თუ ალანისის გამოსვლას არ ჩავთვლით, "ჯუნოს" ცერემონია კიდევ იმით არის დასამახსოვრებელი, რომ მონრეალელი სოულის შემსრულებელი სემ რობერტსი სამ ნომინაცაში დააჯილდოვეს.

ამას გარდა, საუკეთესო სინგლად პოპ-მომღერლის - ნელი ფურტადოს What You Want აღიარეს, სარა მაკლაჰლანი კი წლის საუკეთესო ავტორად დასახელდა. წლის საუკეთესო კანადური ჯგუფის წოდება როკერებს, ჯგუფ Niclelback-ს მიანიჭეს.

რაც შეეხება თავად ალანის მორისეტს, რომელიც 1995 წელს Jagged Little Pill ალბომის გამოსვლასთან დაკავშირებით სუპერვარსკვლავი გახდა, მისი ახალი ფირფიტა უახლოეს მომავალში გამოვა.

## "ჯიპიაი ჰოლდინგი" საწესდებო კაპიტალს 3 მილიონამდე ზრდის

2004 წლის 20 აპრილს სს "ჯიპიაი ჰოლდინგი"-ს აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების საწესდებო კაპიტალი 1,000,000 ლარით გაიზარდა და 3,000,000 ლარი შეადგინა.

სს "ჯიპიაი ჰოლდინგი" დაფუძნდა 2001 წლის 8 მაისს. ჰოლდინგმა ჩამოაყალიბა პირველი არასახელმწიფო საპენსიო ფონდი საქართველოში, სადაც დღესდღეობით 3300-ზე მეტი ადამიანია გაერთიანებული. ხოლო საპენსიო აქტივებმა 2004 წლის პირველი კვარტლის შედეგებით 300,000 აშშ დოლარს გადააჭარბა.

2003 წლის მონაცემების მიხედვით, "ჯიპიაი ჰოლდინგი"-ს მიერ მოზიდული ჯამური პრემია 4.5 მლნ ლარს შეადგენს, რაც მთელი სადაზღვევო ინდუსტრიის 11.8%-ია.

კომპანიის დამფუძნებლები არიან მსხვილი უცხოური და ქართული კომპანიები: "TBIH Financial Service Group" - 51% (ჰოლანდია); "თიბისი ბანკი" - 20%; "სამგორი 94" - 20%; "GINI Ltd." - 9% (აშშ).

განათლების სამინისტროს საინფორმაციო
ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი.
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
■ აღრიცხვა-საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
■ ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა.
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

**ბრიტანული ცენტრი**
**ინგლისური მეოთხედ დროში**
**BRITISH CENTRE**
**ENGLISH IN A QUARTER OF TIME**

ბრიტანული ცენტრი აცხადებს მსმენელთა მიღებას, სადაც მსურველებს მაღალ დონეზე შეასწავლიან ინგლისურ ენას. სკოლაში გამოყენებულია დაჩქარებული სწავლების უნიკალური მეთოდი "Callan Method English in a Quarter of Time" (ინგლისური მეოთხედ დროში), რომელიც ნებისმიერ მსმენელს აძლევს ენის შესწავლის გარანტიას.

იმისათვის, რომ მსმენელმა გაიაროს საერთაშორისოდ ცნობილი კემბრიჯის მოსამზადებელი გამოცდის ტესტი, ჩვეულებრივ სკოლაში მან უნდა ისწავლოს დაახლოებით 350 საათი, რაც საშუალოდ 4 აკადემიურ წელს უდრის. ბრიტანულ ცენტრში ამავე შედეგის მიღწევა 80 საათში, ანუ ერთ წელიწადშია შესაძლებელი. სწავლების სხვა მეთოდებისაგან განსხვავებით, გაკვეთილის მსვლელობისას მსმენელებს ეძლევათ განუწყვეტლივ მეტყველების საშუალება, რაც გაცილებით უფრო მიმზიდველსა და სასიამოვნოს ხდის სწავლების პროცესს. სკოლა განკუთვნილია ნებისმიერი მომზადების დონისა და ასაკის პირთათვის და თითქმის არ ითვალისწინებს საშინაო დავალებას. პირველი ერთი კვირა უფასოა.

დაგვიკავშირდით და თავად დარწმუნდებით ამაში.

**ჩვენი მისამართია: თბილისი, ჭავჭავაძის 70 (გალაკტიონის ძეგლის პირდაპირ). ტელ: 22 62 95**

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24










## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.